გაერთიანებები - პოლიტიკურ ლიდერთა ამბიციებისა და შორსმჭვრეტელობის დეტექტორი A3

პარლამენტი და მომავალი არჩევნების სამზარეულო A3

„ხალხის პირისპირ" ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 13 იანვარი, 2003 წელი. №11 (223)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

**ჰიპოთეტური სამხედრო სცენარები საქართველოს ირგვლივ**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ პანკისის პრობლემა მოგვარებულად გამოაცხადა, ამერიკული ორგანიზაციის - „Rand Corporation"-ის ანალიტიკოსები, კვლავ წინასწარმეტყველებენ საქართველოში ტერორისტთა გააქტიურებას. თავის მხრივ, საქართველოს ირგვლივ სამხედრო სცენარების საკუთარი ვერსია აქვთ რუს ანალიტიკოსებსაც, რომლებიც მთავარ აქცენტს ე.წ. პრევენტულ დარტყმებსა და სეპარატიზმის ხელშეწყობაზე აკეთებენ.

A2

### უცხოეთი

**კასპიის ნავთობის მნიშვნელობა ნელ-ნელა მცირდება**

საერთაშორისო ვითარების შეცვლისა და რეგიონის სახელმწიფოების არასტაბილურობის გამო, კასპიისპირეთი დასავლელი ინვესტორებისა და თეთრი სახლის თვალში მიმზიდველობას კარგავს.

A4

### ეკონომიკა

**რუსული ნავთობი, იაპონიის გავლით, ამერიკისათვის**

რუსეთისა და იაპონიის ხელისუფალნი ახლოს არიან ისტორიულ ხელშეკრულებასთან, რომელიც ამომავალი მზის ქვეყანას მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს ნავთობის იმპორტირების პრობლემას.

A6

### სამართალი

**ვაზიანის საქმის გამოძიება დასრულდა**

მთავარმა სამხედრო პროკურატურამ საბოლოოდ დაადგინა, რომ სამხედრო ბაზიდან არსენალის გატანის მიზანი საბოტაჟი და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესუსტება არ ყოფილა.

A7

### საზოგადოება

**თითო ფუთა და „ფუთი„ დაპირებები**

თბილისის ხელმძღვანელობამ და საქველმოქმედო ორგანიზაცია "დედის კალთამ" 350-მდე ინვალიდი პატარა ცოტა მოგვიანებით, ძველსაახალწლოდ დაასაჩუქრა. გუშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეკრებილ ბავშვებს საჩუქრები - თითო 12 -კილოგრამიანი ფუთა - გადასცეს.

A8

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 14 |
| ქუთაისი | 13 |
| ბათუმი | 14 |
| სოხუმი | 9 |
| ფოთი | 12 |
| თელავი | 13 |
| ზუგდიდი | 12 |
| გორი | 11 |
| ახმეტა | 12 |
| ჭიათურა | 12 |
| გაგრა | 8 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2090 |
| ევრო | 2.3232 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5538 |
| რუბლი | 0.0693 |

## ლასურიაში დახმარებას ითხოვს



დამეწყრილი ლასურიაში.

სოფიკო ოხანაშვილი

*გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ 7 იანვარს მომხდარი სტიქიური უბედურების ადგილი – ცაგერის რაიონის სოფელი ლასურიაში – მოინახულა. საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეს თან ახლდნენ მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლები; აგრეთვე, საგზაო-საავტომობილო ფონდის პრეზიდენტი ბორის სარალიძე, ცაგერისა და ლასურიაშის გამგებლები. დამეწყრილი ლასურიაშელები დიდი იმედით შეხვდნენ ხელისუფლების წარმომადგენლების "მოკრძალებულ" დაპირებებს.*

გაგრძელება A2 გვერდზე

## 1992 წლის საარჩევნო სისტემა - ხელსაყრელი პოლიტიკური სპექტრისთვის

ბადრი კოპლატაძე

2003 წლის დასაწყისი პოლიტიკური პარტიების აქტივობით აღინიშნა. როგორც სახელისუფლო, ისე ოპოზიციურ ფლანგზე მათ ინტენსიური კონსულტაციები გამართეს, მაგრამ მიუხედავად იმისა, როგორი იქნება პარტიულ ბლოკთა კონფიგურაცია, არჩევნების შედეგებს ზევრწილად საარჩევნო ადმინისტრაცია და სისტემა განსაზღვრავს.

დღევანდელი ცენტრალური საარჩევნო კომისია რომ წარსულის გადმონაშთია, ამაზე აღარავინ დავობს. გაურკვეველია მხოლოდ ის პრინციპები, რომელსაც ახალი საარჩევნო ადმინისტრაცია დაეფუძნება.

ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან უკვე გაჟღერდა მათთვის სასურველი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც კომისიის წევრებს წინა არჩევნებში ბარიერგადალახული პარტიები, ხელისუფლების სამივე შტო და ავტონომიური წარმონაქმნები ნიშნავენ. ასეთი ვარიანტის შემთხვევაში, კომისიაში მხოლოდ სამი პარტიის - „მოქკავშირის", „აღორძინების" და „მრეწველების" წარმომადგენლები მოხვდებიან. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მოქკავშირი და აღორძინება გარკვეულ ეტაპზე საკმაოდ ინტენსიურ

გაგრძელება A3 გვერდზე

## ლონდონში დაპატიმრებული ისლამისტები პანკისის „ტერორისტული აკადემიის" წევრები იყვნენ

ინგა ალავიძე

პანკისის ხეობა, ტერორისტული იმიჯის გამო, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ მოექცა.

"დაპატიმრებული ისლამისტები პანკისის "ტერორისტული აკადემიის" წევრები იყვნენ"- გუშინ ამ სათაურით ბრიტანულ გაზეთ "Sunday Times"-ში გამოქვეყნდა სტატია. გაზეთის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ლონდონის პოლიციის მიერ დაპატიმრებული, ტერორიზმსა და ქიმიური იარაღის წარმოებაში ბრალდებული ტერორისტები დაკავშირებულნი იყვნენ პანკისის ხეობის "ტერორისტულ აკადემიასთან". გავრცელებულ ინფორმაციას ადასტურებენ ინგლისის სპეცსამსახურებიც, რომელთა შეტყობინებითაც, "ალ ქაიდას" ავღანელმა ტერორისტებმა პანკისის ხეობაში ჩამოაყალიბეს სპეციალური ბანაკები, სადაც ბოევიკებმა სასიკვდილო ნივთიერების შექმნის სპეციალური კურსიც გაიარეს.

ლონდონის პოლიციის მიერ დაკავებულ 4 ბოევიკს, რომლებიც ტერორიზმსა და ქიმიური ნივთიერების დამზადებაში არიან დადანაშაულებულნი, ბრალი ედებათ სასიკვდილო პრეპარატის – რიცინის დამზადებაშიც. ბრიტანელმა პოლიციელებმა ტერორისტები ბრიტანეთის ჩრდილოეთ კვარტალში მდებარე საცხოვრებელ სახლში დაიჭირეს. კანონდამცველებმა ბინაში მიაგნეს რიცინს და მისი დამზადებისას გამოყენებულ სხვადასხვა საშუალებებსაც.

გუშინ დილით დაპატიმრებული ტერორისტები დღეს ლონდონის სასამართლოს წინაშე წარდგებიან.

გაგრძელება A7 გვერდზე

## მთავრობისთვის მთავარია უაქციზო ხიზილალა

*საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები ჯერ კიდევ არ აქვს შესრულებული. ეს რეკომენდაციები ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისთვის აუცილებელ ღონისძიებათა პაკეტს მოიცავს. მიუხედავად ამისა, მთავრობა ფონდის სამ ძირითად რჩევას დღემდე ურეაქციოდ ტოვებს.*

მაია ურუშაძე

სავალუტო ფონდის ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია საგადასახადო კოდექსის გამარტივებას ითვალისწინებს. **"კოდექსის ლიბერალიზებაზე აქ საუბარი არ არის,** - აცხადებს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე, - **სავალუტო ფონდი მხოლოდ მის გამარტივებას ითხოვს."**

სხვათა შორის, სავალუტო ფონდის მიერ კოდექსის გამარტივება ახალი მოთხოვნა არ არის. ეს საკითხი, უკვე დიდი ხანია, დღის წესრიგში დგას, მაგრამ დღემდე მხოლოდ საუბრის თემად რჩება.

როგორც საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი აცხადებს, **"ფინანსთა სამინისტრო ლიბერალიზაციას არ ეწინააღმდეგება, მაგრამ გადასახადების შემცირება უნდა მოხდეს იქ, სადაც ეს საჭიროა."** ჩრდილელი მიიჩნევს, რომ გადასახადის გაზრდას ფისკალურად დადებითი ეფექტი ყოველთვის არ მოაქვს, მაგრამ კონკრეტულ საქონელზე გადასახადის შემცირებაც არ იძლევა ლეგალურობის ზრდის გარანტიას. **"ამიტომ, სავალუტო ფონდთან საგადასახადო განაკვეთების ლიბერალიზაციაზე არა ზოგადად, არამედ სფეროების მიხედვით მიდის საუბარი. წელს აქციზი მოიხსნება ხიზილალაზე, ავტომანქანების საბურავებზე. ამ სფეროებში იმპორტის ლეგალურობის პროცენტი დაბალია და ეს გადაწყვეტილება ამიტომ მივიღეთ,"** – დასძენს ფინანსთა მინისტრის მოადგილე.

გაგრძელება A6 გვერდზე

## სომხეთი ტელევიზიის ხელმძღვანელის მკვლელობით შოკირებულია

მარკ გრიგორიანი
IWPR-ის კორესპონდენტი ერევნიდან

სომხეთის სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელის ტიგრან ნაღდალიანის შემზარავმა მკვლელობამ საპრეზიდენტო არჩევნების წინ კიდევ უფრო გაამძაფრა დაპირისპირება მთავრობასა და ოპოზიციას შორის.

29 დეკემბრის საღამოს ტიგრან ნაღდალიანი მშობლების სახლიდან გამოდიოდა, როდესაც უცნობმა პირმა მას კეფაში მსხვილკალიბრიანი პისტოლეტიდან „ტე-ტე" ესროლა. ნაღდალიანი მიღებული გამჭოლი ჭრილობისგან ორი საათის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ნაღდალიანი, როგორც სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელი, რობერტ კოჩარიანის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი იყო 10 თებერვალს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში. მომხდარის კომენტირებისას კოჩარიანმა და მისმა მომხრეებმა გააკეთეს განცხადებები, რომლებშიც მიანიშნეს, რომ მკვლელობაში ოპოზიციის ხელი ურევია.

ბევრმა ეს განცხადება შეაფასა, როგორც პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის არტაშეს გეგამიანის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი. თავის მხრივ, გეგამიანმა ხელისუფლებას ბრალი დასდო დანაშაულის პოლიტიზაციაში და მოსახლეობაში შიშის გაჩენის მცდელობაში.

ოცდათექვსმეტი წლის ტიგრან ნაღდალიანი ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადოებრივი მოღვაწე იყო. იგი ტელევიზიასა და საინფორმაციო სააგენტოებში მუშაობდა, ჰოლო 1998 წლის ივნისიდან სახელმწიფო ტელეარხს „ჰ-1"-ს ხელმძღვანელობდა.

ამ თანამდებობამ ნაღდალიანი სომხეთში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად აქცია. „ჰ-1" სახელმწიფოს ეკუთვნის და დირექტორთა საბჭოს მიერ იმართება, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი ნიშნავს. სომხეთის გარდა, ტელეარხი თანამგზავრის მეშვეობით თავისი გადაცემების ტრანსლირებას ახდენს ევროპაში, სამხრეთ და ჩრდილოეთ

გაგრძელება A4 გვერდზე

## ჰაგუელებმა ფოთელები შიმშილით სიკვდილისგან იხსნეს

გატაცებულმა "ჟენლილმა" ღუზა სოფელ ჰაგუსთან ჩაუშვა

ზაზა წულაძე

სომალის ტერიტორიულ წყლებში დატყვევებული ექვსი ფოთელი მეზღვაურის მდგომარეობა, უკანასკნელი ორი დღის მანძილზე გაუმჯობესდა. სიბაქ-რუუნის კლანის მეკობრეებმა გატაცებული "ჟენლილის" კაპიტანს არტურ არუთუნიანს უფლება მისცეს, გემი 50-70 კილომეტრით უკან დაეხია და ღუზა სოფელ ჰაგუსთან ახლოს ჩაეშვა. **"თითქმის სამი კვირა ვშიმშილობდით, ბოლო ორი კვირა გაფუჭებული ფქვილისა და ბრინჯის გარდა არაფერი გვიჭამია, ასეთივე დღეში იყვნენ მეკობრეებიც, რომლებიც გემზე არიან. საშინელი სიტუაციაა, ცოტაც და... არ ვიცი, ღმერთმა გადაგვარჩინა თუ რა მოხდა, 10 იანვარს გვითხრეს, რომ გემი უკან დაგვეხია. დაახლოებით, 50-70 კილომეტრი უკან დავიხიეთ. ახლა სოფელ ჰაგუსთან ვართ, სოფელი პირდაპირ გემის წინ არის გაშლილი, როგორც კი აქ გავჩერდით, აქაური ხალხი მოვიდა, თევზი და რაღაც ადგილობრივი ხილი მოგვიტანა, პირდაპირ სული მოვითქვით,"** – გვითხრა გუშინ "ჟენლილის" კაპიტანმა არტურ არუთუნიანმა, რომელსაც გემზე დავუკავშირდით.

საბერძნეთის ტვირთმზიდი გემი "ჟენლილი", მეკობრეთა 20-კაციანმა ჯგუფმა, 30 ივლისს ადენის ყურეში, სომალისგან გამოყოფილი პუნტლენდის ნავსადგურ ბოსაასოსთან ახლოს დაატყვევა. გემი, რომელზეც ექვსი ფოთელი მეზღვაური (ზურაბ გიორგაძე, არტურ არუთუნიანი, ნიკოლოზ პიჟოვი, ალექსანდრე ჩიჩაძე, ანატოლი არხანგოროდსკი და გულადი რუხაძე) იმყოფება, 13 დეკემბრამდე ბოსაასოდან, 250 კილომეტრის მოშორებით სოფელ ბარკალასთან ახლოს იდგა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ციებ-ცხელება შაბათ საღამოს

B7



ბი-ჯიზი

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ინფორმაცია A5 რეკლამა A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** თვის ბოლომდე ეუთო-მ გადაწყვიტა საზღვრის მონიტორინგი განახორციელოს საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების დაუყოვნებლივ გაყვანის მხრივ ზომებს არ მიიღებს, ენგურის ხიდზე საპროტესტო აქციის მომწყობი აფხაზეთიდან დევნილები მასობრივი გამოსვლებითა და ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით იმუქრებიან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**მოსკოვი.** ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ახლადდანიშნული ხელმძღვანელი გენერალ-პოლკოვნიკი ვლადიმირ ბოლდირევი იანვრის ბოლოს აპირებს, სომხეთსა და საქართველოში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზები მოინახულოს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალ კვირას იგეგმება საქართველო-რუსეთის საზღვრის ხევსურეთის მონაკვეთზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნაწილების გადასროლა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშსა და კონგრესს აცნობეს ჩეჩენი დევნილების სურვილის შესახებ, მიეცეს მათ თავშესაფარი აშშ-ში. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** იანვრის ბოლოს თბილისში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ლოშინინი ჩამოვა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" ამომრჩეველთა იმ სიების ლეგიტიმაციის საკითხს წამოჭრის, რომლის შედგენაც პარტიამ გასული წლის შემოდგომიდან დაიწყო და, სავარაუდოდ, მარტის ბოლოს დაასრულებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველი და რუსი სამხედრო ექსპერტების შეხვედრა მოსკოვში იანვრის ბოლომდე გაიმართება, რომელზეც განიხილება სამხედრო-პოლიტიკური საკითხები და სტამბულში 1999 წელს მიღწეულ შეთანხმებათა შესრულების მიმდინარეობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე 7-8 თებერვალს მონაწილეობას მიიღებს ევროპის უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ ტრადიციულ კონფერენციაში, რომელიც მიუნჰენში გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მიმდინარე წელს უკრაინაში ოფიციალურ ვიზიტს გეგმავს. ოფიციალური მიწვევა ედუარდ შევარდნაძეს მისმა უკრაინელმა კოლეგამ ლეონიდ კუჩმამ დეკემბერში თბილისში ვიზიტის დროს გადასცა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 1989 წლის საყოველთაო საკავშირო აღწერის შემდეგ პირველად აფხაზეთში 14-დან 20 იანვრის ჩათვლით მოსახლეობის აღწერა ჩატარდება.

როგორც სოხუმის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ აღნიშნა, "წინასწარი მონაცემებით აფხაზეთში ამჟამად 340 ათასი კაცი ცხოვრობს, რომელთაგან 80 პროცენტმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო".

სერგეი შამბამ განაცხადა, რომ აღწერა გალის რაიონშიც ჩატარდება, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ქართველები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება მიმდინარე წლის ზაფხულში ქართულ მხარესთან შეთანხმების გარეშე სოხუმის აეროპორტის გახსნას აპირებს. **პრაიმ-ნიუსი**

## ლასურიაში დახმარებას ითხოვს

პირველი გვერდიდან

სტიქიურ უბედურებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ჯერჯერობით, არ არის ცნობილი მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის ოდენობა. ამის დადგენაზე მუშაობენ სოფლისა და რაიონის საგანგებო შტაბები. უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, 3000 ლარი უახლოეს მომავალში დაურიგდებათ. ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების განსახლების პრობლემა. ლასურიაშიელების თქმით, მათი სოფლის ყველა ადგილი საცხოვრებლად საშიში ზონაა, მაგრამ ცაგერის გადაშენებისა და დაცარიელების შიშით, ადგილობრივი ხელმძღვანელობა ცდილობს, რომ იქნებ იმავე სოფელში მოძებნოს ისეთი ადგილი, რომელიც საცხოვრებლად გამოსადეგი იქნება. ლასურიაშის დამეწყრილი უბნის - ქოლბანის მცხოვრები 63 ოჯახიდან, საცხოვრებელი სახლების დანგრევის გამო, ორი დღის განმავლობაში ევაკუირებულ იქნა 30 ოჯახი. დანარჩენები დარღვეულ სახლებში ყოველდღე მეწყრის მოლოდინში ცხოვრობენ.

ლასურიაშიელებისთვის ყველაზე მტკივნეული სოფლის სასაფლაოს დაზიანება აღმოჩნდა. მეწყრის გამეორების შიშით, სოფელმა გადაწყვიტა, მიცვალებულები სხვა ადგილზე გადაესვენებინათ. ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ამისთვის იმავე სოფელში ადგილიც გამოჰყო. სასაფლაოს ასე ნაჩქარევად გადატანას არ დაეთანხმა გეოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე დავით ბერძენიშვილი. მისი თქმით, მოსახლეობამ ასეთი ქმედებისგან მინიმუმ ორი-სამი თვე მაინც უნდა შეიკავოს თავი, რადგან იგი დარწმუნებულია, რომ ამჟამად არსებული სიტუაცია დასტაბილურდება. ლასურიაშის გამოსაკვლევად კი, გეოლოგიის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა 20 ათასი ლარის გამოყოფა და ერთი თვის ვადა მოითხოვეს. ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ სოსელიამ აღნიშნული თანხის გაცემა შესაძლებლად მხოლოდ ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ჩათვალა. სანიტარიის სამსახურის წარმომადგენლების განცხადებით, ამჟამად შექმნილი მდგომარეობა ეპიდემიის გაჩენის არანაირ საფრთხეზე არ მიანიშნებს.



*პარლამენტის თავმჯდომარეს მრავალი დაზარალებულის ჩივილის მოსმენა მოუხდა.*

დაზარალებულებისათვის საიმედო საცხოვრებელი ადგილების გამოძებნა, მდინარე ცხენისწყლის ხეობის გასუფთავება და სკოლის შენობის გარემონტება – აი, ის ძირითადი თხოვნები, რითაც სოფლის მოსახლეობამ პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა. ნინო ბურჯანაძემ მოსახლეობას, შეძლებისდაგვარად დახმარება აღუთქვა. დღეს ლასურიაშის მოსახლეობა დახმარებას საკვების, მედიკამენტებისა და საწვავის სახით მიიღებს.

უახლოეს მომავალში დაიწყება გზის დაახლოებით ოცკილომეტრიანი მონაკვეთის შეკეთება; მოიძებნება სახსრები გეოლოგების სამუშაოების დასაფინანსებლად; ლასურიაშში ჩავა მშენებელთა ჯგუფი, რომელიც სკოლის შენობისათვის ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების პროექტს შეიმუშავებს; ცხენისწყლის ხეობის გასაწმენდად, მთავრობა იზრუნებს რაიონის ტექნიკით უზრუნველყოფისთვის.

## თვალსაზრისი

## აფხაზეთის უმაღლესი საბჭო რეორგანიზებას საჭიროებს

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა კატეგორიულად მოითხოვს დევნილობაში მყოფი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს რეორგანიზებას და ამის ერთადერთ საშუალებად ახალი არჩევნების ჩატარებას მიიჩნევს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საარჩევნო კომპანიის მსვლელობისას დევნილები გამოხატავდნენ ასეთ პოზიციას: რატომ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში, როდესაც ჩვენს უმძიმეს სოციალურ მდგომარეობაზე, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელისუფლებო სტრუქტურების ხელმძღვანელები არიან და, მათი მხრიდან სრული გულგრილობისა და უყურადღებობის გამო, გადასარჩევი სწორედ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოა.

დევნილ საზოგადოებაში აღნიშნული განწყობილების შესახებ კარგად უწყიან აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში და მოვლენების მათთვის არასასურველი მიმართულებით განვითარების თავიდან აცილების მიზნით, ცდილობენ სათანადო გადაწყვეტილების მიღებას. ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლოს უმაღლესი საბჭოს კაბინეტებიდან გამოჟონილი ინფორმაცია, რომლის თანახმად, ნავარაუდევია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ორპალატიანი პარლამენტის შექმნა. მის ზედა პალატაში, გადამწყვეტი ხმის უფლებით, ადგილებს დაიკავებენ ამჟამად მოქმედი უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ხოლო ქვედა პალატას, საზოგადოებრივ საწყისებზე, სათათბირო ხმის უფლებით, შეავსებენ ახალი არჩევნების შედეგად მოსული დეპუტატები. ბუნებრივია, ოფიციალური ინფორმაციის არარსებობის გამო არ შეიძლება აღწერილი გეგმის ავკარგიანობაზე რაიმე დასკვნების გამოტანა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ იქ, ფორმალურად მაინც, მზად არიან ახალი არჩევნების ჩასატარებლად.

ამრიგად, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ახალი არჩევნების გამართვის აუცილებლობას ხმამაღლა პრაქტიკულად არავინ ეწინააღმდეგება და ამ საკითხის განხილვისას კამათისა და შეთანხმების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ მომავალი არჩევნების ჩატარების წესები და ფორმატი. ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, საზოგადოებისათვის გაგვეზიარებინა ჩვენი ხედვა მოსალოდნელ არჩევნებთან დაკავშირებით:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უნდა იყოს ერთპალატიანი, ხოლო ორპალატიან პარლამენტზე საუბარი შეიძლება მარტო მას შემდეგ, როცა აფხაზეთში დავბრუნდებით. დევნილობაში მყოფ პარლამენტში არჩეული ყველა დეპუტატი თანასწორუფლებიანია. ისინი წარმოადგენენ აფხაზეთის შვიდივე ადმინისტრაციულ ერთეულს - ექვს რაიონსა და დედაქალაქს. დეპუტატთა საერთო რაოდენობა და მათი გადანაწილება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან დევნილი მოსახლეობის რაოდენობის პროპორციული ფარდობის საფუძველზე. ამგვარად, გამომდინარე აფხაზეთის შრომისა და დასაქმების სამინისტროს მიერ 1998 წელს გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებიდან, რეორგანიზებულ უმაღლეს საბჭოში სულ უნდა იყოს 37 დეპუტატი: 1 გუდაუთის რაიონიდან; 3 სოხუმის რაიონიდან; 4 გაგრის რაიონიდან; 5 გულრიფშის რაიონიდან; 6 ოჩამჩირის რაიონიდან და ქ. ტყვარჩელიდან; 11 გალის რაიონიდან და 7 ქალაქ სოხუმიდან.

ამჟამად მოქმედი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ითვლებიან ავტომატურად არჩეულად და იმის გათვალისწინებით, თუ თავის დროზე რომელი ადმინისტრაციული ერთეულიდან იყვნენ ისინი არჩეული, დამატებით ასარჩევია 18 დეპუტატი: 1 გუდაუთის რაიონიდან; 2 სოხუმის რაიონიდან; 2 გაგრის რაიონიდან; 2 გულრიფშის რაიონიდან; 3 გალის რაიონიდან; 4 ოჩამჩირის რაიონიდან და ქ. ტყვარჩელიდან; 4 ქალაქ სოხუმიდან.

მთელი საქართველოს მასშტაბით, აფხაზეთის თითოეული ადმინისტრაციული ერთეულისათვის უნდა შეიქმნეს ერთი საარჩევნო ოლქი და დაიბეჭდოს შვიდი სხვადასხვა ფერის საარჩევნო ბიულეტენი - ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულს დაუფიქსირდება თავისი ფერი. საარჩევნო უბანზე ბიულეტენების ჩასაყრელად უნდა იდგეს ერთადერთი გამჭვირვალე ურნა, ხოლო ამომრჩეველთა სიაში შეიძლება იყოს შეტანილი ყველა ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი. შეზღუდვა მხოლოდ ასეთია: ამომრჩეველთა რაოდენობის ოპტიმალური ზედა ზღვარი და ამომრჩევლის დროებითი საცხოვრებელი ადგილის სიახლოვე საარჩევნო უბნის განთავსების ადგილთან. ხმის მისაცემად მისულ ამომრჩეველს გაეცემა იმ ფერის ბიულეტენი, რომელიც განისაზღვრება ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულთან მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიკუთვნების მიხედვით.

ამომრჩევლის ინფორმირება იმის შესახებ, თუ რომელ საარჩევნო უბანზე უნდა მისცეს მან თავისი ხმა, შეიძლება შესაბამისი შინაარსის მქონე განცხადებების დროულად გამოკვრით იმ ადგილებში, სადაც ისინი ყოველთვიურად იღებენ დევნილებისთვის განკუთვნილ შემწეობას.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოში ჩატარებული უკლებლივ ყველა არჩევნები გამოირჩეოდნენ ამომრჩეველთა სიების შედგენისას დაშვებული მნიშვნელოვანი დარღვევებით. ამ თვალსაზრისით, როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებს რაიმე სერიოზული საფრთხე არ ემუქრება. საქმე ისაა, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ინახება დევნილთა სრული სიები. მათი გადამოწმება შეიძლება საქართველოს საფოსტო ბანკის აფხაზეთის ფილიალში არსებული იმ უწყისების მეშვეობით, რომელთა საფუძველზე დევნილებს ყოველთვიურად ეძლევათ შემწეობის თანხები.

ბუნებრივია, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში დამატებითი არჩევნების ჩატარებას და ამის შედეგად არჩეული 18 ახალი დეპუტატისათვის მუშაობის სრულფასოვანი პირობების შექმნას გარკვეული ფინანსური უზრუნველყოფა დასჭირდება. ჩვენი ღრმა რწმენით, თუ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გამოვლენილ იქნება მტკიცე პოლიტიკური ნება, რათა ჩატარდეს არჩევნები, მაშინ შესაბამისი თანხების მოძიება უპრობლემოდ მოხერხდება.

დაბოლოს, გასაცემია პასუხი უმნიშვნელოვანეს კითხვაზე: ვინ უნდა დანიშნოს არჩევნები და განსაზღვროს მისი ჩატარების წესები და ფორმატი? სასურველია, ეს გააკეთოს საქართველოს პარლამენტმა, ვინაიდან დევნილ საზოგადოებაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმართ ნდობის ლიმიტი პრაქტიკულად ამოწურულია. გარდა ამისა ამ გადაწყვეტილების მიღება გამართლებული იქნება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი ორი დადგენილებით: „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აპარტეიდული და რასისტული საკანონმდებლო პრაქტიკის შესახებ" (1994 წლის 10 მარტი) და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შესახებ" (1995 წლის 24 თებერვალი), რომელთა საფუძველზე ჯერ მთლიანი შემადგენლობით დათხოვნილ იქნა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, ხოლო თითქმის ერთი წლის შემდეგ მის გარკვეულ ნაწილს სრული მოცულობით აღედგინა თავისი უფლებამოსილებანი და ის გამოცხადდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოდ.

**თემურ ჩილაჩავა**
„გაერთიანებული დემოკრატები"-ს აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, თსუ სოხუმის ფილიალის პრორექტორი, პროფესორი

**შოთა ახალაია**
„გაერთიანებული დემოკრატები"-ს აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, თსუ სოხუმის ფილიალის „ზოგადი მათემატიკის" კათედრის გამგე, დოცენტი

## ჰიპოთეტური სამხედრო სცენარები საქართველოს ირგვლივ

*საფრთხეების თვალსაზრისით, გასული წელი ერთ-ერთი გამორჩეული იყო საქართველოსთვის. ფეთქებადსაშიში პრობლემა პანკისის ხეობაში და რუსეთის ღია აგრესია ბევრ ანალიტიკოსს აფიქრებინებდა, რომ საქართველოში მოვლენები ომის სცენარით განვითარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ პანკისის პრობლემა მოგვარებულად გამოაცხადა, ამერიკული ორგანიზაციის - „Rand Corporation"-ის ანალიტიკოსები, კვლავ წინასწარმეტყველებენ საქართველოში ტერორისტთა გააქტიურებას. თავის მხრივ, საქართველოს ირგვლივ სამხედრო სცენარების საკუთარი ვერსია აქვთ რუს ანალიტიკოსებსაც, რომლებიც მთავარ აქცენტს ე.წ. პრევენტულ დარტყმებსა და სეპარატიზმის ხელშეწყობაზე აკეთებენ.*

მინდია დავითური

„Rand Corporation"-ის ანალიტიკოსების, ოლგა ოლიკერისა და ტანია ჩერლიკ-პალეის წიგნში გამოთქმულმა პროგნოზებმა საქართველოში შემოვლითი გზით მოაღწია - ინფორმაცია ჯერ რუსეთის სააგენტო „მედიამიქსმა" გამოქვეყნა, შემდეგ კი იგი ქართულმა „პრაიმ ნიუსმაც" გადმობეჭდა. მიუხედავად იმისა, რომ წიგნის ავტორების მიერ გაკეთებული შეფასებები და ტენდენციები ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური წრეებისა და სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის არის გამიზნული, „Rand Corporation"-ის ანალიტიკოსების მიერ „გარედან" დანახული სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების პრობლემატიკა, ყურადღებას იმსახურებს.

ანალიტიკოსთა აზრით, მომავალში საქართველოს ტერიტორია გავლენის სფეროებად გაიყოფა - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კვლავ დარჩებიან რუსი მშვიდობისდამცველები, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიასა და აზერბაიჯანში თურქეთის ჯარები გამოჩნდებიან. სამხრეთ კავკასიის პრობლემას კვლავაც დაამძიმებს სამხედრო მოქმედებების გაგრძელება ჩეჩნეთში, რაც საფუძველს მისცემს რუსეთის ხელისუფლებას ისევ დაადანაშაულოს საქართველო და აზერბაიჯანი ჩეჩენი ტერორისტების მხარდაჭერაში. მაგრამ ამჯერად სიტყვიერი მუქარები ესკალაციასა და სამხედრო პროვოკაციებში გადაიზრდება. პროგნოზის ავტორები, ასევე, წინასწარმეტყველებენ შეტაკებების განახლებას მთიან ყარაბაღში.

საერთო დესტაბილიზაციის ფონზე, საქართველოს ტერიტორიაზე კვლავ გამოჩნდებიან ტერორისტები, რომლებიც რამდენიმე წარმატებულ ტერორისტულ აქტს განახორციელებენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე. სცენარის ერთ-ერთ ფაზაზე სამხრეთი კავკასიელ მოკავშირეებს რეალურ საბრძოლო დაეხმარებას გაუწევს უკრაინა. ძალზე საინტერესოა, რომ სამივე სახელმწიფოს ერთობლივი ბრძოლა მოუწევს სამხრეთ კავკასიის საზღვრებთან თავმოყრილ რუსეთის სამხედრო ნაწილებთან. საბოლოო ჯამში ყველაფერი იმით მთავრდება, რომ უკრაინა, საქართველო და აზერბაიჯანი რეგიონში მშვიდობისმყოფელთა შემოყვანის მოთხოვნით მიმართავენ ნატო-ს.

ერთი სიტყვით, რაც უფრო ღრმად მიდიან „Rand Corporation"-ის ანალიტიკოსები შეფასებებში, მით უარესი საქართველოსთვის და სამხრეთი კავკასიის ქვეყნებისთვის.

ამერიკელ ექსპერტთა საშიშ პროგნოზებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრიც გამოეხმაურა და საზოგადოებას „ამგვარი მასალების" კრიტიკულად შეფასებისკენ მოუწოდა.

**„ეს არის ერთ-ერთი სცენარი, რომლის მსგავსი ასობით მუშავდება ყველა სერიოზულ ანალიტიკურ ცენტრში. და რომელიმე ამ სცენარის სერიოზულად მიღება, კონტექსტიდან ამოგლეჯილად, მხოლოდ საზოგადოების დეზორიენტირებას გამოიწვევს,"** - განაცხადა პარასკევს გამართულ პრესკონფერენციაზე ირაკლი მენაღარიშვილმა.

მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება ჰიპოთეტური სცენარებიდან რამდენიმეს, მათ შორის, ნავთობსადენზე ტერორისტულ თავდასხმებს, სავსებით რეალურად მიიჩნევს.

**„მე ვთქვი კიდევაც, რომ მათი გამოყენება შეიძლება, მაგალითად, ნავთობსადენების სისტემის დასაცავად, ვინაიდან არ არის გამორიცხული, რომ ტერაქტი ამ სისტემის წინააღმდეგ განხორციელდეს,"** - განაცხადა 15 დეკემბერს, „კომანდოს" ბატალიონის გამოშვების დროს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ.

აღსანიშნავია, რომ სანამ „Rand Corporation"-ის ანალიტიკოსთა პროგნოზები გამოქვეყნდებოდა, შარშან ოქტომბერში, საქართველოში სამხედრო მოქმედებების სცენარების შესახებ გაზეთ „ნეზავისიმაია გაზეტაში" საკუთარი ვერსია რუსმა ექსპერტებმაც გამოაქვეყნეს. ამერიკელი კოლეგებისგან განსხვავებით, რუსი ანალიტიკოსები აქცენტს პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებაზე აკეთებდნენ. ეს ჰიპოთეტური მოქმედება საქართველოს მთიანეთში პრევენტული საავიაციო და საარტილერიო დარტყმებით დაიწყებოდა, პარალელურად იტუმ-ყალეს მიმართულებით გადასროლილი რუსეთის ფედერაცის საჯარისო ნაწილები ჩეჩენ მეამბოხეებს საქართველოს საზღვართან მოამწყვდევდნენ და აიძულებდნენ მათ, კვლავ პანკისის ხეობისთვის შეეფარებინათ თავი.

სცენარის მესამე ეტაპზე, არტილერიისა და მოიერიშე-ბომბდამშენი ავიაციის მხარდაჭერით, დაიწყებოდა ძალისმიერი აქცია „ბოევიკთა" ძალების გასანადგურებლად. ხოლო მთებში მოქმედი სამხედრო დაჯგუფების გასაძლიერებლად, რუსეთის გენშტაბის ანალიტიკოსების მიერ შემუშავებული გეგმა, ასევე ითვალისწინებდა დამატებითი ბატალიონების გადასროლას საქართველოში არსებულ რუსეთის სამხედრო ბაზებზე.

შარშან ამგვარი სცენარი არ განხორციელდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ არის საკმარისი საფუძველი ანალიტიკოსთა პროგნოზების იგნორირებისთვის, რადგან, ასეთი სცენარები, ხელნაწერებისა არ იყოს, არასოდეს იწვიან.

## ჰაგუელებმა ფოთელები შიმშილით სიკვდილისგან იხსნეს

პირველი გვერდიდან

16 დეკემბრიდან 10 იანვრამდე კი ღუზა პუნტლენდის მეზობელ, კიდევ ერთი არაღიარებული სახელმწიფოს - სომალილენდის ნავსადგურ ბერბერასთან, დაახლოებით 120-150 კილომეტრის მოშორებით, უკაცრიელ სანაპიროსთან ახლოს ჰქონდა ჩაშვებული.

**"სიახლე კიდევ ის არის, რომ რაც ჰაგუსთან გადმოვედით, ერთი მეკობრე ჩავიდა და ახლა გემზე შვიდი შეიარაღებული მეკობრე იმყოფება. ესენი კვლავ რაციებით ესაუბრებიან ბოსაასოში მყოფ მეთაურებს, მაგრამ საიმედოს ვერაფერს გვეუბნებიან. შუამავალმა ფული აიღო და ამათ არ მოუტანა, ახლა აღარ ვიცით, რა გვეშველება. თანაც საწვავი ძალიან ცოტა დაგვრჩა, დილით გემი გაჩერებული გვყავს, სინათლესაც არ ვრთავთ, რომ საწვავი დავზოგოთ, გენერატორს მხოლოდ ღამე ვამუშავებთ,"** – გვითხრა გულადი რუხაძემ.

როგორც "24 საათს" კონფიდენციალურმა წყარომ აცნობა, შუამავალი სომალილენდის მოსაზღვრე პატარა სახელმწიფოს - ჯიბუტის დედაქალაქ ჯუბუტში ცხოვრობს და ეროვნებით თურქია. "ჟენლილის" მეპატრონე საბერძნეთის კომპანია "პალას ნავიგეიშენი" სწორედ ამ პიროვნების მეშვეობით აწარმოებდა მოლაპარაკებებს მეკობრეებთან. **"ბერძნებმა შეასრულეს მეკობრეების მოთხოვნა, 30 ნოემბერს, ჯიბუტის ბანკში გადარიცხეს 100 ათასი დოლარი, აქედან 15 ათასი შუამავალს თავისთვის უნდა დაეტოვებინა, 85 ათასი კი ბერბერაში მეკობრეებისთვის ჩაეტანა. 15 დეკემბერს მან თანხა გაიტანა ბანკიდან და გაქრა. ახლა არც ტელეფონზე და არც მობილურზე აღარ პასუხობს. ჯერჯერობით, მისი მოძებნა ვერავინ მოახერხა,"** – გვაცნობა წყარომ.

როგორც 23 დეკემბრის "24 საათში" გაცნობეთ, საბერძნეთის კომპანია "პალას ნავიგეიშენმა" უარი თქვა მოლაპარაკებების გაგრძელებაზე, მაშინ კომპანიის ადვოკატმა ნიკოს სოფრასმა გვითხრა: **"აღარ ვიცით, რა ვქნათ. "პალას ნავიგეიშენმა" ყველაფერი გააკეთა, ჩვენ მოლაპარაკებების რესურსი ამოვწურეთ, საქართველოს ხელისუფლება რამეს თუ შემოგვთავაზებს, ბედნიერები ვიქნებით."**

რა გააკეთა და რას აკეთებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დატყვევებული ქართველების გასათავისუფლებლად, კვლავ უცნობი რჩება, ვინაიდან საგარეო-პოლიტიკური უწყების ოფიციალური პირები ამ თემაზე მედიასთან საუბარს თავს არიდებენ. "24 საათისთვის" არაოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ იანვრის დასაწყისში ნოტით მიმართა გერმანიის, საფრანგეთისა და ამერიკის მთავრობებს. ნოტის შინაარსი უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ თბილისი ამ ქვეყნებს სასწრაფო დახმარებას სთხოვს.

საფრანგეთს ჯიბუტიში სამხედრო-საზღვაო ბაზა აქვს, ჯიბუტიში დგას გერმანიის რვა სამხედრო გემიც, რომელზეც 750 ფეხოსანი იმყოფება, ხოლო იქვე ახლოს, ომანში, ამერიკის შეერთებული შტატების კიდევ ოთხი სამხედრო გემი მორიგეობს. ადენის ყურეში, სადაც ამჟამად დგას "ჟენლილი", ასევე სისტემატურად დადიან დიდი ბრიტანეთის სამხედრო გემები. ანტიტერორისტული კოალიციის ეს ძალები სომალის სიახლოვეს, ჯერ კიდევ გასული წლის იანვარში იქნა გადასროლილი. მაშინ ამერიკის შეერთებული შტატები სომალიში შეჭრასა და იქ დაბუდებულ "ალ-ქაედას" ბოევიკთა რაზმების განადგურებას აპირებდა. ამ მიზნით, ვაშინგტონმა სომალის ინტერნეტ-პროვაიდერები და სატელეფონო კომპანიებიც კი დახურა (უკვე ერთი წელია, სომალიში ინტერნეტი არ აქვთ, ხოლო ერთადერთი სატელეფონო კომპანია, რომელსაც პენტაგონი უსმენს, საერთაშორისო ზარებს ვერ აუდის), თუმცა შემდეგ, სამოქალაქო ომში ჩათრევის შიშით, ამერიკელებმა სომალიში შეჭრა გადაიფიქრეს.

აღსანიშნავია, რომ სომალის სიახლოვეს განლაგებულ ანტიტერორისტულ ძალებს, სომალელი მეკობრეების მიერ დატყვევებული გემის გათავისუფლების გამოცდილება უკვე აქვთ. 2002 წლის 14 იანვარს, ბოსაასოსთან ახლოს, მეკობრეებმა სატვირთო გემი "პრინცესა სარა" დაატყვევეს, რომელიც უკრაინულ-ლივანური ერთობლივი კომპანია **აzov Sea Star Agency**-ის საკუთრებაა. 18 მეზღვაურიდან რვა უკრაინის მოქალაქე იყო. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხოლოდ ერთი კვირა დასჭირდა გემის გასათავისუფლებლად. კიევის თხოვნის შემდეგ, გატაცებულ "პრინცესა სარას" ჩუმად მიუახლოვდა საფრანგეთის სამხედრო ფრეგატა. როგორც კი მეკობრეებმა ფრანგები შენიშნეს, იმწუთში დატოვეს გემი და ნაპირისკენ მოკურცხლეს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# პარლამენტი და მომავალი არჩევნების სამზარეულო

*"საარჩევნო აჯაფსანდალი" – ასე უწოდებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, საარჩევნო კანონმდებლობაზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელი გიგი წერეთელი სიტუაციას, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესის შემუშავებასთან დაკავშირებითაა შექმნილი.*

თამარ მჭედლიშვილი



ბესო გულაშვილის ფოტო

გიგი წერეთელი

გიგი წერეთლის შეფასება, ალბათ, გადაჭარბებული არ არის, რადგან რეალური სურათი სხვა დასკვნის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა. თავად განსაჯეთ: საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკო არასამთავრობო სექტორის წარმომდგენლებით უნდა დაკოპლექტდეს და მისი თითოეული წევრი პარლამენტმა ხმების ორი მესამედით უნდა დაამტკიცოს. ამასთან ერთად, იმავე პარლამენტს პირველი მოსმენით მიღებული აქვს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმად, ცენტრალური საარჩევნო კომისია პარტიული პრინციპით კომპლექტდება და მასში შედის იმ პარტიათა ორ-ორი წარმომადგენელი, რომლებმაც ბოლო ორ არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერი გადალახეს, პლუს პრეზიდენტისა და ავტონომიების თითო-თითო წარმომადგენელი. ამის პარალელურად, საპარლამეტო ფრაქციები სულ ახალ-ახალი ინიციატივებით გამოდიან. და ეს მაშინ, როდესაც თავად პარლამენტს ოფოციალურად ჯერ არ უთქვამს უარი კანონის იმ მუხლებზე, რომელიც თავადვე მიიღო.

როგორც გიგი წერეთელი ამბობს, მისთვის ყველაზე მისაღები ის პრინციპია, რომელიც საარჩევნო კოდექსშია ჩაწერილი. **"პროფესიული ადმინიტსრაციების შექმნა ძალიან სწორი და პროგრესული ნაბიჯი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ქვორუმი, რომლითაც კომისია უნდა დაკმოპლექტდეს, ძალიან რთულს ხდის ამ მუხლის ამუშავებას, რაშიც ჯერ კიდევ გასულ წელს დავრმუნდით. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ უნდა აირჩეს ცესკო-ს შემადგენლოობა ხმათა ორი მესამედით, მაშინ, როცა ასეთი ქვორუმი მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებებს სჭირდება. პარლამენტის თავმჯდომარეს, მინიტსრებს და ელჩებსაც კი არ ვირჩევთ ასეთი ქვორუმით. როდესაც მართლმადიდებლურ ეკლესიასთან საკონსტიტუციო შეთანხმება დაიდო, მაშინაც კი არ დაგვჭირვებია ამდენი ხმები",** - ამბობს პარლამენტის ვიცე-სპიკერი და იქვე დასძენს, რომ სწორედ ასეთი ქვორუმის "წყალობით" გაუგრძელდა უფლებამოსილება თავის დროზე საარჩევნო ადმინისტრაციებს, რადგან, **"როგორც ჩანს, მაშინ ეს გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებში შედიოდა".**

როგორც გიგი წერეთელი ამბობს, **"საარჩევნო ადმინისტრაციების დასაკმოპლექტებლად ძალიან ცოტა დრო რჩება. თუ თებერთვალში ამ ცვლილებებს არ მივიღებთ, ალბათ არჩევენბამდე ველარ მოესწრება მთელ ვერტიკალზე კომისიების დაკომპლექტება, რადგან რამდენიმე თვე ახალ ადმინიტსრაციებს თავად დასჭირდებათ ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად".**

დღეს არსებული პოლიტიკური ფონით თუ ვიმსჯელებთ, თებერვალში ამ საკითხის საბოლოო მოგვარება აშკარად არარეალურია. მით უფრო, რომ პოლიტიკური პარტიები ახალ-ახალი ინიციატივებით გამოდიან. გაჭიანურებული კონსულტაციები კი დღეს მოქმედი სარჩევნო ადმინისტრაციების წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან იმავე პარლამენტის გადაწყვეტილებით, მათ უფლებამოსილება მხოლოდ მაშინ შეუწყდებათ, როდესაც ახალი ადმინისტრაციები აირჩევა.

გიგი წერეთელი, პროცესების დაჩქარების მიზნით, ახალი ინიციატივით გამოდის და კანონის ამ დებულების გაუქმებას ითხოვს. **"მიუხედავად ცესკო-ს ცალკეული წევრების მიმართ ჩემი ღრმა პატისცემისა, უნდა ითქვას, რომ ამჟამად მოქმედმა კომისიამ თავისი თავი ამოწურა და იგი დისკრედიტებული ორგანო გახდა. ამიტომაც სასაწრაფოდ უნდა შეუწყდეს მას უფლებამოსილება და გაუქმდეს შესაბამისი მუხლი. ეს ინიციატივა მე უკვე გავაჟღერე პარლამენტის ბიუროს ბოლო სხდომაზე. შესაბამისი ცვლილების პროექტი უკვე დაურიგდათ ფრაქციებს და მისი განხილვა მალე დაიწყება. როგორც კი ეს მუხლი გაუქმდება, შეიქმნება ხელოვნური ვაკუუმი და პარლამენტი იძულებული გახდება, გადაწყვეტილება მიიღოს. მე, პირადად, ვაპირებ პროფესიული კომისიის თაობაზე გარკვეული წინადადებებით გამოსვლას, რომლის თანახმად, წევრები პარლამენტმა არა ხმათა ორი მესამედით, არამედ 118 ხმით აირჩიოს. და თუ პარლამრნტი დღეს მაინც ვერ უვლის გვერდს დაკომპლექტების პარტიულ წესს, მაშინ პარტიათა წარმომადგენლები პროფესიონალები უნდა იყვნენ. ანუ გარკვეული ცენზი მათთვისაც უნდა დაწესდეს".**

რაც შეეხება დროებითი საარჩევნო ადმინისტრაციების შექმნის იდეას, გიგი წერეთელი აცხადებს, რომ იგი ინტერფრაქციულ ჯგუფში წარმოიშვა. **„პარლამენტმა უნდა შექმნას დროებითი სტრუქტურა, ოღონდ გარკვეული პაერიოდით და მან უნდა გადაწყვიტოს ორგანიციული საკითხები, იმუშაოს საარჩევნო სიებთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე.“**

სხვათა შორის, მოქალაქეთა კავშირის ახალი საკანონმდებლო ინიციატივები, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესს ეხება, პარლამენტის ინტერფრაქციულ ჯგუფში ჯერ არ შესულა. გიგი წერეთლის თქმით, ოფიციალურად, ეს არც არის სავალდებულო, მაგრამ იქვე დასძენს, რომ იგი უკვე იცნობს ამ ნოვაციებს და მათ უარყოფითად აფასებს.

# "დავიცვათ საკუთარი საარჩევნო ხმები"

## საქართველოს ლიბერალური პარტიის განცხადება

საქართველოს ლიბერალურმა პარტიამ, თავმჯდომარის - რევაზ შავიშვილის ხელმოწერით, გაავრცელა განცხადება, რომელშიც გამოხატულია შეშფოთება და გამოთქმულია პროტესტი მაჟორიტარ პარლამენტართა დეპუტატობის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტის გამო. ხელისუფლების მიერ მართული ძალების მცდელობა, ხსენებული პროექტი დაუკავშირონ ორპალატიანი პარლამენტის შექმნასა და, ზოგადად, სახელმწიფოს მართვის სისტემის რეფორმირების გეგმას, ლიბერალურ პარტიას დაუსაბუთებლად და გამიზნული პოლიტიკური ინტრიგის გამართლების მცდელობად მიაჩნია. **„წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, რატომ არ უნდა განხორციელდეს ჯერ სრულფასოვანი საკონსტიტუციო რეფორმა, ხოლო შემდეგ რატომ არ უნდა დაკომპლექტდეს ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო ახალი არჩევნების, თუნდაც (საკანონმდებლო ხელისუფლების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად) პალატათა ფუნქციონირების განსხვავებული ვადების წინასწარი დადგენის გზით“,** - ნათქვამია განცხადებაში.

პარტიას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული პოლიტიკური ინტრიგა დაგეგმილია არსებული მმართველი ელიტის მიერ და ორიენტირებულია ძალაუფლების შემდგომი უზურპაციისა და მართვის დრომოჭმული სისტემის გადასარჩენად. **„ამასვე ადასტურებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ უკანასკნელ ხანს ღიად გაცხადებული მისწრაფება საკანონმდებლო ფუნქციების ნაწილის ხელში აღებისაკენ. საქმე ისაა, რომ ძალაუფლების საკითხმა დღევანდელ საქართველოში, ბოლო ათწლეულის მანძილზე პირველად, სრულიად განსაეკუთრებული აქტუალობა შეიძინა. ასეთ ვითარებაში საკონსტიტუციო ცვლილებათა ხსენებული პროექტი შეუძლებელია არ გამოხატავდეს გარკვეული სახელისუფლებო ძალების მისწრაფებას ძალაუფლების უკანონო და ძალისმიერი მეთოდებით შენარჩუნებისაკენ, მათს სრულ მზადყოფნას, უარი თქვან ფსევდოდემოკრატიულ რიტორიკაზეც კი და შეეცადონ შეუნიღბავი ნომენკლატურული დიქტატურის დამყარებას. ეს გზა ე.წ. მართვადი ქაოსისა და პროვოცირებული დესტაბილიზაციის ფაზაზე გადის, რაც ქვეყნისთვის უთუოდ დამღუპველია“,** - აცხადებენ ლიბერალები.

ხელისუფლების ამგვარი მისწრაფებების გასანეიტრალებლად, თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნებისათვის ბრძოლა, ლიბერალურ პარტიას ამ ეტაპზე სახელმწიფოს გადარჩენისათვის ბრძოლის ტოლფასად მიაჩნია. იმ პირობებში, როცა ხელისუფლებას აქვს გამოხატული სურვილი და მნიშვნელოვანი ბერკეტები საგანგებო მდგომარეობის პროვოცირების, არჩევნების ჩაშლისა და სუროგატული პარლამენტის ამარა ქვეყნის დასატოვებლად, საზოგადოებამ უნდა განახორციელოს განსაკუთრებული, პრევენტული ქმედებანი საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

**„ჩვენ მოვუწოდებთ პოლიტიკურ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, დავიცვათ მრავალპარტიული სისტემა და სამოქალაქო საზოგადოების ის საწყისები, რომელთაც წლების მანძილზე ერთობლივი ბრძოლით ვამკვიდრებდით!**

**ჩვენ მოვუწოდებთ თითოეულ მოქალაქეს, დავიცვათ საკუთარი საარჩევნო ხმები, რათა დავიცვათ მშვიდობა, გზა გადავუკეტოთ არეულობისა და განუკითხაობის ახალ ტალღას, ამავოქმედოთ სამოქალაქო ინიციატივა თავისუფალი არჩევანისათვის!“** - მიმართავენ საზოგადოებას ლიბერალები და, პარალელურად აფრთხილებენ ხელისუფლებას, რომ **„ზუსტად შეაფასოს საკუთარი და ხალხის შესაძლებლობანი და გაითვალისწინოს ძალადობრივ ქმედებათა მოსალოდნელი მძიმე შედეგები.“**

*"24 საათი"*

თვალსაზრისი

# 1992 წლის საარჩევნო სისტემა - ხელსაყრელი პოლიტიკური სპექტრისთვის

პირველი გვერდიდან

კონსულტაციებს მართავდნენ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით. არ არის გამორიცხული, სასურველი ვარიანტი უკვე შეთანხმებულიც იყოს. ასეთ შემთხვევაში არც პარლამენტში მისი გატანა გაჭირდება, რადგანაც სახელისუფლო ძალები და ბათუმური ბლოკი ერთად საკონსტიტუციო უმრავლესობასთან მიახლოებულ ხმების რაოდენობას აგროვებენ. ამიტომაც ეს საკითხი იმ წინადადებებთან კომპლექსში უნდა განვიხილოთ, რომელიც გასულ კვირას სახელისუფლო ფრაქციებმა წამოაყენეს. ისინი საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნის ინიციატივით გამოვიდნენ, საფუძვლად კი პარლამენტის ორპალატიან სისტემაზე გადასვლა და ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ახალი პრინციპების შემუშავება დაასახელეს.

ამ მიმართულებებით ხელისუფლებას „აღორძინებასთან“ საერთო ენის გამონახვა, პრინციპში, შეუძლია. ასლან აბაშიძისათვის საკმაოდ ხელსაყრელი იქნება სენატის შექმნა, რადგანაც ასეთი ორგანოს არსებობა მნიშვნელოვნად გააძლიერებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოზიციებს ცენტრალურ ხელისუფლებაში. მით უფრო, რომ ავტონომიურ წარმონაქმნებს სენატის ხელმძღვანელობაში გარანტირებული წარმომადგენლობა ექნებათ. „მოქკავშირის“ და „აღორძინების“ ურთიერთობაში გადამწყვეტ როლს იმ კომისიის მუშაობის შედეგები ითამაშებს, რომლის შექმნაზეც ავთანდილ ჯორბენაძის ბათუმში ვიზიტისას შეთანხმდნენ. შექმნილ სიტუაციაში „აღორძინების“ სახით პარტნიორის შეძენას კანცელარიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ აქვს, ამაზე ერთი ფაქტიც მიუთითებს: გასული წლის ბოლო სხდომაზე, მთავრობის წარდგინებით, პარლამენტმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ადგილზე აკრეფილი და ცენტრალურ ბიუჯეტში გადმოსარიცხი თანხების განკარგვის უფლება დაუკანონა. საუბარია იმ 35 მილიონ ლარზე, რომლის არგადმორიცხვამაც თავის დროზე საქართველოს პრეზიდენტი ისე აღაშფოთა, რომ „აჭარის გამოყოფაზეც“ კი ალაპარაკდა. აქედან გამომდინარე, კანცელარია, როგორც ჩანს, დათმობებს არ მოერიდება, რათა მისთვის სასურველი გადაწყვეტილებების მიღებაში „აღორძინების“ ხმებიც დაიმატოს. მით უმეტეს, რომ უახლოეს მომავალში არ არის გამორიცხული, თავი იჩინოს კიდევ ერთმა საკითხმა, რომელმაც შეიძლება არჩევნების ბედზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს. საუბარია იმ სისტემაზე, რომლითაც პარლამენტი უნდა აირჩეს.

დღევანდელი კანონმდებლობით, საქართველოს პარლამენტის ნაწილი - 85 დეპუტატი - მაჟორიტარული პრინციპით ირჩევა, 150 დეპუტატი კი - პარტიული სიებით. როდესაც მსჯელობა დაიწყო ორპალატიანი პარლამენტის შექმნაზე, იგულისხმებოდა, რომ სენატი მაჟორიტარული წესით დაკომპლექტდებოდა, მაგრამ ჯერჯერობით არავინ საუბრობს იმაზე, თუ როგორი იქნება პარლამენტის ქვედა პალატის არჩევის წესი. ამ მხრივ ხელისუფლებას, შეიძლება ითქვას, გამოუყენებელი რეზერვი აქვს –პროპორციული არჩევნების მაჟორიტარულით შეცვლა. ეს არის ის ძირითადი საფრთხე, რის წინაშეც შეიძლება პოლიტიკური პარტიები აღმოჩნდნენ.

ამ ეტაპზე საქართველოში პარტიული სტრუქტურები, განსაკუთრებით - რეგიონებში, საკმაოდ სუსტია. გარდა ამისა, პარტიები გამოკვეთილი და მოსახლოებაში ცნობადი ლიდერების ნაკლებობასაც განიცდიან. ამიტომაც მაჟორიტარული არჩევნების შემთხვევაში, ძალზე დიდია ალბათობა იმისა, რომ პარტიული მოღვაწეების ნაცვლად, პარლამენტის ქვედა პალატაში ადგილობრივი ბობოლები აღმოჩნდნენ. ასეთ შემთხვევაში ჯერ კიდევ ფეხაუმდგმელი პარტიული ცხოვრება საბოლოოდ ჩაკვდება და საქართველოს პარლამენტი აზერბაიჯანის, ან თუნდაც თურქმენეთის, პარლამენტისაგან ბევრად განსხვავებული აღარ იქნება. სხვათაშორის, თუ ამ გზით წავა, ხელისუფლებას არც შესაფერისი პიარ კამპანიის დაგეგმვა გაუჭირდება. ძირითადი აპელირება, ალბათ, დიდი ბრიტანეთის და ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე იქნება, სადაც ყველა დონის არჩევნები მაჟორიტარული სისტემით ტარდება.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ მაჟორიტარული და პროპორციული სისტემის გარდა, საქართველოში სხვა გამოცდილებაც არსებობს. 1990 წლის ადგილობრივი და 1992 წლის საპარლამენტო არჩევნები ე.წ. პრეფერენციების სისტემით ჩატარდა. მისი არსი საკმაოდ მარტივია – ამომრჩეველი სიაში არსებულ პარტიებს თავისი დამოკიდებულებიდან გამომდინარე ნომრავს, ანუ ყველაზე სასურველ პარტიას უწერს 1-ს, შემდეგს 2-ს და ა.შ. ამ სისტემის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მინიმუმამდეა დაყვანილი ე.წ. ხმების დაკარგვა. მაგალითად, დღევანდელი კანონმდებლობით პარლამენტში მოხვედრილი პარტიები ინაწილებენ იმ საარჩევნო გაერთიანებების ხმებსაც, რომლებმაც შვიდპროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახეს. წინა არჩევნების პრაქტიკაც აჩვენებს, რომ ამ სისტემით სულ ადვილი შესაძლებელია, ოპოზიციური პარტიისათვის მიცემული ხმა, საბოლოო ჯამში, სახელისუფლო ძალას მიუვიდეს. პრეფერენციების სისტემა კი პარლამენტის მაქსიმალურ წარმომადგენლობითობას უზრუნველყოფს და პოლიტიკურ სპექტრს მიმდინარე მოვლენებზე გავლენის შენარჩუნების საშუალებას აძლევს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ძალებისათვის არჩევნების ჩატარება ყველაზე მომგებიანი სწორედ ამ ფორმით არის.

# გაერთიანებები - პოლიტიკურ ლიდერთა ამბიციებისა და შორსმჭვრეტელობის დეტექტორი

ეკა კვესიტაძე

საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური ცხოვრება საქართველოში სულ უფრო დაძაბული და მოულოდნელობებით სავსე ხდება. საბოლოო ჯამში, სავარაუდოა, რომ დაპირისპირებული პარტიები კიდევ უფრო გამსხვილდებიან და ალტერნატიულ ბანაკებად ჩამოყალიბდებიან.

"მოქალაქეთა კავშირი", "ლეიბორისტული პარტია", "ნაციონალური მოძრაობა", "ახალი მემარჯვენეები", "გაერთიანებული დემოკრატები" და "აღორძინება" დღეს პოლიტიკური ბრძოლის ძირითად სუბიექტებს წარმოადგენენ.

ხელისუფლება საარჩევნოდ სხვა წვრილ-წვრილ პარტიებსაც შემოიკრებს, მათ შორის უდავოდ იქნებიან "სოციალისტები" და არ არის გამორიცხული - "მრეწველთა პარტიაც".

"მრეწველები" კანცელარიას თანდათან დაუახლოვდნენ და მის ყველა წინადადებაზე უკვე უაპელაციოდ თანხმდებიან. სავარაუდოა, რომ ამ პატიის ალიანსი მოქალაქეთა კავშირთან არ იქნება ფორმალურად დაფიქსირებული და აფიშირებული. სამაგიეროდ, ხელისუფლება მასზე იმუშავებს და გამარჯვებაში ადმინისტრაციული ბერკეტებით დაეხმარება.

რაც შეეხება ოპოზიციურ ფრონტს, აქ სიტუაცია გაცილებით უფრო რთულადაა. ის რაც ბოლო თვეებში პარტიათა თანამშრომლობად თუ დიალოგად მოინათლა, ჯერ კიდევ არსებობს. თუმცა, ამ თანამშრომლობამ არჩევნების წინ გარკვეული სახე უნდა მიიიღოს და ის მხოლოდ ზოგადი ფასეულობების ერთგულების მტკიცებით ველარ შემოიფარგლება.

ჯერჯერობით, არც ერთი პოლიტიკური ლიდერი არ საუბრობს არჩევნების წინ შექმნილ ფართო კოალიციაზე და ცალსახად აცხადებენ, რომ მათ დამოუკიდებელი სიებით გასვლა სურთ.

მაგრამ იდეის დონეზე უკვე საუბარია საარჩევნო კოალიციის რამდენიმე ვარიანტზე.

გასულ კვირაში "ნაციონალებისა" და "ტრადიციონალისტების" შესაძლო გაერთიანების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ, კოტე კემულარიამ განაცხადა, რომ "ნაციონალები" თავიანთი რიგების კიდევ უფრო გაფართოებასაც გეგმავენ.

მოძრაობის ლიდერები არაოფიციალურ საუბრებში აცხადებენ, რომ საუბარია "დემოკრატებთან" გაერთიანებაზე.

როგორც ჩანს, ჟვანიასა და სააკაშვილს შორის ბოლო თვეების განმავლობაში არსებული დაძაბულობა, ამ ეტაპზე, ცოტათი განიმუხტა. მიუხედავად ორივე ლიდერის სერიოზული ამბიციებისა, მათ ისიც კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ორივე ერთად გაცილებით მეტ ძალას წარმოადგენს, ვიდრე ცალ-ცალკე.

სააკაშვილი პოპულარულია ხალხში, მაგრამ მას აკლია პოპულარობა ე.წ ელიტაში, მაშინ, როცა ამ ელიტის დიდი ნაწილის სიმპათიები ჟვანიასკენ იხრება. და პირიქით, ჟვანიას პოპულარობას მასებში, სავარაუდოდ, ისეთი მომგებიანი თემაც კი ვერ გაზრდის, როგორიცაა მინიმალური ხელფასების 115 ლარამდე გაზრდა.

მხოლოდ მასებში პოპულარობა, როცა შენ არ გაღიარებს თბილისის გამორჩეული საზოგადოება, საკმაოდ საშიშია პოლიტიკოსისათვის. რადგან ეს მარგინალიზაციის გარკვეულ საფრთხეს შეიცავს.

ისევე, როგორც სერიოზული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სრულებითაც არ არის საკმარისი მხოლოდ ელიტარული თბილისელების ხმები.

გარდა ამისა, ამ ორი პოლიტიკოსის ერთად არყოფნა შეიცავს მათ შორის ურთიერთობების გამწვავების და, შესაძლოა, ღია კონფლიქტის საფრთხეს. ამის ნიშნები კი უკვე აშკარად გაჩნდა.

ამიტომ სააკაშვილი ჟვანიას მიმართ საკმაოდ აგრესიულად განწყობილ საკუთარ გარემოცვაში მკაფიოდ აფიქსირებს, რომ აუცილებელია რაღაც ფორმის მოძებნა, რითაც გაერთიანებულ დემოკრატებთან ნაციონალური მოძრაობის გაერთიანება მოხერხდება.

ამ მოსაზრების მიმართ უკვე დადებითად არის განწყობილი ჟვანიაც, რომელმაც, როგორც ჩანს, მიღწია შეთანხმებას სააკაშვილთან იმის შესახებ, რომ გაერთიანების შემთხვევაში კოალიციას ორი თანაბარუფლებიანი ლიდერი ეყოლება და არც მომავალში გაჭირდება თანამდებობებზე შეთანხმება.

ასე რომ, გაერთიანების ამ ვარიანტის შემთხვევაში ოპოზიციურ კოალიციაში, შესაძლოა, მხოლოდ ჟვანია და სააკაშვილი აღმოჩნდნენ, სხვა ოპოზიციური პარტიების გარეშე. რაც შეეხება ახალ მემარჯვენეებს, ისინი მიიჩნევენ, რომ საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად გაიმარჯვებენ და ამიტომ დამოუკიდებელი სიებით გასვლას გეგმავენ.

არსებობს ოპოზიციური გაერთიანების მეორე მოდელი. ეს არის ფართო კოალიცია, რომელიც ამ გაერთიანებაში არამარტო დიდი პარტიების, არამედ რამდენიმე წვრილი პარტიის შეყვანასაც გულისხმობს. მათ შორის - ედპ-ს, სახალხოელების, ტრადიციონალისტების, არის საუბარი პატიაშვილის პარტიაზე და, შესაძლოა, გურამ აბსანძეზეც კი.

ცხადია, რომ ამგვარი მოდელის განხორციელება გაცილებით დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. ედპ-მ, "ტრადიციონალისტებმა" თუ "სახალხოელებმა" ძალიან კარგად იციან, რომ ისინი დამოუკიდებლად შვიდპროცენტიან ბარიერს ვერ გადალახავენ. მიუხედავად ამისა, მათ მაინც საკმაოდ დიდი ამბიციები გააჩნიათ.

ამის დასტურია "ტრადიციონალისტების" "მადა". მათ, "ნაციონალებთან" გაერთიანების შემთხვევაში, საარჩევნო სიაში ყოველი მეოთხე ადგილი მოითხოვეს, რის გამოც მოლაპარაკების პროცესი საკმაოდ გართულდა და გაჭიანურდა, რადგან, ბუნებრივია, "ნაციონალები" ამ პირობებზე არ დათანხმდებოდნენ.

იგივე ან ოდნავ ნაკლები პრეტენზიები შეიძლება ჰქონდეთ ედპ-ს ან "სახალხოელებს". რაც შეეხება პატიაშვილს და - მითუმეტეს, აბსანძეს, თუ მათთან მართლა შედგა გაერთიანება, გაჩნდება გარკვეული ეჭვები კოალიციის პროდასავლურობასთან დაკავშირებით, რაც ბევრ ამომრჩეველს სკეპტიკურად განაწყობს.

ცხადია, რომ ეს ვარიანტები ჯერჯერობით მხოლო იდეის დონეზე არსებობს, თუმცა კონსულტაციები უკვე დაწყებულია. შედეგები თითოეული პოლიტიკური ლიდერის ამბიციაზე თუ შორსმჭვრეტელობაზე იქნება დამოკიდებული.

პოლიტიკური კულუარები

## გმადლობთ და... ნახვამდის

ბოლო დროს უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობები სახელმწიფო მინისტრსა და ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს შორის. სახელმწიფო კანცელარიიდან გამოსული ხმების თანახმად, ავთანდილ ჯორბენაძესა და ლევან მამალაძეს შორის რამდენჯერმე გაიმართა საკმაოდ არასასიამოვნო საუბარი. მეტიც – მამალაძეს უკვე ღიად მიანიშნეს, რომ გუბერნატორის პოსტზე ყოფნა მას საკმაოდ გაუხანგრძლივდა და დროა, ქვემო ქართლის რეგიონში ხელმძღვანელობა შეიცვალოს.

პირველი სერიოზული დარტყმა ლევან მამალაძის გარემოცვამ, უშუალოდ ფინანსთა სამინისტროსაგან მიიღო. მირიან გოგიაშვილის მითითებით, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის წითელი ხიდის მონაკვეთზე მთლიანად შეიცვალა მებაჟეთა შემადგენლობა, რასაც ლევან მამალაძის საკმაოდ სერიოზული პროტესტი მოჰყვა.

## ჯუმბერ პატიაშვილთან კონსულტაციები გრძელდება

არ არის გამორიცხული, ერთიანი ოპოზიციური საარჩევნო ბლოკის შექმნის შემთხვევაში, საარჩევნო სიის პირველ ოცეულში ჯუმბერ პატიაშვილის სახელიც აღმოჩნდეს. ჩვენი ინფორმაციით, კონსულტაციები რამდენიმე ოპოზიციურ პარტიასა და პატიაშვილს შორის უკვე დაწყებულია, თუმცა ეს მოლაპარაკებები მხოლოდ საწყის სტადიაშია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს კომპარტიის ყოფილი პირველი მდივანი, ამჟამად კი პრეზიდენტ შევარდნაძის მოწინააღმდეგე, გარკვეული კეთილგანწყობით სარგებლობს ამომრჩეველთა ნაწილში, მასთან ალიანსი ოპოზიციურ პარტიათათვის საკმაოდ მომგებიანიც კი შეიძლება აღმოჩნდეს.

## „ჰამასი“ ერაყს კამიკაძეების ამოქმედებას სთავაზობს



REUTERS

*„ჰამასის“ აქტივისტთა შეკრება.*

პალესტინის გასამხედროებული ფორმირების „ჰამასის“ აქტივისტებმა სპეციალური შეკრება გამართეს, სადაც ერაყის ხელისუფლებას მათი ტაქტიკის გამოყენებისკენ მოუწოდეს. „ჰამასის“ ხელმძღვანელობამ და მებრძოლებმა ბაღდადს დასავლეთთან საბრძოლველად ათასობით კამიკაძე-ტერორისტის ამოქმედება შესთავაზეს. **“ჩვენ ასეთი ქმედებისაკენ ყველა არაბსა და მუსულმანს მოვუწოდებთ, რათა ამერიკელი დამპყრობლების ფეხქვეშ მიწა იწვოდეს. ეს განსაკუთრებით შეეხება ჩვენს მოძმეებს საუდის არაბეთში, რადგან ეს არ გახლავთ ომი მხოლოდ ერაყის წინააღმდეგ, ეს არის ომი მთელი მუსულმანური სამყაროს წინააღმდეგ,”** - განაცხადა „ჰამასის“ ერთ-ერთმა ლიდერმა აბდელ აზიზ რანთისმა.

„ჰამასის“ აქტივისტთა შეკრება პალესტინის ქალაქ ბეთლემში, ლტოლვილთა ბანაკში გაიმართა, სადაც პარასკევს ისრაელის არმიასთან შეტაკების დროს პალესტინელი მოზარდი დაიღუპა. **“ჩვენ მოვუწოდებთ ერაყის ხელისუფლებას, კარი გაუღოს მუსულმან მოხალისეებს, რომლებიც მზად არიან, ერაყის დასაცავად თავიანთი როლი შეასრულონ, რადგან აშშ ომს ყველა მუსულმანის წინააღმდეგ აწარმოებს,”** - დასძინა რანთისმა, დაახლოებით, ორი ათასი აქტივისტის წინაშე გამოსვლისას. შეკრების შემდეგ დემონსტრაცია მოეწყო, რომლის მონაწილეებმაც ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის დროშები საჯაროდ დაწვეს.

დამკვირვებელთა აზრით, „ჰამასის“ ეს უკანასკნელი მოწოდება ამ დაჯგუფების ტაქტიკას გარკვეულწილად ცვლის, რადგან ეს ორგანიზაცია, რომელიც 1987 წლიდან ისრაელის წინააღმდეგ აქტიურ ტერორისტულ ბრძოლას აწარმოებს, სხვა კონფლიქტებში არასდროს ჩარეულა.

ისრაელის სპეციალისტმა ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში ბოაზ განორმა “ასოშიეიტედ პრესთან” ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ ინიციატივით „ჰამასი“ ცდილობს, აქტიური როლი შეასრულოს დასავლეთის წინააღმდეგ გლობალურ ისლამურ რევოლუციაში. მისი აზრით, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ისრაელი „ჰამასის“ სამიზნე აღარ იქნება. **“თავის მხრივ, ერაყს სურს, უჩვენოს მთელ მუსულმანურ სამყაროს, რომ მის წინააღმდეგ მომწიფებული კონფლიქტი დასავლეთის ქვეყნების მიერ ისლამის წინააღმდეგ დაწყებული სამხედრო კამპანიის მხოლოდ ნაწილია და ამ თვალსაზრისს „ჰამასიც“ სრულიად იზიარებს,”** - განაცხადა ბოაზ განორმა, რომელიც ისრაელის ანტიტერორისტული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტს ხელმძღვანელობს. ამასთანავე, ამ განცხადებით „ჰამასი“ ცდილობს, აიძულოს ბაღდადი, ფულადი სახსრებით დაეხმაროს ისრაელთან ბრძოლაში დაღუპული პალესტინელი კამიკაძეების ოჯახებს.

## უმაღლესი რადა ჩერნომირდინის ქვეყნიდან გაძევებას ითხოვს

უკრაინის უმაღლესმა რადამ მთავრობას მიმართა თხოვნით, განიხილოს უკრაინაში რუსეთის ელჩის ვიქტორ ჩერნომირდინის ქვეყანაში დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი. დეპუტატების თქმით, მათ მობეზრდათ ჩერნომირდინისაგან გაუთავებელი ჭკუის სწავლება იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს უკრაინის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

დიპლომატიური ეტიკეტის თანახმად, ელჩი ვალდებულია, თავი შეიკავოს ქვეყნის საშინაო პოლიტიკაზე აზრის გამოთქმისაგან, ჩერნომირდინი კი არ ერიდებოდა უკრაინელი პოლიტიკოსებისა და მათი მოღვაწეობის შეფასებას. დეპუტატების განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია დეკემბრის ბოლოს გამართულმა მრგვალმა მაგიდამ, როდესაც ჩერნომირდინმა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ურჩია, თავი დაანებოს ევროპასა და ამერიკასთან დაახლოების მცდელობას, ხოლო უკრაინის სახელმწიფო მდივანს ევროპული ინტეგრაციის საკითხებში, ჩალის მძინარა უწოდა. ყველაზე ხშირად კი ჩერნომირდინი უკრაინულ ოპოზიციას აკრიტიკებს.

უმაღლესმა რადამ აღნიშნული თხოვნა ხმათა უმრავლესობით, ათიოდე დღის წინ მიიღო. კანონით, მთავრობა ვალდებულია, მას ათი დღის ვადაში უპასუხოს. ვადა ამოიწურა, მაგრამ, ჯერჯერობით, მთავრობას პასუხი ამ თხოვნაზე არ გაუცია. მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ჩერნომირდინს გასაძევებელი არაფერი გაუკეთებია. აღსანიშნავია, რომ რადამ რამდენიმე თვის წინ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია უკრაინაში რუსეთის კათოლიკოს-პატრიარქის, ალექსეი მეორის ვიზიტს.

## აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ახალი პრიორიტეტები

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (იუსაიდმა) დამოუკიდებელი ექსპერტების დახმარებით შეიმუშავა ახალი პროგრამა “საგარეო დახმარება ეროვნული ინტერესის სამსახურში: თავისუფლებისა და უსაფრთხოების მხარდაჭერა”.

მოხსენების თანახმად, ამერიკის ეროვნულ უსაფრთხოებასა და საგარეო დახმარებას შორის უშუალო კავშირი არსებობს, რადგან დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფოები სტაბილური პარტნიორები არიან და ექსტრემისტულ პოლიტიკას არ ატარებენ.

ექსპერტებმა ექვსი სფერო გამოყვეს, რომელიც მომავალი 20 წლის განმავლობაში შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს პრიორიტეტი იქნება:

*1. პატიოსანი ხელისუფლება.* გამჭვირვალე, დემოკრატიული და პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლების გარეშე ეკონომიკური ზრდის მიღწევა და ეკოლოგიური სტანდარტების შენარჩუნება არ მოხერხდება. საგარეო დახმარების პროგრამებმა განვითარებად სახელმწიფოებში ხელი უნდა შეუწყონ კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვას, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც ხელისუფლების თვითნებობის აღკვეთას შეძლებს.

*2. განვითარებაში ეკონომიკური ზრდა საკვანძო როლს ასრულებს.* ღარიბების ცხოვრების გასაუმჯობესებლად ეკონომიკურ ზრდას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება. ეკონომიკური ზრდის გარეშე ოჯახები შემოსავლის გაზრდას ვერ შეძლებენ, ხოლო საგადასახადო შემოსავლები საგანმანათლებლო და ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად საკმარისი არ იქნება. განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის უმთავრესი კომპონენტი კი სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებაა, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის გასაზრდელად ინვესტიციების მოცულობა უნდა გაიზარდოს.

*3. მიკროეკონომიკური რეფორმები მნიშვნელოვანია.* სამწუხაროდ, მას ბოლო დრომდე დიდი ყურადღება არ ექცეოდა. უკანასკნელი წლების განმავლობაში განვითარებისათვის გამიზნული დახმარება მაკროეკონომიკურ რეფორმებზე იყო კონცენტრირებული. მოხსენების თანახმად, განვითარებად ქვეყნებში საჭიროა კონკურენტუნარიანი ბიზნესის განვითარება, მეწარმეთა კლასის ჩამოყალიბება, ბიზნესის დასაწყებად აუცილებელი დროისა და პროცედურების შემცირება, კორუფციასთან ბრძოლა, რათა ქვეყანამ ინვესტიციების მოზიდვა შეძლოს.

*4. ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება.* განვითარებად ქვეყნებს ჯანდაცვის სფეროში ორი ტიპის პრობლემები აქვთ. უღარიბეს სახელმწიფოებში ხალხი გლობალური მასშტაბის დაავადებებით იტანჯება, მათ შორის - შიდსით, ტუბერკულოზით, მალარიითა და დიზენტერიით. შედარებით უფრო განვითარებულ სახელმწიფოებში ჯანდაცვის პრობლემები, ძირითადად, მოსახლეობის დაბერებას უკავშირდება.

*5. ჰუმანიტარული დახმარება და კონფლიქტების შედეგების აღმოფხვრა.* მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფებისა და კონფლიქტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. ექსპერტები შეგვახსენებენ, რომ “ყველა დახმარებას პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს”, მათ შორის, ჰუმანიტარულ დახმარებასაც. მოხსენების ავტორები საერთაშორისო დონორებს მოუწოდებენ, რომ საგარეო დახმარების გაწევისას კარგად გათვალონ კონფლიქტებზე მათი შესაძლო გავლენა და შედეგები.

*6. კერძო საგარეო დახმარება.* ამერიკიდან გაწეული საგარეო დახმარების მხოლოდ 20 პროცენტია მთავრობის მიერ დაფინანსებული. შეერთებული შტატების სახელმწიფო საგარეო დახმარების კერძო ინიციატივებთან კოორდინირება მომავალი წარმატებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

## კასპიის ნავთობის მნიშვნელობა ნელ-ნელა მცირდება

რევაზ ბახტაძე

*საერთაშორისო ვითარების შეცვლისა და რეგიონის სახელმწიფოების არასტაბილურობის გამო, კასპიისპირეთი დასავლელი ინვესტორებისა და თეთრი სახლის თვალში მიმზიდველობას კარგავს.*




უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში კასპიის ზღვის აუზს ამერიკის ევრაზიულ პოლიტიკაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკავა. ამერიკელი პოლიტიკოსები კასპიურ რესურსებს ბოლო 30 წლის უმნიშვნელოვანეს ენერგეტიკულ აღმოჩენად განიხილავდნენ. ამან ე.წ. დიდი თამაშის აღორძინება გამოიწვია. რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის რეგიონში მძაფრი კონკურენცია გაჩაღდა. ენერგეტიკული რესურსების ათვისება და კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა კლინტონის ადმინისტრაციის დროს და ბუშის პრეზიდენტობის პირველ ეტაპზე ამერიკული საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო.

11 სექტემბრის შემდეგ, როდესაც აშშ-ს სამხედრო ბაზები ცენტრალურ აზიაშია განლაგებული, ახლო აღმოსავლეთში არასტაბილური ვითარებაა, ვაშინგტონსა და არაბებს შორის ურთიერთობები დაძაბულია, ტერორისტები მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოქმედებენ და ერაყში ომის დაწყება, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია, ბევრი ფიქრობს, რომ კასპიისპირეთის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. თუმცა, აშშ-ს პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში ყველა ასე არ მიიჩნევს.

რამდენიმე კვირის წინ “შევრონტექსაკომ” განაცხადა, რომ ყაზახეთში დამატებითი ინვესტიციების განხორციელებას აღარ აპირებდა. ამ კომპანიის მიერ ყაზახეთში განხორციელებული ინვესტიცია, ჯერჯერობით, უდიდესია მთელს რეგიონში. გართულებების დაწყებისთანავე ყაზახეთის ხელისუფლებამ ნავთობკომპანიის მენეჯერებთან სასწრაფოდ გამართა შეხვედრა და ინვესტორებს დაბრუნება სთხოვა. თუმცა, ეს საჯარო განხეთქილება ერთ-ერთია იმ მრავალ სიმპტომს შორის, რომელიც ვაშინგტონისათვის კასპიისპირეთის მნიშვნელობის დაკნინებაზე მიუთითებს.

გასულ ხუთშაბათს ნიუ-ორლეანში კასპიისპირეთის შესახებ აშშ-ს მთავრობის დაფინანსებით დიდი კონფერენცია - “კასპიის ზღვის აუზი: შესაძლებლობები აშშ-ს სანავთობო და გაზის ფირმებისათვის” - გაიმართა, რომელშიც მთავრობებისა და კომპანიების ასამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. შეხვედრაზე მოწვეულები იყვნენ აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ელჩები ამერიკაში. ანალოგიური კონფერენცია პირველად კლინტონის პრეზიდენტობისას ჩატარდა ოთხი წლის წინ.

კონფერენციის ძირითადი მიზანი იყო, თავი მოეყარა კასპიისპირეთში მომუშავე ინვესტორებისა და კომპანიებისათვის, რათა მათ თავიანთი გაწეული მუშაობის, სირთულეებისა და მომავალი გეგმების შესახებ ესაუბრათ. ექსპერტების თქმით, აღნიშნული კონფერენციის მოწყობა ერთგვარი მცდელობა იყო ვაშინგტონის მხრიდან, რათა კომპანიები რეგიონში დამატებითი ინვესტიციების ჩადებისაკენ წაექეზებინა.

“ჩვენ ვფიქრობთ, რომ [რეგიონს] დიდი მომავალი აქვს,” - განაცხადა კონფერენციაზე თეთრი სახლის წარმომადგენელმა ბრიუს ბლეიკმანმა, რომელიც ამავდროულად ვაჭრობის მინისტრის თანაშემწეც არის. “საჭიროა, ძალიან დიდი დრო, რათა ჩვენს მიერ განხორციელებული ინვესტიციებიდან მოგება მივიღოთ”, - დასძინა მან.

მომხსენებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ენერგეტიკულ სექტორში მომუშავე მენეჯერებს ყოველდღიურად უწევთ წესებისა და კანონების თვითნებურ ცვლილებებთან და კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან პირისპირ შეჯახება.

რეგიონში მომუშავე კომპანიების თქმით, განხორციელებული თანაბარი ოდენობის ინვესტირებისას, მოგება კასპიისპირეთში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვაგან. მართალია, აღმასრულებელ დირექტორები აღფრთოვანებით არ საუბრობდნენ რეგიონის შესახებ, მაგრამ მის დატოვებას მაინც ნაადრევად მიჩნევენ, თუნდაც, უკვე განხორციელებული ინვესტიციების გამო. თვალშისაცემი იყო მხოლოდ ერთი რამ: რეგიონში მოქმედ კომპანიებს დამატებითი ინვესტირების სურვილი აღარ აქვთ.

ცნობილი ამერიკელი მკვლევარი იან ბრემერი და კლინტონის ადმინისტრაციის დროს სახელმწიფო მდივნის მრჩეველი საერთაშორისო ენერგეტიკულ საკითხებში ედვარდ მორსი ამერიკისა და დასავლელი ინვესტორების ინტერესის შენელებას რამდენიმე ფაქტორის გავლენით ხსნიან:

*ნავთობსადენების პოლიტიკა.* ამერიკა-რუსეთის მეტოქეობა რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად ნავთობსადენების მარშრუტის არჩევას უკავშირდებოდა. რუსეთს სურდა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ნავთობის ექსპორტი გაეკონტროლებინა; აშშ კი რუსეთისაგან დამოუკიდებელი მილსადენების არსებობით იყო დაინტერესებული, რათა კასპიისპირა სახელმწიფოების ავტონომიურობა უზრუნველეყო. საბოლოო ჯამში, ორივემ გაიმარჯვა. 2001 წელს მწყობრში ჩადგა რუსეთზე გამავალი მილსადენი, რომელიც ყაზახეთს მსოფლიო ბაზრებთან აკავშირებს. გასულ წელს კი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობა დაიწყო. ეს უკანასკნელი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ამერიკის ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ წამოწყებად ითვლება. უამრავი სირთულის მიუხედავად, პროექტი დაიწყო და კასპიურ ნავთობს რამდენიმე წელიწადში გაიტანენ ევროპის ბაზრებზე რუსეთის გვერდის ავლით. სხვა მსგავსი ყალიბრის გეგმის არარსებობისა და ბაქო-ჯეიჰანის საკითხში მიღწეული წარმატების გამო, აშშ-ს ალარაფერი აიძულებს, რომ ყურადღების კონცენტრირება მომავალშიც ამ რეგიონზე მოახდინოს.

*ანტიტერორისტული ომი.* 11 სექტემბრის შემდეგ, ევრაზიაში ამერიკის ყურადღება უსაფრთხოების საკითხებზეა გადატანილი. ეს, გარკვეული თვალსაზრისით, ენერგეტიკული პროექტების ხარჯზეც ხორციელდება. ახალ გარემოში უზბეკეთმა, ყირგიზეთმა და, შედარებით მცირე დოზით, საქართველომ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. მათგან არცერთს დიდი ენერგეტიკული რესურსები არ გააჩნია. ანტიტერორისტულ ომში ნავთობით მდიდარ ყაზახეთსა და აზერბაიჯანს კი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა არ გააჩნიათ. საყურადღებოა ისიც, რომ ამერიკის ხელისუფლებაში მყოფი კასპიისპირეთის საუკეთესო ექსპერტები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სამუშაოდ გადაიყვანეს.

*პოლიტიკური რისკი.* გასული წლის განმავლობაში ყაზახეთში საინვესტიციო კლიმატი თვალსაჩინოდ გაუარესდა. კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა კორუფციის, გადასახადების ოდენობისა და კონტრაქტებთან დაკავშირებული სასამართლო დავების მხრივ. ინვესტორების დაფრთხობის თვალსაზრისით ყაზახეთის ხელისუფლებამ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი. ასტანამ საწარმოების რენაციონალიზაციაც დაიწყო. მრავალი ამერიკული ფირმა ჩივის შექმნილი სირთულეების გამო, თუმცა, აქამდე არცერთ მათგანს რეგიონი არ დაუტოვებია. მსგავსი ვითარებაა აზერბაიჯანშიც. ამ თვალსაზრისით, “შევრონტექსაკოს” შემთხვევა სამაგალითოა. ნავთობკომპანიამ ამერიკის მთავრობას არაერთხელ მიმართა დახმარებისათვის, რადგან ყაზახეთის ხელისუფლება ხელშეკრულების პირობებს გამუდმებით ცვლიდა თავის სასარგებლოდ.

*მილსადენების ექსპლუატაციის ტარიფები.* რეგიონში ამერიკის უდიდესი საინვესტიციო პროექტები ყაზახეთშია განხორციელებული, რომლის ნავთობი რუსეთის ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენებით მიედინება მომხმარებლებისაკენ. რუსეთის მილსადენების მონოპოლისტი “ტრანსნეფტი” მოწადინებულია, რომ მონოპოლიური მდგომარეობა შეინარჩუნოს და ინვესტორებს ტარიფების აწევ-დაწევით პრობლემებს უქმნის.

*აშშ-რუსეთის თანამშრომლობა.* რუსეთ-ამერიკის დამთბარ ურთიერთობებში ენერგეტიკული საკითხები უზარმაზარ როლს ასრულებს. ბუშის ადმინისტრაცია ენერგეტიკის სფეროში აშშ-რუსეთის თანამშრომლობის გაღრმავებას აქტიურად ცდილობს. ამგვარი ურთიერთობა რუსეთისთვისაც განსაკუთრებით ხელსაყრელია. დღეს მრავალი ამერიკელი მაღალჩინოსანი ციმბირს კასპიის ზღვის ტოლფას, ახალ რეზერვუარად განიხილავს. გასულ პარასკევს რუსეთსა და იაპონიას შორის მიღწეული შეთანხმება 6-მილიარდიანი მილსადენის მშენებლობის თაობაზე, რომელიც იაპონიას რუსული ნავთობით მოამარაგებს, კიდევ უფრო გააღრმავებს ამ ინტერესს. ტრანსციმბირული მილსადენების მშენებლობის საკუთარი გეგმები გააჩნია ჩინეთსაც. ასე რომ, ბუნებრივი რესურსების სიდიდისა და დიდი სახელმწიფოების დაინტერესების გათვალისწინებით, ვაშინგტონი განსაკუთრებულ ყურადღებას კასპიისპირეთის ნაცვლად მომავალში სწორედ ციმბირს მიაპყრობს, - ფიქრობენ ამერიკელი ექსპერტები.

## სომხეთი ტელევიზიის ხელმძღვანელის მკვლელობით შოკირებულია

პირველი გვერდიდან

ამერიკასა და ავსტრალიაში. ეს ნიშნავს, რომ არხის გავლენა შვიდმილიონიან სომხურ დიასპორაზეც ვრცელდება.

29 დეკემბერს, როდესაც მოხდა მკვლელობა, თითქმის ყველა დაწესებულებაში საშობაო შვებულება დაიწყო ახალი წლისა და შობის აღსანიშნავად, ცხრადღიანი დასვენება გაზეთებმაც გამოაცხადეს.

ტელევიზია სომხეთის მოსახლეობისათვის ინფორმაციის ერთადერთი წყარო გახდა. ამავე დროს, თავისი ხელმძღვანელის მკვლელობით შოკირებული ყველაზე დიდი არხი „ჰ-1“ გადასცემდა მხოლოდ მუსიკას და ცნობილი ადამიანების გამონათქვამებს ნაღდალიანის შესახებ. კერძო ტელეარხები კი ვერ ანაზღაურებდნენ ინფორმაციის დეფიციტს.

ამავდროულად, ექვს კვირაზე ნაკლები დარჩა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურამდე, რომელშიც კოჩარიანის ხელმეორედ არჩევა დიდად იქნება დამოკიდებული „ჰ-1“-ის მხარდაჭერაზე.

კოჩარიანის გამოხმაურება ტიგრან ნაღდალიანის მკვლელობაზე სწრაფი და მკვეთრი იყო. მან მკვლელობა ტერორისტულ აქტად შეაფასა: „ყველაზე ღირებულის - ადამიანის სიცოცხლის ხელყოფით, ტერორისტებმა მიზნად დაისახეს, მიაყენონ დარტყმა მათ, ვინც თავისი ყოველდღიური შრომით ცდილობენ ახალი, მშვიდობიანი და სტაბილური ქვეყნის მშენებლობას“.

წინასაარჩევნო სომხეთის პოლიტიკურ ლექსიკონში ეს განცხადება შეიძლება იქნას გაგებული ისე, რომ პრეზიდენტი მკვლელობაზე პასუხისმგებლობას ოპოზიციას აკისრებს. მთავრობის სხვა მხარდამჭერების განცხადებები კიდევ უფრო ღია ფორმის იყო. „ჰ-1“-ის ეთერში გამოსვლისას საგარეო საქმეთა მინისტრმა ვარდან ოსკანიანმა, ცნობილმა მულტიპლიკატორმა რობერტ სააკიანცმა და კოჩარიანის მხარდამჭერი პარტიის „დაშნაქციუტუნის“ ხელმძღვანელებმა მკვლელობის ორგანიზებაში ბრალი დასდეს მომავალ არჩევნებში კოჩარიანის ოპონენტებს. „დამნაშავენი ისინი არიან, ვინც იძლევიან დაპირებებს, რომ ქვეყანაში ცხოვრება ბევრად გაუმჯობესდება“, - განაცხადა რობერტ სააკიანცმა. „რადიკალებისათვის დღეს სხვა გამოსავალი არ არის, თუ არა ასეთი დანაშაულის ჩადენა“, - განაცხადა ხელისუფლების მხარდამჭერი გაზეთის „აიოც აშხარის“ მთავარმა რედაქტორმა გაგიკ მკრტჩანმა.

მართალია, სახელები არ ცხადდებოდა, მაგრამ ნათელი იყო, რომ ისინი პრეზიდენტობის კანდიდატ არტაშეს გეგამიანზე საუბრობენ. სოციოლოგიური გამოკითხვები მიანიშნებენ, რომ გეგამიანის რეიტინგი ყველაზე მაღალია ოპოზიციონერებს შორის და მოქმედი პრეზიდენტის რეიტინგს ეწევა.

თავის მხრივ, არტაშეს გეგამიანმა ხელისუფლება დაადანაშაულა. იგი მიიჩნევს, რომ ნაღდალიანის დაღუპვის გამო ფსიქოზის შექმნით, ხელისუფლება შეეცდება, გაუსწორდეს მას, რადგან საპრეზიდენტო არჩევნებში მას გამარჯვების რეალური შანსი გააჩნია.

ვითარება დაიძაბა. პრეზიდენტის თანაშემწემ ვაჰე გაბრიელიანმა „ჰ-1“-ს პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ არცერთ ოპოზიციურ პარტიას მწუხარება არ გამოუთქვამს ნაღდალიანის მკვლელობის გამო, ხოლო ამავე არხის რეპორტიორმა, ალინა ორდიანმა ტიგრან ნაღდალიანის მკვლელობისათვის მორალური პასუხისმგებლობა პირდაპირ ოპოზიციურ ჟურნალისტებს დააკისრა.

თუმცა, ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ უბრალოდ არ მიეცათ საშუალება გამოსულიყვნენ „ჰ-1“-ს ეთერში, ხოლო მათი განცხადებები, სადაც ისინი გმობენ მკვლელობას, არ იქნა გაშვებული ეთერში.

იმ ჟურნალისტებს შორის, რომლებიც ხელისუფლებას არ უჭერენ მხარს, დღეს რეპრესიების შიში არსებობს. „მე ბევრ კოლეგას შევხვდი“, - აცხადებს ცნობილი ჟურნალისტი დავიდ პეტროსიანი. „ყველანი იმას ამბობენ, რომ ამიერიდან მეტ სიფრთხილეს გამოიჩენენ, ვინაიდან „ჰ-1“-ზე გამოსვლები მიანიშნებს, რომ ხელისუფლება მზადაა განსხვავებული აზროვნების ჩასახშობად“.

პოლიტიკური მიზეზი შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ, როგორც დავიდ პეტროსიანი აცხადებს, ტელეარხმა „ჰ-1“ დაიწყო დიდი როლის შესრულება შიდა პოლიტიკაში, პრეზიდენტის შიდაპოლიტიკური კურსის ფორმირებასა და რეალიზებაში.

„ჰ-1“-მა არა მარტო არ აძლევდა რობერტ კოჩარიანის ოპონენტებს ეთერში თავიანთი მოსაზრების გამოხატვის საშუალებას, არამედ მათ საზოგადოებიდან გარიყვას ცდილობდა“, - ამბობს პეტროსიანი.

მართალია, დღეისათვის პოლიტიკური ვერსია დომინირებს, არ გამოირიცხება ნაღდალიანის მკვლელობის შესაძლო ეკონომიკური მიზეზებიც. სომხეთის საზოგადოებრივი ტელევიზია დიდი და შემოსავლიანი ბიზნესია - 2002 წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა კომპანიას 5 მილიან დოლარზე მეტი გამოუყო, ამას ემატება რეკლამიდან მიღებული შემოსავლები და სპონსორთა დახმარება.

ნაღდალიანი ფულს სატელევიზიო ბიზნესში აბანდებდა - იგი კერძო ტელეკომპანია „კაიმს“ ფლობდა, რომელიც „ჰ-1“-თან თანამშრომლობდა პროგრამების წარმოებასა და რეკლამის განთავსებაში. გარდა ამისა, იგი სხვა სახის ბიზნესსაც ეწეოდა. კერძოდ, იგი ფლობდა კაფეს ერევნის ცენტრში.

არტაშეს გეგამიანს მიაჩნია, რომ ნაღდალიანი შეეძლოთ მოეკლათ, რათა არ მიეცათ მისთვის სასამართლოში გამოსვლის საშუალება, სადაც მას ჩვენება უნდა მიეცა 1999 წელს სომხეთის პარლამენტში მომხდარი მკვლელობების საქმეზე.

იმ დღეს - 28 ოქტომბერს, ტელეცენტრის სააპარატოში მყოფი ნაღდალიანი თვალყურს ადევნებდა ყველაფერს, რაც სხდომათა დარბაზში ხდებოდა, როდესაც იქ იმყოფებოდნენ შეიარაღებული ადამიანები ნაირი უნანიანის ხელმძღვანელობით, რომლებსაც მძევლად პარლამენტის ორმოცი წევრი ჰყავდათ აყვანილი. მომხდარი ვიდეოფირზე იყო ჩაწერილი, რომელიც შემდგომში გამოძიებას გადაეცა.

თუმცა, ოპოზიცია აცხადებს, რომ კასეტებიდან მონტაჟის დროს ამოჭრილი იყო პრეზიდენტის მაკომპრომეტირებელი ინფორმაცია.

ისევე, როგორც 28 ოქტომბრის საქმესთან დაკავშირებით, სიმართლე ტიგრან ნაღდალიანის მკვლელობის შესახებ უახლოეს მომავალში არ გაირკვევა. ამ ინციდენტით გამოწვეული რეაქცია მძლავრი გამოდგა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა.

„როგორიც არ უნდა ყოფილიყო ამ დანაშაულის მოტივი“, - ნათქვამია ერევნის პრესკლუბის განცხადებაში, „იგი გახდა კიდევ ერთი გამოწვევა ჩვენი საზოგადოების, კერძოდ კი, სომხური ჟურნალისტიკის მიმართ. ამგვარი არაადამიაუნრი ქმედებები ძირს უთხრიან სიტყვის თავისუფლების და მთლიანად დემოკრატიის საფუძვლებს“.

# ი ყ ა ვ ი თ   ხ ა ზ ზ ე !

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

**საქართველოში ჯეოსელმა პირველმა შესთავაზა აბონენტებს SMS- მოკლე შეტყობინების მომსახურება?**

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი –დარეკეთ ნომერზე 111**
- არა–დარეკეთ ნომერზე 222**




# ჯ ე ო ს ე ლ ი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულება 0,288 ლარი

## საახალწლო ფასდაკლება ჯეოსელში!

აბონენტთა საყურადღებოდ!
თქვენ შეგიძლიათ უფასოდ გადაიფორმოთ ნომერი.
იჩქარეთ!!! აქცია ძალაშია 2003 წლის 26 იანვრამდე.

## მოკლედ

**თბილისი.** ელექტროენერგიით უწყვეტ მომსახურებაზე ხელშეკრულებას AES -თელასთან მხოლოდ 10-მდე აბონენტმა მოაწერა ხელი. როგორც AES-თელასის პრეს-ცენტრში განაცხადეს, მოსახლეობა აქტიურობას არ იჩენს. AES-თელასმა ხელშეკრულების დადება, რომელიც ელექტროენერგიის მომწოდებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობას არეგულირებს, 20 დეკემბრიდან დაიწყო. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ელექტროენერგიის ტარიფის შემცირების შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „ეი-ი-ეს თელასს" [illegible] **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „გაერთიანებული დემოკრატების" [illegible] მოაწერს.

პარლამენტის რიგგარეშე პლენარული სხდომა, სავარაუდოდ, მომავალ კვირას უნდა გაიმართოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კვირას მოსკოვში გაემგზავრა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი ალეკო გოცირიძე, ქალაქის პრემიერი გია შერაძე, „თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა. ეს უკანასკნელი გამართავს შეხვედრებს „იტერას" ხელმძღვანელობასთან, რომლის დროსაც ხელი მოეწერება ხელშეკრულებას „თბილგაზსა" და „იტერას" შორის თბილისისათვის ბუნებრივი აირის პირდაპირი მიწოდების თაობაზე. როგორც ცაავამ განაცხადა, თუ ხელშეკრულება გაფორმდება ძველი რიცხვით, ანუ პირველი დეკემბრიდან, „თბილგაზს" მოუხდება დეკემბერში მოხმარებული აირისათვის არა 9 მლნ, არამედ შედარებით ნაკლები, დაახლოებით, 6 მლნ-მდე ლარის გადახდა.

ვიზიტის დროს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი შეხვდება სს „რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემისა" და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას. შეხვედრაზე საუბარი შეეხება ორ ქვეყანას შორის ენერგეტიკულ თანამშრომლობას და დაისახება 2003 წლის გეგმები. დელეგაცია თბილისში ხუთშაბათს დაბრუნდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ინდურ-ქუთაისური ჯიპების გარდა, უახლოეს ხანში, შესაძლოა, კიდევ ერთი ერთობლივი სატრანსპორტო ნაწარმი, ამჯერად - ჩინურ-ქუთაისური მოტოციკლეტი შეიქმნას.

ქუთაისში, რამდენიმე დღეა, საქმიანი ვიზიტით პეკინის ერთ-ერთი მსხვილი კომპანია „ტინ-ბანის" წარმომადგენლები იმყოფებიან. ჩინელი ბიზნესმენების ინტერესთა სფეროში სამი ძირითადი დარგი მოექცა - სამკერვალო წარმოება, ტელევიზორების გამოშვება და მოტოციკლეტების აწყობა. ამ ბიზნეს-წინადადებებს ჩინური კომპანია, უკვე კარგა ხანია, სთავაზობს ქართულ მხარეს. ქუთაისის მერისთვის ყველაზე მომხიბლავი მოტოციკლეტების გამოშვების იდეა აღმოჩნდა.

სამდღიანი მოლაპარაკებების შემდეგ, გადაწყდა, რომ გაზაფხულზე „ტინ-ბანი" ჩინეთიდან მზა პროდუქციას ჩამოიტანს. მოტოციკლეტების აწყობა კი, ქუთაისის სატრაქტორო ქარხანაში მოხდება. როგორც „ინტერ-პრესს" ქუთაისის მერიაში უთხრეს, პირველი ჩინურ-ქუთაისური მოტოციკლეტი აპრილის თვეში გამოვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბაქო.** აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო ფონდისათვის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტში წილის დაფინანსებისათვის ქვეყნის სავალუტო რეზერვებიდან გამოყოფილი 118 მილიონი დოლარიდან უკვე გახარჯულია 52 მილიონი დოლარი. ამის შესახებ 10 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე აზერბაიჯანის ეროვნული ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ელმან რუსტამოვმა განაცხადა.

მან აღნიშნა, რომ ამ სახსრების ნავთობის ფონდისათვის გადარიცხვის გარკვეული გრაფიკი არ არსებობს, თანხების გაცემა ხდება შემოსული განაცხადების შესაბამისად. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აზერბაიჯანი კვლავინდებურად ლიდერობს რეგიონში ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების მხრივ. 2001 წელს აზერბაიჯანში ინვესტირებულ იქნა 400 მილიონი დოლარი, მაშინ, როცა სომხეთში ინვესტიციებმა 200 მილიონი შეადგინა, საქართველოში კი - 150 მილიონი დოლარი. სპეციალისტები ცალსახად აღნიშნავენ, რომ საქართველოში ინვესტიციების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. ეს აიხსნება უსაფრთხოების გარანტიების არარსებობით, ასევე, ბიზნეს-წრეებს შორის ურთიერთობების გაუარესებით. თუ 1998 წელს საქართველო განხორციელებული ინვესტიციებით აზერბაიჯანთან თითქმის თანაბარ დონეზე იმყოფებოდა (300 მილიონი 350-ის წინააღმდეგ), 2000 წელს ის სომხეთის ინვესტიციების დონეს გაუთანაბრდა.

უკანასკნელი წლების მიხედვით საქართველოში განხორციელებული ინვესტიციები ამგვარად გამოიყურება: 1998 წელს - 300 მილიონი დოლარი, 1999 - 150 მილიონი, 2000 - 130 მილიონი, 2001 წელს კი 130 მილიონი დოლარი. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკის სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია OPIC მზადაა, დააზღვიოს ყულევის საზღვაო ტერმინალის მშენებლობისას ამერიკული ინვესტიციები. ამგვარი შინაარსის წერილი სადაზღვევო კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა მიიღო. სამინისტროში ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ერთ-ერთი ამერიკული კომპანია მზად არის, გააგრძელოს ყულევში შეჩერებული ტერმინალის მშენებლობა. თუმცა, ამ კომპანიის სახელწოდება ჯერ არ ხმაურდება. იანვრის ბოლოსათვის მოლაპარაკებების წარმატებულად დასრულების შემდეგ ამერიკულ კომპანიასა და საქართველოს სამშენებლო კომპანია „ტერმინალი 2000"-ს შორის ხელი მოეწერება შესაბამის ხელშეკრულებას. შედეგად „ტერმინალი 2000" მიიღებს კრედიტს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ქართულ მხარეს, გააგრძელოს მშენებლობა. შეგახსენებთ, რომ ნავთობტერმინალის მშენებლობას, რომლის გამტარიანობა 20 მილიონი ტონაა, ახორციელებდა კომპანია „არგომარ ოილი", რომელიც, ზოგიერთი მონაცემებით, ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული ქართული კომპანიაა. „არგომარ ოილმა", დაპირებული 150 მიოლიონი დოლარის ნაცვლად, ჩადო მხოლოდ 70 მილიონი, რის შემდეგაც ფინანსური პრობლემების შესახებ გააკეთა განცხადება და მშენებლობა შეაჩერა. მშენებლობა, შესაბამისად, შეჩერდა გასული წლის ზაფხულში, რის შემდეგაც ქართული მხარე ინვესტორს ეძებდა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ინტერნეტ-ქსელით ინტენსიური მოსარგებლე 75 ათასი ადამიანია. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტით სარგებლობა, თბილისის გარდა, რეგიონებშიც საკმაოდ სწრაფად ვითარდება. განსაკუთრებით ამ მხრივ შავიზღვისპირა ქალაქები გამოირჩევიან, მათ შორის, ბათუმი და ფოთი. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ბაქო.** 2003 წელს აზერბაიჯანში ნავთობის მოპოვება 15,2 მილიონ ტონას გაუტოლდება, განაცხადეს აზერბიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეს-სამსახურში. სამსახურის მონაცემებით, ნავთობმოპოვების საერთო მოცულობიდან 8,8 მილიონი ტონა მოდის საბადოებზე, რომელსაც სახელმწიფო ნავთობკომპანია ხმელეთსა და ზღვაზე ამუშავებს.

აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანია 2003 წელს 6,450 მილიონი ტონა ნავთობის მოპოვებას გეგმავს. მიმდინარე წელს გაზის მოპოვება პროგნოზის მიხედვით 5,04 მილიარდ კუბმეტრს გაუტოლდება, მათ შორის - 890 მილიონი კუბმეტრი საოპერაციო კომპანიაზე მოდის. ეს მონაცემები ჩადებულია ქვეყნის 2003 წლის სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში. დეფიციტს გაზის მოპოვებაში სახელმწიფო ნავთობკომპანია შეავსებს კომპანია „იტერა"-ს საერთაშორისო ჯგუფთან იმპორტის ხარჯზე. დეკემბრის მიწურულიდნ სახელმწიფო ნავთობკომპანია აწარმოებს „იტერა"-ს საერთაშორისო ჯგუფთან მოლაპარაკებებს გაზის მიწოდების 4,4 მილიარდი კუბმეტრიდნ 5-5,5 მილიარდ კუბმეტრამდე გაზრდის შესახებ. არსებული შეთანხმებების საფუძველზე აზერბაიჯანის მხარე ყოველი ათასი კუბმეტრისთვის 52 დოლარს იხდის. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სააქციო საზოგადოება „აზოტი", რომელიც თავისი ძირითადი საქმიანობის - მინერალური სასუქების წარმოების განახლებას წლის დასაწყისისთვის გეგმავდა, ამ საქმიანობას მომავალი კვირიდან შეუდგება. „აზოტის" გენერალური დირექტორის, გოგი გოგოლაძის განცხადებით, საწარმოს მიერ პროდუქციის დაგეგმილ ვადაში გამოშვების შეფერხება საორგანიზაციო საკითხებს უკავშირდებოდა. რაც შეეხება პროდუქციის გასაღების ბაზრებს, რომლებიც ევროპის მოწინავე ქვეყნებსაც მოიცავს, გოგოლაძის თქმით, „აზოტს" მათი დაკარგვის საფრთხე არ ემუქრება, რადგან მინერალური სასუქების წარმოების შეჩერების პერიოდში საწარმო კლიენტებს სარეზერვო პროდუქციას აწვდიდა. მიმდინარე წელს „აზოტის" პროდუქცია 3000 ტონის ოდენობით ადგილობრივ ბაზარსაც მიეწოდა. ამჟამად საწარმოს დღე-ღამეში 500 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მიეწოდება. „აზოტის" გენერალური დირექტორის განცხადებით, მომავალ კვირას ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 700 ათასამდე გაიზრდება. **ინტერ-პრესი**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 7 - 13 იანვრის მდგომარეობით




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UKJ | US$ | Euro | Yen |
|---|---|---|---|---|
| UKJ | | 0.622 | 0.659 | 0.0052 |
| US$ | 1.6076 | | 1.0573 | 0.0084 |
| Euro | 1.5175 | 0.9458 | | 0.0079 |
| Yen | 191.47 | 118.35 | 126.17 | |

### 2003 წლის 13 იანვრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.3232 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.5538 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5913 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2090 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3271 ლარი |
| იაპონური იენი | 1 | 0.1847 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0693 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4512 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3794 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3.1424 ლარი |

# მთავრობისთვის მთავარია უაქციზო ხიზილალა

პირველი გვერდიდან

დღეს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ ფონდის ყველა რეკომენდაცია შესრულებულია. **"ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია – საბიუჯეტო შემოსავლების პარამეტრი, შესრულებულია. ერთადერთი, რაც ვერ მივიღეთ, საბიუჯეტო უფლებამოსილებათა კანონია, რომელიც პარლამენტში დროულად შევიდა, მაგრამ არ დამტკიცებულა,"** – აცხადებს ლევან ჩრდილელი.

**"ბიუჯეტი იმ პარამეტრებით, რაც უკვე წარმოდგენილია, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი საგადასახადო განაკვეთებით",** – აცხადებს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე. მისი განმარტებით, სავალუტო ფონდი მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო პარამეტრები არ არის უზრუნველყოფილი საგადასახადო განაკვეთებით. უფრო მარტივად კი - მთავრობა, დღევანდელი მონაცემებით, 2003 წელს ბიუჯეტის შესრულებას ვერ შეძლებს, თუ საგადასახადო კოდექსი არ გაამკაცრა. ამიტომაც, საბიუჯეტო შემოსავლების წარმოდგენილი ვარიანტისთვის "ზურგის გასამაგრებლად" ფინანსთა სამინისტრო პარლამენტის წინაშე საგზაო გადასახადის გაზრდისა და სამეწარმეო გადასახადის აღდგენის ინიციატივით გამოვიდა.



*საგადასახადო კოდექსის გამარტივებაზე საუბარი „ენის ქავილად" იქცა*

ფინანსთა სამინისტროს ეს ინიციატივა პარლამენტმა არ მოიწონა. საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებამ საგზაო გადასახადის 1-დან 2 პროცენტამდე გაზრდის ხარჯზე საბიუჯეტო შემოსავლების გაბერვის უფლება ფინანსისტებს არ მისცა.

პარლამენტმა ფინანსთა სამინისტროს სამეწარმეო საქმიანობაზე 2001 წელს გაუქმებული გადასახადის აღდგენის ინიციატივაც არ მოუწონა. **"თუ ეს გადასახადი არ აღდგება, საბიუჯეტო შემოსავლების 25 მილიონით კორექტირება გახდება საჭირო,"** – შეშობს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეწარმეო საქმიანობაზე დაწესებული გადასახადი, თავის დროზე, მეწარმეთათვის ხელშემშლელი მოტივით გაუქმდა. სწორედ ის იყო უმთავრესი მიზეზი, რომ პარლამენტმა ფინანსისტებს მის აღდგენაზე უარი განუცხადა. კანონმდებლებმა მიიჩნიეს, რომ ფინანსთა სამინისტრომ 2003 წლის საბიუჯეტო შემოსავლების უზრუნველყოფისათვის სხვა რეზერვები უნდა გამოძებნოს.

საბოლოოდ, გამოდის, რომ სავალუტო ფონდის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთაგან ერთადერთი, რომელიც სერიოზული წინააღმდეგობების გარეშე შესრულდა, ფულის „გათეთრების" წინააღმდეგ საკანონმდებლო ნიადაგის შემზადება გახდა. ისეთ ეკონომიკურ დანაშაულთან საბრძოლველად, როგორიც „შავი ფულის" ნაკადებია, საერთაშორისო გამოცდილება საბანკო სექტორის კონტროლის მექანიზმების გამკაცრებას ითვალისწინებს. ეს ფუნქცია საგანგებოდ შექმნილმა ბიურომ უნდა შეასრულოს. ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი დიდხანს ვერ თანხმდებოდნენ, თუ რა სტატუსით უნდა ჩამოყალიბებულიყო ეს ბიურო. ფინანსთა სამინისტრო მიიჩნევდა, რომ ეს უწყება დამოუკიდებელი ორგანო უნდა ყოფილიყო, ეროვნული ბანკს ეს ბიურო თავის დაქვემდებარებაში უნდოდა. მიუხედავად ამისა, წარმოშობილ წინააღმდეგობას კანონპროექტის მომზადებისთვის ხელი არ შეუშლია. საბოლოოდ, ეროვნული ბანკის პოზიციამ გაიმარჯვა და მის მიერ დამუშავებული კანონპროექტი პარლამენტში დასამტკიცებლად უკვე წარდგენილია, მაგრამ მიღებული ჯერჯერობით არ არის.

# 550 000 ლარი წარმოებიდან ამოღებული „ვინდოუსის" გაქართულებისთვის!!!

„მაიკროსოფტის" პროგრამული პროდუქტების გაქართულებისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა - 550 000 ლარი შესაძლოა, აბსოლუტურად უსარგებლო აღმოჩნდეს.

როგორც ჩვენი მკითხველისთვის უკვე ცნობილია, ენის სახელმწიფო პალატა და ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტი „ვინდოუს 98"-ის გაქართულებაზე მუშაობენ. მართალია, გარკვეული სამუშაოები უკვე ჩატარებულია, მაგრამ დასრულებისთვის პალატა და დეპარტამენტი ბიუჯეტიდან აღნიშნული თანხის გამოყოფასღა ელოდნენ.

**„ვინდოუს 98-ში ქართული ენის მხარდაჭერის ჩადება გამორიცხულია",** - აღნიშნავს კახა ორკოშნელი, რომელიც, დაახლოებით 5 წელია, „მაიკროსოფტის" ბეტა ტესტერია და როგორც თავად აცხადებს, „მაიკროსოფტის" წარმომადგენლებთან უფრო ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობები აკავშირებს.

გარდა ამისა, ტერმინების გაქართულებაც აბსოლუტურად უსარგებლოდ დახარჯულ შრომად შეიძლება ჩაითვალოს, - „თუ მხოლოდ მენიუ იქნა გაქართულებული და შეუძლებელი გახდა ქართულად წერა, პროდუქტი არასრულყოფილი და გამოუსადეგარი იქნება" - აღნიშნავს მაიკროსოფტის ბეტა ტესტერი.

მისი აზრით, კარგი იქნებოდა სამუშაოები არა „98"-ით, არამედ NT პლატფორმის „ვინდოუსის" გაქართულებით დაეწყოთ: **„ეს უნიკოდზე დამყარებული პლატფორმაა, უნიკოდში კი ქართული ენის მხარდაჭერა არის".**

ასეა თუ ისე, ოპერაციული სისტემის გაქართულებისთვის, უფრო კონკრეტულად კი „ლეგალიზაციისა და ლოკალიზაციის საკითხების მოსაგვარებლად" (ასე განმარტავს თანხის საჭიროებას ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, დავით თარხან-მოურავი), ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფას თითქმის არანაირი საფრთხე არ ემუქრება. საქართველოს საპარლამენტო ფრაქციებმა და კომიტეტებმა 2003 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა დაიწყეს. მასში შესული ცვლილებები პროგრამული პროდუქტების გაქართულების სახსრებს არ შეხებია. ალბათობა იმისა, რომ 2003 წლის ბიუჯეტი „ქართული ვინდოუსისთვის" საჭირო თანხებს მოიძიებს და გამოყოფს, დიდია. თუმცა, კონკრეტულად რას მოხმარდება ეს თანხები, ჯერ არავინ იცის...

*„24 საათი"*

# რუსული ნავთობი, იაპონიის გავლით, ამერიკისათვის

*რუსეთისა და იაპონიის ხელისუფალნი ახლოს არიან ისტორიულ ხელშეკრულებასთან, რომელიც ამომავალი მზის ქვეყანას მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს ნავთობის იმპორტირების პრობლემას.*

თორნიკე შარაშენიძე

საუბარია ხუთ მილიარდ დოლარად შეფასებულ ნავთობსადენზე, რომელიც ციმბირის გავლით რუსულ "შავ ოქროს" იაპონიას მიაწვდის. ნავთობსადენის სიგრძე, დაახლოებით, 3 ათასი კილომეტრი იქნება და იგი უდიდეს შეღავათს მისცემს იაპონიას, რომელსაც საკუთარი ნავთობი საერთოდ არ გააჩნია და 100 პროცენტით იმპორტზეა დამოკიდებული. აქედან 80 პროცენტი კი ახლო აღმოსავლეთზე მოდის, რომლის იმედად ყოფნა, იქ არსებული არასტაბილურობის გამო, ნამდვილად არ შეიძლება. ნავთობსადენის მშენებლობა, რუსეთისა და ამომავალი მზის ქვეყნის გარდა, ვაშინგტონის ინტერესებშიც შედის, რომელიც ახლო აღმოსავლეთში და ვენესუელაში შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, ნავთობის იმპორტირების ახალ-ახალ გზებს ეძებს. იაპონიიდან რუსული "შავი ოქროს" აშშ-ს დასავლეთ ნაპირზე ტრანსპორტირება კი პრობლემას ნამდვილად არ წარმოადგენს.

ნავთობსადენი ბაიკალის ტბის მახლობლად, ანგარსკიდან აიღებს სტარტს და წყნარი ოკეანის პორტს,



*რუსულ-იაპონური ნავთობთანხმობა.*

ნახოდკას დაუკავშირდება. იგი რამდენიმე კილომეტრის სიღრმეში შევა იაპონიის ტერიტორიაზე. იაპონიის პრემიერმა კოიძუმიმ და რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა უკვე, პრაქტიკულად, ყველაფერზე მოილარაკეს. თუმცა, გარკვეული საკითხები ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

საქმე ისაა, რომ პროექტი "ტრანსნეფტის" მიერაა შემუშავებული, რომელიც აქამდე რუსეთის ერთ-ერთ უძლიერეს კომპანიად იყო მიჩნეული. მაგრამ ბოლო ხანებში, მისდამი ნდობა საგრძნობლად შეირყა. მთავარ დამნაშავედ ამაში კომპანიის ხელმძღვანელს, "ლუკოილის" ყოფილ თანამშრომელს, სიმიონ ვაინშტოკს მიიჩნევენ, რომელმაც "ტრანსნეფტი" 1999 წელს ჩაიბარა. თავიდან ეს მართლაც რომ წარმატებული კომპანია იყო, რომელმაც ორი ნავთობსადენი და პრიმორსკში პორტი ააგო, მაგრამ ახლა საკონსულტაციო ფირმებს სულ უფრო და უფრო ხშირად შეაქვთ ეჭვი "ტრანსნეფტის" შესაძლებლობებში და გამოითქმის მოსაზრება, რომ იგი თავს ვერ გაართმევს ხუთ-მილარდიან ნავთობსადენს დათქმულ დროში.

სწორედ "ტრანსეფტის" ჩავარდნას ელის რუსეთის კიდევ ერთი ნავთობგიგანტი "იუკოსი," რომელსაც ალტერნატიული პროექტი გააჩნია. "იუკოსს" განზრახული აქვს ანგარსკიდან ნავთობსადენი ჩინეთის პროვინცია მანჩურიამდე გაიყვანოს. ეს პროექტი გაცილებით უფრო იაფია – იგი 1,8 მილიარდი ჯდება.

"ფაინენშალ ტაიმსის" ცნობით, კრემლი ამ ორიდან მხოლოდ ერთ-ერთ პროექტს დაუჭერს მხარს. ცხადია, მოსკოვის ამბიციებსა და ვაშინგტონის სურვილს ხუთმილიარდიანი ნავთობსადენი უფრო შეეფერება და, აქედან გამომდინარე, "იუკოსს" შანსი თითქმის არა აქვს, თუმცა კომპანია ირწმუნება, რომ მისი გეგმა წარმატებით განხორციელდება და მას ხელს ვერაფერი შეუშლის. "იუკოსი" – ციმბირული ნავთობის უმსხვილესი მწარმოებელი - უკვე შეუთანხმდა პეკინს იმის თაობაზე, რომ 2005 წლიდან 2010 წლამდე მას 20 მილიონ, ხოლო 2010 წლიდან 2030 წლამდე - 30 მილიონ ტონა "შავ ოქროს" მიაწვდის.

# თეთრი სახლი მთელ ინტერნეტს გააკონტროლებს

თეთრი სახლის ადმინისტრაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ აპირებს გაფართოებული ინტერნეტ-მონიტორინგის სისტემის შექმნას, კიბერთავდასხმებისა და კიბერტერორისტული ქმედებების თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად.

ტოტალური ინტერნეტ-მონიტორინგის ცენტრის შექმნა იმის მანიშნებელია, რომ ქსელში მიმდინარე ნებისმიერი პროცესი, მათ შორის, კერძო ინფორმაციის ნაკადი, კონტროლის ქვეშ მოექცევა.

თეთრი სახლის განაცხადის მიმართ თავის უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ ქვეყნის წამყვანი IT-კომპანიები და ინტერნეტ-პროვაიდერები, რადგან, კანონის მიღებისთანავე, მათ კონფიდენციალური ინფორმაციის წესების გადახედვა მოუწევთ, კლიენტებისთვის კი ეს საკმაოდ არასასიამოვნო სიახლე იქნება.

ახალი კანონი - „კიბერტერორიზმში უსაფრთხოების ნაციონალური სტრატეგიის შესახებ" ძალაში 2003 წლიდან შევიდა.

გავლენიანი იურისტებისა და ინტერნეტ-ინდუსტრიის წარმომადგენლების აზრით, ბუშის ადმინისტრაციის ინიციატივა, მიუხედავად დამამშვიდებელი განაცხადებისა, რომ ის არ შეეხება კერძო მიმოწერას, ადამიანის უფლებებს სერიოზულ საფრთხეს უქმნის, მით უფრო, რომ, პროექტის თანახმად, ელექტრონული ფოსტის ანალიზისთვის სასამართლოსაგან სპეციალური უფლება საჭირო არ არის, თუ „წერილის შინაარსი სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხის მატარებელია". სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ტერმინი - „საფრთხის მატარებელი" - ძალიან ზოგადი და სადავოა.

*"24 საათი"*

# ვაზიანის საქმის გამოძიება დასრულდა

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ვაზიანის სამხედრო ბაზის ძარცვის ფაქტებზე ბოლო დროს აღძრული სისხლის სამართლის საქმეებიდან ყველაზე გახმაურებული - ტყვიამფრქვევების ქურდობის საქმის გამოძიება რამდენიმე დღის წინ დასრულდა. მთავარმა სამხედრო პროკურატურამ საბოლოოდ დაადგინა, რომ სამხედრო ბაზიდან არსენალის გატანის მიზანი საბოტაჟი და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესუსტება არ ყოფილა. დიდი რაოდენობის იარაღის დაკარგვის ფაქტი, რომელიც სრულიად შემთხვევით გახდა ცნობილი, თავდაპირველად საბოტაჟის მცდელობად მოინათლა. "საბოტაჟი" მოგვიწყვეს; გარკვეულ ძალებს სურთ, ჩრდილი მიაყენონ საქართველოს და ჩაშალონ "წვრთნისა და აღჭურვის" ამერიკული პროგრამა; ზოგიერთებს სურთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესუსტება", – ასე აფასებდნენ ვაზიანის სამხედრო ბაზიდან არსენალის ჩუმად გატანის გახმაურებულ ფაქტს.*



ზაალ ბალუაშვილის ფოტო

*ვაზიანის სამხედრო ბაზიდან გატაცებულ ტყვიამფრქვევები თბილისის ზღვაზე აღმოაჩინეს.*

უტყვიამფრქვევებოდ, ფარების, რადიოსადგურებიასა და ხედვის მოწყობილობების გარეშე დარჩენილი სამხედრო ნაწილის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი მას შემდეგ მიწყნარდა, როგორც კი გამოძიების პირველივე ეტაპზე აშკარა გახდა, რომ არსენალის გამტანებს აზრადაც არ მოსვლიათ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესუსტების მცდელობა. უბრალოდ, საკუთარ ჯიბეზე ფიქრობდნენ და ქურდობა ანგარების მიზნით ჩაიდინეს.

ცოტა ხნის წინათ, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაპოვნი 13 ტყვიამფრქვევი სამხედრო ნაწილს დაუბრუნდა. საოლქო სასამართლო სულ მალე სამ ქართველ ოფიცერს - ვაჟა გუტაშვილს, ზვიად ჩუბინიძესა და ლევან პაპაშვილს გაასამართლებს, რომლებსაც მთავარი სამხედრო პროკურატურა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებად ასახელებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ვაზიანის საქმეში ის გახლავთ, რომ მთავარი დამნაშავეები, საქმეში დანაშაულის დამკვეთად დასახელებული სარიბეგ მატოსიანი და ჯუმშუტ დავიდოვი, უკვე კარგა ხანია, საქართველოში აღარ იმყოფებიან. სწორედ ამის გამო ვაზიანის საქმე ორ ნაწილად გაიყო. სამი ოფიცრის საბრალდებო დასკვნას, როგორც უკვე აღინიშნა, უახლოეს დღეებში მართლმსაჯულება განიხილავს. სარიბეკ მატოსიანისა და ჯუმშუტ დავიდოვის ბრალეულობაზე დაწერილი ოთხი ტომი კი ხელუხლებლად მანამ შეინახება, სანამ ძებნილებს არ იპოვიან.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქართველმა სამართალდამცველებმა უკვე თითქმის დაზუსტებით იციან საქართველოდან გაპარულ-გაქცეული დავიდოვისა და მატოსიანის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი და უცხოელი კოლეგების დახმარების იმედი აქვთ. მთავარ სამხედრო პროკურატურაში დარწმუნებულები არიან, რომ მიუხედავად იმისა, უკვე მოასწრეს თუ არა ვაზიანის საქმის მთავარმა დამნაშავეებმა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება, დაკავებისთანავე მათი ექსტრადირება მოხდება და ისინი, როგორც საქართველოს მოქალაქეები, საქართველოშივე გასამართლდებიან. გამორიცხული არ არის, მათი პოვნისა და დაკავების შემთხვევაში, მათ მიერ საქართველოში ჩადენილი სხვა დანაშაულებიც გამომჟღავნდეს.

შეძლებენ თუ არა თავის გამართლებას სასამართლო გამოძიებისას ვაჟა გუტაშვილი, ზვიად ჩუბინიძე და ლევან პაპაშვილი, რომლებმაც წინასწარი გამოძიების დროს ვაზიანის სამხედრო ბაზის ეტაპობრივი ძარცვა აღიარეს და დეტალებში აღწერეს ჩადენილი დანაშაული, თანაც ის თანხებიც უპრობლემოდ დაასახელეს, რასაც მათ ჯუმშუტ დავიდოვი და სარიბეკ მატოსიანი სამხედრო ნაწილიდან გატანილი იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის გასამრჯელოდ უხდიდნენ, წინასწარ ძნელი სათქმელია. ისიც დასაშვებია, რომ გამოძიების პროცესში მათ მიერ ადრე ჩადენილი ჯერ კიდევ გაუხმაურებელი დანაშაულები გახდეს ცნობილი. სასამართლოს მიერ მათ მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შეთხვევაში, თითოეულ მათგანს ხანგრძლივი პატიმრობა ელის. სავარაუდოდ, სასამართლო პროცესიც, საქმის სირთულიდან და ტევადობიდან გამომდინარე, ხანგრძლივი და ხმაურიანი იქნება.

საქმის მასალების მიხედვით, ვაზიანის სამხედრო ბაზის ძარცვა ასე დაიწყო: მოსკოვის პროსპექტზე მდებარე რუსეთის ფედერაციის სატანკო-სარემონტო ქარხნის შემდუღებელმა მუშამ სარიბეკ მატოსიანმა და მისმა მეგობარმა ჯუმშუტ დავიდოვმა შემთხვევით გაიცნეს ვაზიანის სამხედრო ბაზის ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის მეთაური ვაჟა გუტაშვილი, რომლის გამგებლობაშიც იმყოფებოდა სამხედრო ნაწილზე რიცხული ჯავშანსატანკო ტექნიკა, შეიარაღება, საბრძოლო აღჭურვილობა და სხვა ქონება. შეიარაღებული ძალების შინაგანი სამსახურის წესდების მიხედვით, გუტაშვილი პასუხს აგებდა ბატალიონის საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნისთვის.

ჯუმშუტ დავიდოვმა და სარიბეკ მატოსიანმა ვაჟა გუტაშვილს სხვადასხვა ტიპის საბრძოლო მოწყობილობების მოპარვა შესთავაზეს საკმაოდ სოლიდური გასამრჯელოს საფასურად და დაიყოლიეს კიდეც. ვაჟა გუტაშვილმა სამხედრო ნაწილის პირველი ასეულის მეთაურს გაანდო სარფიანი შემოთავაზების საიდუმლო და მათ შეთანხმებას მიაღწიეს.

თავდაპირველად, მოპარული ოთხი ცალი "ოუ-3გ" მარკის შუქფარში დამკვეთებმა, რომლებიც თავადაც იღებდნენ მონაწილეობას ქურდობაში, პაპაშვილსა და გუტაშვილს 100 ამერიკული დოლარი გადაუხადეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სამხედრო ნაწილს ოთხი ცალი შუქფარის დაკარგვის გამო, 1860 ლარის ზარალი მიადგა. სამხედრო ნაწილში პირველი ქურდობის შედეგიანად დასრულებით კმაყოფილმა დამკვეთ-შემსრულებლებმა, შედგენილი გეგმის მიხედვით, დაიწყეს სამხედრო ნაწილის ძარცვა ისე, რომ არავის არაფერი გაუგია. სამხედრო ნაწილის ოფიცრებთან დაახლოებული მატოსიანისა და დავიდოვისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა სამხედრო ნაწილში ჩუმად შესვლა და სასურველი აღჭურვილობის მოპარვა. სხვადასხვა მარკის 30 რადიოსადგური, ძვირადღირებული 6 ცალი "ტრიმპლექსი" (ხედვის მოწყობილობა) უკვე ნახსენები 4 შუქფარი სამხედრო ნაწილიდან ნაწილ-ნაწილ გაუჩინარდა. რაც მთავარია, სამხედრო ნაწილში შეპარულ დავიდოვს და მატოსიანს, მოულოდნელი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, გუტაშვილი და პაპაშვილი ნაწილის გარეთ, ბუჩქებსა და ბალახებში დამალულები დარაჯობდნენ და საშიშროების მოახლოებას მობილური ტელეფონებით ატყობინებდნენ. პირიქითაც ხდებოდა. ხშირ შემთხვევაში კი დამკვეთები და შემსრულებლები ნაწილის საცავში ერთად შედიოდნენ, ერთად გამოჰქონდათ ნაქურდალი, იქვე, სამხედრო ნაწილში მდგომი ჯუმშუტ დავიდოვის კუთვნილი ავტომანქანის საბარგული ივსებოდა და მანქანის მფლობელი, მეგობართან ერთად, სასურველი იარაღითა და მოწყობილობებით დატვირთული ტოვებდა იქაურობას. ყველაფერი იმით მთავრდებოდა, რომ დამკვეთები დაპირებულ თანხას გასცემდნენ, ნაყიდ ნაწილებს უფრო ძვირად ყიდდნენ და ახალ დაკვეთას იძლეოდნენ. მოგვიანებით, საქმეში სამხედრო ნაწილის მესამე ოფიცერი – ზვიად ჩუბინიძეც ჩაერთო.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ვაზიანის სამხედრო ბაზის მეთერთმეტე ბრიგადიდან 13 ერთეული სატანკო ტყვიამფრქვევი ერთბაშად გაუჩინარდა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ვაზიანის ბაზიდან გატანილი ძვირადღირებული და სამხედრო ნაწილისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო მოწყობილობები – რადიოსადგურები, ხედვის მოწყობილობები და შუქფარები რუსეთში გაიტანეს და იქ გაყიდეს.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ტანკებიდან მოხსნილი 13 ტყვიამფრქვევი, რომლებიც თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, ყოფილი სამწვადის დანგრეულ შენობაში აღმოაჩინეს, უკვე გასაყიდად იყო გამზადებული.

ვაზიანის სამხედრო ბაზიდან დაკარგული არსენალის აღმოჩენის დღესვე საქმეში ჩართულმა მთავარმა სამხედრო პროკურატურამ ისანი-სამგორის სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ეჭვმიტანილთა სატელეფონო საუბრების გადამოწმების მოთხოვნით, რაზეც თანხმობა მიიღო. ვაზიანის საქმის ერთ-ერთი უზარმაზარი ტომი მხოლოდ სატელეფონო ნომრებს ეთმობა, რომელთა მიხედვითაც დგინდება, რომ გუტაშვილი, პაპაშვილი, დავიდოვი, მატოსიანი ერთმანეთს საკუთარი მობილური ტელეფონებით საღამოს ათ საათზე უკავშირდებიან და საუბარს დილის 7-8 საათზე ასრულებენ. მოგვიანებით კი, გამოძიებისთვის კვალის დასაკარგად, ერთმანეთს ოჯახის წევრების ან მეგობრების მობილური ტელეფონების საშუალებით ესაუბრებიან და მოახლოებულ საშიშროებაზე მსჯელობენ. სანამ გამოძიება მატოსიანსა და დავიდოვზე ეჭვს საბოლოოდ აიღებდა, მათ თავს უშველეს – მოსკოვის პროსპექტზე მცხოვრებმა მეზობლებმა საკუთარი ბინები სასწრაფოდ გაყიდეს და საქართველოს საზღვრებს გარეთ მოახერხეს გაქცევა. საქმეში დევს მატოსიანის მეუღლის, აშხენ მატოსიანის განცხადება, რომელშიც მითითებულია, რომ სატანკო-სარემონტო ქარხნის მუშა, ოჯახური პირობების გამო, სამსახურიდან გათავისუფლებას ითხოვს. რუსეთის ფედერაციის სატანკო-სარემონტო ქარხნის შემდუღებლის სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, მატოსიანისა და დავიდოვის კვალს სამართალდამცველები ვეღარ აგნებენ. პაპაშვილი, გუტაშვილი და ჩუბინიძე კი დანაშაულს აღიარებენ და ერთმანეთთან დაპირისპირებისას დეტალურად აღწერენ ქურდობის თითითოეულ დეტალს.

ერთი სიტყვით, მართლა დაეხმარებიან თუ არა ქართველ სამართალდამცველებს უცხოელი კოლეგები, დაიჭერენ და გადმოსცემენ თუ არა იარაღის უკანონო ვაჭრობაში ბრალდებულ დავიდოვსა და მატოსიანს, წინასწარ ძნელი სათქმელია. ფაქტი ერთია – ვაზიანის სამხედრო ბაზის გაქურდვაში დადანაშაულებული სამი ქართველი ოფიცერი საოლქო სასამართლოს წინაშე უახლოეს პერიოდში წარდგება.

# ვაგზლის ტერიტორიაზე მოქმედი კრიმინალური დაჯგუფების წევრები დააკავეს

ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე გუშინ სამართალდამცველებმა ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი სპეციალიზებული ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები დააკავეს. ჯგუფის წევრები ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე მუშაობდნენ. დაკავებულები ეჭვმიტანილნი არიან ქურდობაში, ძარცვა-ყაჩაღობაში, ძალადობრივ თავდასხმებში და მკვლელობაში.

გუშინწინ ვაგზლის ტერიტორიაზე ისინი თავს დაესხნენ ფეხით მიმავალ გოჩა პავლიაშვილს და ძალის გამოყენებით მას ქურთუკი და ფული წაართვეს. ერთი საათის შემდეგ იმავე ტერიტორიაზე მორიგი თავდასხმა განახორციელეს. 78 წლის მამუკა ბერუაშვილი თავდამსხმელებმა გულ-მკერდისა და ბარძაყის არეში მძიმედ დაჭრეს და ქურთუკი წაართვეს. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბერუაშვილი საავადმყოფოს რეანიმაციის გამყოფილებაში იმყოფება.

გუშინ კანონდამცველებმა ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედი ორგანიზებული ჯგუფის სამი წევრი დააკავეს. ორჯერ ნასამართლევი, ფოთელი რუსლან დუმბაძე, მარტვილელი გელა ფაცაცია და გარდაბნელი მალხაზ გოჩიაშვილი.

თბილისში, ვაგზლის მიმდებარე ტეროტორიაზე მოქმედი კრიმინალური ჯგუფებიდან, რომლებიც ყაჩაღობაზე არიან სპეციალიზებულნი, ერთ-ერთი ჯგუფის სამი წევრის დაკავება გუშინ კანონდამცველებმა მოახერხეს. ძალოვანთა ინფორმაციით, სხვა ბანდების მსგავსად ეს ჯგუფიც 7-კაციანია.

# გიორგი ღონღაძის ნათესავი უგზო-უკვლოდ დაიკარგა

ლვოვის ჟიდაჩევსკის რაიონის პროკურატურა, თვეზე მეტია, ეძებს გიორგი ღონღაძის დედის ლესი ღონღაძის დისშვილს, 17 წლის ნიკოლაი სტეციშინს. ჟიდაჩევსკის რაიონის პროკურორის ანდრეი პანჩიშინის განცხადებით, სამართალდამცველები სტეციშინის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო 5 ვერსიაზე მუშაობენ. პროკურატურა არც უბედური შემთხვევის ვერსიას გამორიცხავს.

პროკურორ ანდრეი პანჩიშინის თქმით, საქმე მას და ლვოვის პროკურორს პირად კონტროლზე ჰყავთ აყვანილი. პროკურორი ირწმუნება, რომ დაკარგულის მოსაძებნად ერთი თვის წინ დაწყებული სამუშაოები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 150-ზე მეტმა მილიციელმა და მაძებარმა ძაღლებმა, კვლავ მიმდინარეობს. დაკითხულია 50-ზე მეტი ადამიანი. მიუხედავად ამისა, კანონდამცველთა საქმიანობას შედეგი არ მოჰყოლია.

პროკურატურის ინფორმაციით, ნიკოლაი სტეციშინი 6 დეკემბრის საღამოს დაიკარგა, იმ დროს, როცა დისკოთეკიდან სახლში ბრუნდებოდა. 7 დეკემბერს შვილის დაკარგვის გამო მილიციას მიმართა ნიკოლაის მამამ, 12 დეკემბერს კი აღიძრა საქმე. პროკურატურა არ გამორიცხავს ვერსიას, რომ ნიკოლაი სტეციშინის დაკარგვა შეიძლება დაკავშირებული იყოს მისი დეიდაშვილის, ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობასთან.

რამდენიმე დღის წინ ახალი განცხადება გააკეთა საერთაშორისო ორგანიზაცია "ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე" გენერალურმა მდივანმა რობერ მენარმა. მან გამოთქვა ეჭვი, რომ გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმე არასდროს გაიხსნება, რადგან საქმის მიფუჩეჩებით დაინტერესებულია უკრაინის ხელისუფლება. რობერ მენარმა უკრაინის ხელისუფლებას პირობა მისცა, რომ ორგანიზაცია "ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე", ევროსაბჭო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ღონღაძის საქმეს ბოლომდე მიიყვანენ.

# კავკასიელთა ბოევიკი მოსკოვში

მოსკოვში, საბჭოს ქუჩაზე შუადღისას გამართულ შეიარაღებულ შეტაკებას ერთი ადამიანი ემსხვერპლა, ერთი კი მძიმედ დაიჭრა.

მოსკოვის მილიციის ინფორმაციით, საბჭოს ქუჩაზე მდებარე ფართო პროფილის გამოფენა-ბაზრობის "იზმაილოვსკი ვერნისაჟის" წინ კავკასიელებს შორის მომხდარი კამათი მძაფრსიუჟეტიან ბოევიკში გადაიზარდა. მილიციის ინფორმაციით, გამოფენა-ბაზრობის ხელში ჩასაგდებად მომხდარი ჩხუბისას მოკლეს 35 წლის აზერბაიჯანელი, ხოლო დაჭრილი, რომლის ვინაობაც მილიციისთვის უცნობია, კანონდამცველებისთვის ასევე უცნობმა პირებმა მუქი ფერის მანქანით წაიყვანეს. მოგვიანებით მილიციამ შეიტყო, რომ დაჭრილი მოსკოვის 36-ე საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში იმყოფება.

მოსკოვში მომხდარმა კიდევ ერთმა თავდასხმამ ყოფილი ფეხბურთელისა და სპორტული კომენტატორის იური ტიშკოვის სიცოცხლე შეიწირა. მოსკოვის მილიციის ინფორმაციით, ტიშკოვი, რომელსაც საკუთარი ბიზნესი ჰქონდა, სფეროების განაწილების მსხვერპლი გახდა, იგი კავკასიელთა კრიმინალური დაჯგუფების წევრებმა მოკლეს.

## მოკლედ

**მოსკოვი.** ქართული სპეცსამსახურების მიერ პანკისის ხეობაში განხორციელებული ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაცია წარმატებულად მიმდინარეობს, მაგრამ ის ჯერ არ დასრულებულა. ამის შესახებ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს რუსეთში აშშ-ს ელჩმა ალექსანდრე ვერშბოუმ განუცხადა.

„ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოსთან, რათა დავეხმაროთ მას თავისი ტერიტორიების უკეთ გაკონტროლების საქმეში და იმაში, რომ ეს ტერიტორია ჩეჩნების მიერ არ იქნეს გამოყენებული ტერორისტული აქტების მოსამზადებელ ბაზად," - აღნიშნა ამერიკელმა ელჩმა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეი-ი-ეს თელასის" მოკლული მენეჯერის ნიკა ლომინაძის დედამ პარლამენტარ ელენე თევდორაძეს დახმარებისთვის მიმართა. ელენე თევდორაძის განცხადებით, ნიკა ლომინაძის დედამ მას საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან შუამდგომლობა სთხოვა. თევდორაძის ინფორმაციით, ნიკა ლომინაძის დედა და მეუღლე კატეგორიულად აცხადებენ, რომ ნიკა ლომინაძის მკვლელობის ბრალდებით დაკავებული ეჭვმიტანილი, სინამდვილეში ნიკა ლომინაძის მკვლელი არ არის. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** „ნორდ-ოსტის" ტერაქტის მომწყობ ზოგიერთ ტერორისტს ჰქონდა იგივე სერიის პასპორტები, რომლებიც გაცემული იყო აფხაზეთის მაცხოვრებლებზე, - განაცხადა აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა.

ნადარეიშვილი ირწმუნება, რომ მოვსარ ბარაევის ჯგუფის ზოგიერთი ტერორისტის პასპორტი შეესაბამება იმ სერიას, რომელიც გაიცემოდა 2002 წლის ზაფხულში აფხაზეთში. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** არძინბას უშიშროების სამსახურში განაცხადეს, რომ კოდორის ხეობიდან აფხაზეთის ტერიტორიის სიღრმეში "შეიარაღებული შემოჭრის" რეალური საფრთხე არსებობს. სერგეი ცარგუშის განცხადებით, კოდორის ხეობაში 900-ზე მეტი შეიარაღებული ქართველი მესაზღვრე და ეროვნული გვარდიის რეზერვისტი იმყოფება.

მათი გარღვევის საშიშროება საკმაოდ დიდია, - თქვა მან. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** უზენაეს სასამართლოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც დაევალათ საერთო სასამართლოებში წარმოებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე საქმეების შესწავლა და განზოგადება. სამუშაო ჯგუფები შეისწავლიან საქმეებს საწარმოებისა და ორგანიზაციების რეგისტრაციის, აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების, პატიმრობის ვადის გაგრძელების, კერძო განჩინებებზე რეაგირების, კორუფციული და სხვა მძიმე კატეგორიის დანაშაულთა შესახებ. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ჯონდი ბაღათურია საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც თამაზ ნადარეიშვილი გამართლდა, უახლოეს ხანში უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს. ბაღათურია მიიჩნევს, რომ სასამართლომ არაობიექტური გადაწყვეტილება მიიღო და პროცესი უამრავი დარღვევით წარიმართა. იგი აპირებს, იუსტიციის საბჭოში შეიტანოს დისციპლინური სარჩელი საოლქო სასამართლოს მოსამართლე გულედანის წინააღმდეგ. ბაღათურია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კორუმპირებულობის დამადასტურებელ მასალებს პროკურატურას გადასცემს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დღეს დილით თბილისში, თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე უცნობი მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. გარდაცვლილი საშუალო ასაკის მამაკაცია და იგი, სავარაუდოდ, გულის შეტევისგან გარდაიცვალა. გვამი, სამედიცინო დათვალიერების მიზნით, ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი. ამ დროისთვის გარდაცვლილის ვინაობა დგინდება. აღნიშნულ ფაქტზე მოკვლევას მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურა აწარმოებს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი**. თბილისში ბოლო ერთი თვის განმავლობაში ნაპოვნია 5 გვამი. სამართალდამცველებმა 11 დეკემბერს 52 წლის ვლადიმერ ძულიაშვილის გვამი დილმის მასივში იპოვეს; 12 დეკემბერს ლუდის ბარ "ყაზბეგის" მიმდებარე ტერიტორიაზე გაყინული მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს; 23 დეკემბერს 45-50 წლის უცნობი მამაკაცის გვამი თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციამ იპოვა; 6 იანვარს წინამძღვრიშვილის ქუჩაზე 20 წლის რამაზ ხიზამბარელის გვამი ნახეს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი უახლოეს მომავალში "პოლიციის შესახებ" კანონის შესრულებასთან დაკავშირებით სპეციალურ საკომიტეტო მოსმენას გამართავს და დასკვნას გამოიტანს. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის გოჩა პაიჭაძის განცხადებით, ქვეყანაში არსებული მძიმე კრიმონოგენული ვითარება "პოლიციის შესახებ" კანონის სრულად თუ არა, ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე მეტყველებს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი ელენე თევდორაძე 26 იანვარს სტრასბურგში დაგეგმილ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე გაემგზავრება. ელენე თევდორაძის განცხადებით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესია მონიტორინგის კომიტეტის იმ ექსპერტთა ჯგუფის მოხსენებას მოისმენს და განიხილავს, რომელმაც პანკისის ხეობაში შექმნილი ვითარება ადგილზე შეისწავლა. **ინტერ-პრესი.**

# თვითმკვლელობა ქუთაისში

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

ტყიბულის რაიონის სოფელ კურსებში მცხოვრებმა ზურაბ დოლონაძემ გუშინ ქუთაისში, რუსთაველის ხიდის კონსტრუქციაზე თავი ჩამოიხრჩო. მისი გვამი დილით გამვლელებმა შეამჩნიეს და პოლიციას აცნობეს. ქუთაისის პოლიციის უფროსის თემურ ნოზაძის განმარტებით, გვამს გარეგნული დათვალიერებით ძალადობის ნიშნები არ ეტყობა. დოლონაძეს ჯიბეში სამხედრო ბილეთი და თაგვის საწამლავი უპოვეს. ზორაბ დოლონაძემ ხიდის კონსტრუქციაზე საკუთარი ქამრით ჩამოიხრჩო თავი. დერჯერობით, თვითმკვლელობის მოტივები უცნობია. პოლიციამ მომხდარის შესახებ დოლონაძის ოჯახის წევრებს გუშინვე აცნობა.

თვითმკვლელობის შემთხვევა ქუთაისში ორი დღის წინაც მოხდა. 75 წლის გრიშა ვაშაყმაძემ მას შემდეგ, რაც იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს, საკუთარ სახლში თავი ჩამოიხრჩო. იგი ავტომობილების მრეცხავად მუშაობდა.

# ლონდონში დაპატიმრებული ისლამისტები პანკისის „ტერორისტული აკადემიის" წევრები იყვნენ

პირველი გვერდიდან

ძლიერმოქმედი ნივთიერების – რიცინისა და ქიმიური იარაღის გამოყენებით ტერორისტები სერიული ტერაქტების მოწყობას გეგმავდნენ. ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა მათი სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაცია მიიღეს გუანტანამოს ბაზიდან, სადაც "ალ ქაიდას" წევრები არიან დატყვევებულნი. სპეცსამსახურების ერთ-ერთი ინფორმატორი გახდა გუანტანამოს ტყვე საიფ ალი-ისლამ ელი-მაშრი, იგი "ალ ქაიდას" პოლიტიკური კომიტეტის წევრი გახლდათ. .

"Sunday Times"- ის ინფორმაციით, ბრიტანეთსა და საფრანგეთში ბოლო პერიოდში ერთმანეთის მიყოლებით დააპატიმრეს პანკისის ხეობაში წვრთნაგავლილი ტერორისტები. გაზეთი იტყობინება იმასაც, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლმა ბრიტანელმა ექსპერტებმა და, ასევე, სადაზვერვო სამსახურის MI-6-ის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ანტიტერორისტულ რეიდებში, რომლის მიზანიც იყო პანკისის ხეობას თავშეფარებული იმ ბოევიკების გამოვლენა, რომლებმაც ავღანეთიდან პანკისში გადაინაცვლეს.

საქართველოს უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლის, ნიკა ლალიაშვილის განცხადებით, საქართველოს სპეცსამსახურები მჭიდრო კონტაქტში არიან ბრიტანელ კოლეგებთან. **„ბრიტანეთიდან დაკავებულთა შესახებ მონაცემები არ მოგვსვლია, უშიშროების სამინისტრო ლონდონიდან დაკავებულების გვარების გადმოცემას ელოდება, რის შემდეგაც, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მეშვეობით მოხდება მათი იდენტიფიკაცია და დადგინდება, გაიარეს თუ არა მათ პანკისის ხეობაში წვრთნა. დადგინდება, მართლაც ჰქონდათ თუ არა მათ კავშირი პანკისში არსებულ მოსამზადებელ ბანაკთან"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ნიკა ლალიაშვილმა.

მისივე თქმით, უშიშროების სამინისტრო ინფორმაციას ელოდება, ასევე, საფრანგეთიდანაც, სადაც რამდენიმე კვირის წინ დააკავეს ავღანელი ტერორისტები. დაკავებულ ისლამისტთა მიერ ფრანგი სამართალდამცველებისთვის მიცემული ჩვენებებით, ისინი წვრთნას პანკისის ხეობაში არსებულ სამხედრო ბანაკებში "ალ ქაიდას" ლიდერების მეთვალყურეობით გადიოდნენ.

**"პანკისის ხეობაში "ა სალამს" თავის ფილიალები ჰქონდა. ასე გადაჭრით სამხედრო ბაზას ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ხეობაში, ფაქტობრივად, არსებობდა ბაზები, სადაც მომზადებას გადიოდნენ ბოევიკები. ასეთი ცენტრი სოფელ ომალოში იყო, ჰქონდათ პოლიგონი – სასროლეთს ეძახდნენ. "ა სალამ"-ს ჰოსპიტალიც ჰქონდა გამართული თავის ბოევიკებისთვის, მას ცნობილი საველე მეთაური ამჟეტი ხელმძღვანელობდა. იგი ბინ ლადენის უახლოესი გარემოცვიდან იყო და, ჩვენი ინფორმაციით, პირადად მისგან ღებულობდა სოლიდურ დაფინანსებას. ხეობაში არსებობდა ტერორისტთა ინტერნეტ-ცენტრი, რომლის დაფინანსებისთვისაც უზარმაზარი თანხებს ღებულობდნენ. გარდა ინფორმაციის მოპოვებისა და მისი ანალიზისა, იქ წარმოებდა ბოევიკთა მოზიდვაც. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ავრცელებდნენ შეტყობინებებს და იწვევდნენ ხეობაში თანამოაზრეებს. სხვათა შორის, ჩატარებულ წვრთნებს ბოევიკები ფირზე იღებდნენ და უგზავნიდნენ დამფინანსებლებს. იყო შემთხვევებიც, როცა ეს წვრთნები საომარ მოქმედებებად გაასაღეს, რათა ფული გამოეძალათ. თანხები მოედინებოდა საბანკო ანგარიშებით ადგილობრივ ქისტთა სახელზე. საბანკო ოპერაციები იმ შემთხვევაში ხორციელდებოდა, თუ თანხის ჩამოტანა კურიერის მეშვეობით არ ხდებოდა. ამ ყველაფრის თქმა შემიძლია, მაგრამ ვერ დავადასტურებ ინფორმაციას, თითქოსდა ხეობაში არსებულ ბაზებში მომწამვლელი ნივთიერებების დამზადების სწავლება მიმდინარეობდა. ეს უბრალოდ, ტექნიკურადაა შეუძლებელი,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას კახეთის უშიშროების სამსახურის უფროსმა პაატა ბატიაშვილმა. მისივე განცხადებით, ხეობა ანტიკრიმინალური ოპერაციების ჩატარების შემდეგ გასუფთავდა.

# სეისმური კვლევებისთვის ფული წელსაც ვერ მოიძებნა



მიწისძვრის "პეიზაჟი"

*მიწისძვრის შემდეგ შოკში მყოფი მოქალაქეებისთვის იმის მოსმენა, რომ საფრთხის რამდენიმე დღით ადრე პროგნოზირება შეიძლებოდა, ძალზე გამაღიზიანებელი იყო. თუმცა, პროგნოზი რომ დროულად არ გაკეთდა, სეისმოჰიდროგეოდეფორმაციული კვლევების ცენტრს ნაკლები ბრალი მიუძღვის. ამაში დამნაშავე, უპირველესად, ჩვენი ხელისუფლებაა, რომელსაც ჭკუა თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამაც ვერ ასწავლა და შეცდომას კვლავ იმეორებს.*

ნანა ქადაგიშვილი

"მიწისძვრამდე რამდენიმე დღით ადრე, ვარკეთილისა და აბანოთუბნის კვლევითმა სადგურებმა დედამიწის მიმოქცევის რეჟიმის დარღვევა აჩვენა, ეს მიწისძვრის მომასწავებელი ნიშანია, მაგრამ ინფორმაცია დაგვიანებით ვნახეთ. მართალია, მიწისძვრის პროგნოზირებისთვის მხოლოდ თბილისში არსებული კვლევითი სადგურებიდან მიღებული ინფორმაცია არ კმარა, ინფორმაცია საქართველოს მასშტაბით უნდა გვქონოდა, მაგრამ გარკვეული პროგნოზის გაკეთება მაინც შეგვეძლო", - განაცხადა სეისმოჰიდროგეოდეფორმაციული კვლევების ცენტრმა დედაქალაქში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ. ესე იგი, ხელისუფლებას ამ პრობლემისთვის დროულად რომ მიეხედა, შეიძლებოდა, მიწისძვრას უმსხვერპლოდ გადავრჩენოდით. უფრო მეტი - ჩვენი მთავრობა შეცდომის გამოსწორებასაც არ ცდილობს და კვლევითი სადგურები კვლავ უსახსროდ და უყურადღებოდაა მიტოვებული.

ფინანსთა სამინისტროში დღემდე უკვირთ, მიწისძვრის პროგნოზირება თუ შეიძლებაო. არადა, ასეთი კვლევები ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ტარდებოდა. კავკასიაში მოქმედებდა 50 ჭაბურღილი, რისი საშუალებითაც დედამიწის ქერქის მდგომარეობას რამდენიმე პარამეტრის მიხედვით იკვლევდნენ. ასეთი ჭაბურღილები თბილისში დღესაც გაჭირვებით, მაგრამ მაინც ფუნქციონირებს. ისინი 2000 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილმა სეისმოჰიდროგეოდეფორმაციული კვლევების ცენტრმა აღადგინა. ესეც რომ არა, 4 წელია, ცენტრის მიერ შემუშავებულმა პროგრამამ ხელისუფლების ყველა ინსტანცია მოიარა. ცენტრის ხელმძღვანელობა მის დაფინანსებას ფინანსთა სამინისტროს ყოველ წელს სთხოვს. ეს პროგრამა სწორედ სეისმური კვლევების გაფართოებასა და საქართველოს ტერიტორიაზე დაკვირვების ცენტრების მოდერნიზებული თანამედროვე ციფრული აპატარებით აღჭურვას ითვალისწინებს.

"ეს პროგრამა თუ ამოქმედება, ნამდვილად კარგი იქნება. ცენტრის გამოკვლევები მიწისძვრის პროგნოზირების მთლად 100 პროცენტიან გარანტიას ვერ იძლევა, მაგრამ უდაოდ პერსპექტიული მეთოდია და მისი განვითარება აუცილებელია", - აცხადებს გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, ევროპის საბჭოსთან არსებული საექსპერტო კომისიის წევრი თამაზ ჭელიძე.

ამ მხრივ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ბევრად უკეთესი მდგომარეობა ყოფილა. "აზერბაიჯანსა და სომხეთში ყველა დამკვირვებელს მობილურები უყიდეს და სადგურები კვლევით ცენტრებს ინფორმაციას ყოველდღე აწვდიან. კვლევების დაუფინანსებლობით ჩვენს საქმესაც ვაფუჭებთ და მეზობელი ქვეყნებისასაც. კავკასია ერთიანი რგოლია და პროგნოზირებისთვის ერთიანი სურათის შექმნაა საჭირო. რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში სეისმოჰიდროგეოდეფორმაციული კვლევები ნორმალურად ტარდება, მხოლოდ საქართველოა ქსელიდან ამოვარდნილი", - ჩივიან ქართველი სპეციალისტები.

არადა, ზემოთ აღნიშნულ პროგრამის განხორციელებას სულ 180 ათასი ლარი ყოფნის, მაგრამ მის დასაფინანსებლად ბიუჯეტში თანხები დღემდე ვერ გამოიძებნა. სეისმოჰიდროგეოდეფორმაციული კვლევების ცენტრისთვის წლევანდელი ბიუჯეტის პროექტშიც შარშანდელივით 15 ათასი ლარი ზის. ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პროექტი ბევრია, ფული კი - ცოტა. ცენტრს აღნიშნული პროგრამის დამფინანსებელი ინვესტორის მოძებნაც უჭირს. მასეთი პროგრამის დაფინანსება ჩვენს ინტერესებში არ შედისო, განუცხადებიათ ქართველ ბიზნესმენებს. უცხოელები კი ჩვენი ხელისუფლებისკენ უთითებენ, ასეთი კვლევებისთვის ფული სახელმწიფომ უნდა გაიღოს, ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასე ხდებაო.

# რუსთავში სასმელი წყლით იწამლებიან

*ახალ 2003 წელს რუსთავის მოსახლეობა ჩუმი პანიკით შეხვდა. ბოლო ორი კვირის მანძილზე ქალაქში საგრძნობლად იმატა ნაწლავური ინფექციების რაოდენობამ. "24 საათი" ათეულობით რუსთაველს ესაუბრა, რომლებიც ამბობენ, რომ ისინი ან მათი ოჯახის წევრები სასმელი წყლით მოიწამლნენ.*

მაია მოსიაშვილი

რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის თინათინ ნადირაშვილის განმარტებით, 3 იანვრიდან 10 იანვრამდე ქალაქში ნაწლავური ინფექციის 29 შემთხვევა დაფიქსირდა, ანუ ერთი კვირის მაჩვენებელი თვიურ საშუალო მაჩვენებელს გაუტოლდა. "ინფექციების მიზეზი სხვადასხვაა, არის საკვებისმიერი შეუთავსებლობა, პირადი ჰიგიენის დარღვევა და აგრეთვე, როგორც თავად მოქალაქეები აცხადებენ, არის წყლით მოწამვლის შემთხვევები. ისინი ლოკალურია და ძირითადად იმ ადგილებზე ფიქსირდება, სადაც წყლის მილებია დაზიანებული", - აცხადებს ნადირაშვილი.

"რუსთავწყალის" გენერალური დირექტორის ბონდო გონგაძის თქმით, წყლის ხარისხი მათ ლაბორატორიაში ყოველდღიურად მოწმდება და ნორმას აკმაყოფილებს. მიუხედავად ამისა, ის იმასაც არ უარყოფს, რომ მასაც აქვს ინფორმაცია ქალაქში წყლით მოწამვლების ფაქტებზე. "ინფექციების შემთხვევები ლოკალურია, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ ის წყლისგან იყოს. ტექნიკურად გაუმართავმა და ამორტიზებულმა ქსელმა დიდ ნალექიანობას ვერ გაუძლო და ავარიების რიცხვმა ძალიან იმატა. ამას ემატება ენერგოკრიზისი და წყლის მიწოდების მცირე დრო. ამიტომ ჩვენ გავაფრთხილეთ მოსახლეობა, რომ პროფილაქტიკის მიზნით გადადუღებული წყალი სვან", - განუცხადა "24 საათს" გონგაძემ.

რუსთავში წყლიდან ინფექციების გახშირებას არ უარყოფს ქალაქის მთავარი სანიტარული ექიმი დავით კვეზერელი. "ეპიდემიური ხასიათი ამას არ აქვს, თუმცა არის ლოკალური შემთხვევები. ბოლო დროს ქსელში ავარიების გახშირების გამო გაიზარდა წყლის დაბინძურების რისკფაქტორი. გარდა ამისა, რადგან წყლის მიწოდების საკმაოდ მკაცრი და მოკლე გრაფიკი არსებობს, მილებში ვაკუუმი იქმნება და ხდება უკუშეწოვა", - აცხადებს კვეზერელი.

რუსთავის წყლის შიდა ქსელი დაახლოებით 250 კილომეტრიანია, ხოლო მისი 70 პროცენტი - მთლიანად შესაცვლელი. რუსთაველები უკვე მიეჩვივნენ იმას, რომ მათი ონკანებიდან ჟანგიანი და ტალახიანი წყალი მოდის და თვლიან, რომ უწყლობას ეს ნამდვილად სჯობია. ქალაქის წყალმომარაგების მესვეურები კი აცხადებენ, რომ რუსთავში სასმელი წყალი მანამდე იქნება საშიში, სანამ ქსელი არ გამოიცვლება, ან, სანამ წყლის მიწოდების ხანგრძლივობა მაინც არ გაიზრდება. ამჟამად ქალაქის უდიდეს ნაწილს სასმელი წყალი დღეღამეში მხოლოდ ორი საათით მიეწოდება. ასე რომ, ალბათ, რუსთაველებს გადადუღებული წყლის სმა კიდევ დიდხანს მოუწევთ.

# თითო ფუთა და „ფუთი" დაპირებები

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის ხელმძღვანელობამ და საქველმოქმედო ორგანიზაცია "დედის კალთამ" 350-მდე ინვალიდი პატარა ცოტა მოგვიანებით, ძველსაახალწლოდ დაასაჩუქრა. გუშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეკრებილ ბავშვებს საჩუქრები - თითო 12 -კილოგრამიანი ფუთა - გადასცეს.*



ქალაქის მერმა განაცხადა, რომ მისი კაბინეტის კარი ინვალიდი პატარებისთვის ყოველთვის ღია იქნება

პატარა ინვალიდების დასაჩუქრების იდეა "დედის კალთას" გასჩენია და დახმარებისთვის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურისთვის მიუმართავს. "ჩვენი სამსახურის მწირი ბიუჯეტის მიუხედავად, საჩუქრების საყიდელი თანხის გამოძებნა მაინც მოვახერხეთ, ფული დედათა და ბავშვთა სარეაბილიტაციო პროგრამიდან გამოვყავით," - თავს იწონებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

საქველმოქმედო ორგანიზაცია "დედის კალთას" აღრიცხვაზე 500 ინვალიდი ბავშვი ჰყავს, მაგრამ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ყველა მათგანის მიყვანა ვერ მოხერხდა, ზოგს ჯანმრთელობის მდგომარეობამ შეუშალა ხელი. დარბაზში შეკრებილთა შორის ცერებრალური დამბლით დაავადებულიც ბევრი იყო, მათი ეტლები წინა რიგში ჩაემწკრივებინათ. ამ პატარების მშობლები, "დედის კალთას" წყალობით, ერთმანეთს იცნობენ და გვერდში უდგანან, შვილების დახმარებას ერთიანი ძალით ცდილობენ. ისინი მერიასა და საკრებულოსგან ორ რამეს ითხოვენ, თბილისის რამდენიმე სკოლაში ლიფტი გააკეთონ, რათა ინვალიდმა პატარებმა სკოლაში სიარული შეძლონ. "არ გვინდა, ჩვენმა შვილებმა, ფიზიკური ნაკლის გამო, განათლება ვერ მიიღონ. ზოგის მშობელს მასწავლებლები სახლში მიჰყავს, მაგრამ ეს ყველას არ შეუძლია. ამიტომ გვინდა მათი სკოლაში მიყვანა. თბილისის მე-10, 24-ე სკოლებისა და მე-6 გიმნაზიის პედაგოგები ამაზე სიამოვნებით დაგვთანხმდნენ. ბავშვების ტრანსპორტირების ხარჯებს უცხოური ორგანიზაციები დაგვიფინანსებენ, მერიას მხოლოდ ლიფტების გაკეთებას ვთხოვთ", - ამბობენ მშობლები. ამის გარდა, მათ საკრებულოსთანაც აქვთ ერთი სათხოვარი. ინვალიდი პატარების რეაბილიტაციისთვის ცურვა უაცილებელია, მათმა მშობლებმა თემქაზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი გამოძებნეს, ოღონდ აქ სინათლე და გაზია გასაყვანი. საკრებულომ ამ პრობლემის მოგვარება გლდანი-ნაძალადევის რაიონის ხელმძღვანელობას დაავალა. მშობლები შეგუებულნი არიან, რომ მათი მოთხოვნების შესრულებას დიდი დრო დასჭირდება, თუმცა ქალაქის ხელმძღვანელობის დახმარების იმედი მაინც აქვთ.

ვანო ზოდელავას გუშინდელი დაპირების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ინვალიდების მშობლებს იმედი არ უნდა გაუცრუვდეთ. ქალაქის მერი მათ გვერდში ამოდგომას შეჰპირდა და განუცხადა, რომ მისი კაბინეტის კარი ინვალიდი პატარებისთვის ყოველთვის ღია იქნება. თუმცა, მსგავსი დაპირებით გულმოცემული, მაგრამ მერიის დაცვის ბიჭების მიერ უკან გაბრუნებული ინვალიდებიც გვინახავს.

# გიორგის ოცნება, რომელიც შეიძლება წელს ახდეს

## ინვალიდების ეტლზე 1000-მდე ადამიანი ოცნებობს

*12 წლის გიორგი თანატოლებისაგან განსხვავებით, სკოლაში არ, უფრო სწორად, ვერ დადის. მას მასწავლებელი სახლში აკითხავს. მშობლებმა დაბადებამდე იცოდნენ, რომ ბავშვს ჯანმრთელობის პრობლემები ექნებოდა, მაგრამ სასიკვდილოდ ვერ გაიმეტეს.*

თამარ დვალი

გიორგის სიარული არ შეუძლია. მას თანდაყოლილი ცერებრალური დამბლა აქვს. ასაკის მატებასთან ერთად, ოჯახის წევრებს მისი გადაადგილება უჭირთ. უსახსრობის გამო, მშობლებს სპეციალური ეტლის შეძენა არ შეუძლიათ და თბილისის ქუჩებში სეირნობა თუ სკოლაში სიარული გიორგის აუხდენელი ოცნებაა.

მისი გართობის ერთადერთი საშუალება ტელევიზორია, თუმცა, როგორც თვითონ გვითხრა, ბავშვებთან თამაში ყველაფერს ურჩევნია: "დედიკოს ჩემი ბავშვებთან გაყვანა უჭირს, მეუბნება, ხელში ვერ აგიყვანო... მუხლებით სიარულსაც მიშლიან... სახლში მარტო მე და ბებია ვართ მთელი დღე. ის სულ საქმეს აკეთებს. ჩემთვის აღარც ბავშვებს სცალიათ - სკოლაში დადიან. მერე ცეკვა აქვთ, მუსიკა და რა ვიცი..."

გიორგის დედამ გვითხრა, რომ ეტლის რიგში დიდხანს იდგნენ, მაგრამ მის ნაცვლად მისცეს ინვალიდის სკამი, რომლითაც ბავშვი გადაადგილებას ვერ ახერხებს. "გიორგი უკვე დიდია, მისი ხელში აყვანა შეუძლებელია. თუ მოვახერხე და როგორმე ეზოში გავიყვანე, უბედნიერესი ხდება. რაც უფრო ემატება ასაკი, მით უფრო განიცდის საკუთარ მდგომარეობას. ვიცი, რომ ჩემს პრობლემას ეტლი ვერ გადაჭრის, მაგრამ ნაწილობრივ ხომ მაინც შემიმსუბუქებს ტვირთს", - ამბობს ქალბატონი დალი.

გიორგისნაირი პრობლემა, სამწუხაროდ, ბევრ მოზარდს აწუხებს. ინვალიდთა დეპარტამენტის თავმჯდომარის, თემურ ჟორჟოლიანის თქმით, ინვალიდების ეტლი საქართველოში, უკვე ოთხი წელია, არ შემოუტანიათ, მაგრამ ახალი წლიდან ელიან. ამჟამად, დეპარტამენტში ეტლის მსურველთა 450-მდე განცხადება აქვთ, თუმცა, სტატისტიკური მონაცემებით, იგი 1000-მდე ადამიანს ესაჭიროება. რამდენი ეტლის შეძენას შეძლებს სახელმწიფო, ჯერ გაურკვეველია. "იმისათვის, რომ ოჯახმა ეტლი მიიღოს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სახელზე განცხადება უნდა დაწეროს და რიგში ჩადგეს. განმცხადებელმა თან უნდა იქონიოს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნა. ორი წელია, მხედველობადაქვეითებულ ბავშვებს ორთაჭალის თვალის კლინიკაში უფასოდ ვმკურნალობთ, გაჭირვებული ოჯახის შვილებს ზაფხულობით კურორტზე უფასოდ ვუშვებთ. ჩვენ შესაძლებლობები ამით ამოიწურება", - გვითხრა ჟორჟოლიანმა.

# „სიცოცხლის ცნობა" - გზა კუთვნილ პენსიამდე

*ოთხმოცდათორმეტი წლის ილია შარაშენიძე, უკვე რამდენიმე წელია, საკუთარ თოთხმეტლარიან პენსიას ნოტარიუსს უნაწილებს. მოხუცს თვეში თითქმის ორი ლარის გადადება უწევს. ნოტარიუსისთვის მისაცემ ამ თანხას 92 წლის ავადმყოფი ყველაზე მეტად უფრთხილდება, თორემ შეიძლება საერთოდ უპენსიოდ დარჩეს.*

ეთერ მამულაშვილი

პროფესიით ინჟინერი ილია შარაშენიძე, მარცხენა კიდურების დამბლის გამო, ოთხი წელიწადია, ლოგინად არის ჩავარდნილი. პენსიის მიღებაში მას ქალიშვილი ეხმარება. მამის პენსიას "საქართველოს ბანკში" ლია შარაშენიძეს მხოლოდ მას შემდეგ აძლევენ, როცა იგი სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობას წარადგენს. ასეთი მინდობილობის გაცემა კი ილია შარაშენიძეს ყოველ სამ თვეში ერთხელ უწევს. ამ იძულებით პროცედურას ლოგინად ჩავარდნილი მოხუცის ბიუჯეტიდან ხუთი-ექვსი ლარი ეწირება.

წელიწადში ოთხჯერ ნოტარიუსის სახლში მისვლა და იმის მტკიცება, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია, ავადმყოფ მოხუცს საკუთარი უმწეობის შეგრძნებას კიდევ უფრო უძლიერებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ყოველთვიურ მატერიალურ დანაკლისზე.

სამწუხაროდ, შარაშენიძე გამონაკლისი არ არის. ანალოგიურ მდგომარეობაშია ათეულათასობით პენსიონერი, რომელთა არსებობისთვის თითოეულ თეთრს ლამის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სოცუზრუნველყოფის ფონდში გვითხრეს, რომ პენსიონერთა ის კატეგორია, რომელიც პენსიას მინდობილობის საფუძველზე იღებს, საერთო რაოდენობის 35-40 პროცენტია.

ნორმატიული აქტი, რომელიც შარაშენიძის მსგავს პენსიონერებს ყოველ სამ თვეში ერთხელ მინდობილობის განახლებას ავალდებულებს, 2001 წელს, მაშინდელმა სოცუზრუნველყოფის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა გამოსცა. "სახელმწიფო პენსიებისა და დახმარებების გაცემის შესახებ" დებულების 39-ე პუნქტში ნათქვამია, რომ "მინდობილობის გაცემა დასაშვებია სამ თვემდე ვადით. თუ მინდობილობაში ვადა არ არის მითითებული, მაშინ პენსია (დახმარება) გაიცემა სამი თვის მანძილზე, დღიდან მისი გაცემა-დამოწმებისა".

დებულების ამ პუნქტის ბათილად ცნობის, წლების მანძილზე მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით ილია შარაშენიძემ გასული წლის ნოემბერში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში შეიტანა სარჩელი. საქმის განხილვა რამდენჯერმე გადაიდო. შარაშენიძის ინტერესებს დაიცავს მისი შვილიშვილი, ადვოკატი დევი დევიძე, რომელსაც დიდი იმედი აქვს, რომ პროცესი მისი პაპის სასარგებლოდ დამთავრდება.

ადვოკატი ამბობს, რომ დებულების ხსენებული პუნქტი ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას არღვევს. კერძოდ, ადვოკატი დევიძე ამტკიცებს, რომ სოციალური უზრუნველყოფის ერთიანმა ფონდმა არ შეასრულა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 67-ე მუხლის მოთხოვნები, როცა მან დაინტერესებულ პირებს წინასწარ არ შეატყობინა საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ. ამას კოდექსის ეს მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოს პირდაპირ ავალდებულებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დევიძის თქმით, სოცუზრუნველყოფის ფონდი ვალდებული იყო, წინასწარ ეცნობებინა პენსიონერებისთვის ამ დებულების შინაარსი. მეტიც: ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, "ადმინისტრაციული გარიგება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ".

გარდა ამისა, ადვოკატი დევიძე ამტკიცებს, რომ დებულების გასაჩივრებული პუნქტი ზღუდავს ადამიანის ქმედუნარიანობას. "ეს პირდაპირ არღვევს პირის უნარს, თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლებები და მოვალეობები. პაპაჩემის შემთხვევაში, შეიზღუდა მისი ნების გამოვლენის თავისუფლება", - გვითხრა დევი დევიძემ.

სოცუზრუნველყოფის ერთიანი ფონდის იურიდიულ დეპარტამენტში გვითხრეს, რომ მათი დებულება არავითარ კანონსაწინააღმდეგო ნორმას არ შეიცავს. ფონდის იურიდიული სამსახურის უფროსმა სოსო ლობჟანიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: "იყო შემთხვევები, როცა მსგავსი მინდობილობის საფუძველზე ვიღაც-ვიღაცები გარდაცვლილი ადამიანის პენსიას იღებდნენ. ჩვენმა საკონტროლო ჯგუფმა უამრავი ასეთი ფაქტი გამოავლინა. წარმოიდგინეთ, მინდობილობის ერთწლიანი ვადა რომ დავაწესოთ და ადამიანი ორ თვეში გარდაიცვალოს... სახელმწიფო ასეულათასობით ლარს იზარალებს. მე არ მგონია, რომ კანონს ან ადამიანის უფლებას ვარღვევთ. უბრალოდ, ვითხოვთ, დადასტურდეს ამ პიროვნების არსებობის რეალობა. ამის შესამოწმებლად სხვა მექანიზმი არა გვაქვს. აბა, თანამშრომლებს ხომ არ ვაიძულებთ, კარდაკარ ჩამოიარონ?"

მოსარჩელე მხარის ადვოკატი ამტკიცებს, რომ დეპარტამენტის იურისტის ამგვარი განცხადება სიტუაციიდან თავის დაძვრენაა და მეტი არაფერი. დევიძე ფიქრობს, რომ ადამიანის არსებობის შესამოწმებლად ფონდს რამდენიმე გზა აქვს. ერთ-ერთი მათგანი იუსტიციის სამინისტროზე გადის. "სულ მარტივად, ფონდმა იუსტიციის სამინისტროსგან შეიძლება მოითხოვოს ინფორმაცია, თუ რომელი პენსიონერია გარდაცვლილად რეგისტრირებული. სამინისტრო კი ვალდებულია, გასცეს ამ ტიპის ინფორმაცია, რადგან ის უკვე საჯაროობას ექვემდებარება", - გვითხრა დევი დევიძემ.

იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე თამაზ საბიაშვილი მოსარჩელე მხარის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, ადვოკატ დევიძის თქმით, "ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ პენსიონერს, რომელიც პენსიას დღემდე მინდობილობის საფუძველზე იღებს, შეუძლია, მოითხოვოს წლების მანძილზე მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება, რაც აუცილებლად დაკმაყოფილდება".

ილია შარაშენიძის სარჩელის განხილვა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში 5 თებერვლისთვის არის დანიშნული. სასამართლო პროცესი, სავარაუდოდ, თებერვლის ბოლომდე დასრულდება.

www.24hours.ge

24

B

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge



აჰა, დადგა XXI საუკუნის მესამე წელიც. ნელა, ძალიან ნელა იღებს სიჩქარეს ჩვენი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მანქანა (იქნებ უმჯობესია, მას ურემი ვუწოდოთ!). და მაინც, ჩვენი გაზეთის 2003 წლის იანვრის მეორე კვირაში გამოსული ნომრების ანალიზმა ერთი საოცარი რამ წარმოაჩინა: სწორედ საქართველოში ახდა წმ. ანტონი ეგვიპტელის წინასწარმეტყველება: "მოვა დრო, როცა ყველა ადამიანი ჭკუიდან შეიშლება და თუ საღ გონებაზე მყოფს ვინმეს იხილავენ, აღშფოთდებიან და ეტყვიან, შეშლილი ხარო, რადგან მათი მსგავსი არ იქნება"...

ქართულ სინამდვილეში რამდენიმე მნიშვნელოვანი ძალა მოქმედებს და ჩვენს ცხოვრებას მართავს. მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სრულიად მიწიერ და, უფრო მეტიც, სეკულარულ ხელისუფლებად ავლენს თავს. საკითხები, რომლებითაც იგი განუწყვეტლივ თავს გვახსენებს, სრულიად მატერიალური ბუნებისაა: ჩამორთმეული ქონების დაბრუნება, სახელმწიფო ხელშეკრულებების დადება და ასე შემდეგ. დიდია ყურადღება, რომელსაც ის ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის აღორძინებას უთმობს. ასევე ესწრაფვის იგი პოლიტიკური ძალაუფლების ბერკეტებს, შეიარაღებული ძალებისა და სასჯელაღმასრულებელი დაწესებულების კონტროლს.

სამოქალაქო კალენდრის მიერ დაცული უმთავრესი საეკლესიო დღესასწაულები თანდათანობით ემსგავსება სეკულარული ხელისუფლების საჯარო დემონსტრაციებს: მათი ჩატარების ადგილები მოფენილია დროშებით, ლოზუნგებითა და სხვა სააგიტაციო თვალსაჩინოებით, აქვე ირევიან სამთავრობო დაცვის თანამშრომლები, პოლიციის უმაღლესი ოფიცრები, მისასვლელ გზებს ხერგავს საყოველთაოდ ცნობილი ნომრებით შემკული ავტომობილები, სახელმწიფო არხზე მიმდინარეობს პირდაპირი სატელევიზიო რეპორტაჟი. ძალისა და გავლენის დემონსტრაცია საქართველოს პირობებისათვის სწორედ რომ უპრეცედენტოა. სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება ჩვენს მედიაში გაუგებარი შესიტყვება "საქართველოს პატრიარქი" — არვის ეგონოს, რომ აქ ჩვენი ქვეყნის ყველაზე ხანდაზმული მოქალაქე იგულისხმება. უბრალოდ, შუაში გამოტოვებულია ორი სიტყვა — "მართლმადიდებელი ეკლესიის". რა საჭიროა, ეს ხომ თავისთავად ცხადიაო, მით უმეტეს, რომ — იტყვიან მავანნი, მაგრამ შემოკლება უკვე სრულიად დამოუკიდებელ ხასიათს იღებს და გვაფიქრებინებს, რომ ეს ორი სიტყვა "საქართველოს პრეზიდენტის" მსგავსია და მის პარალელურ ან, ღმერთმა დაგვიფაროს, ალტერნატიულ თანამდებობაზე მიუთითებს.

ვერც "24 საათი" გადაურჩა ამ ტენდენციას და ეთერ მამულაშვილის 11 იანვარს გამოსულ სტატიაში ვკითხულობთ: "საქართველოს კათალიკოს პატრიარქი". როგორც ჩვენს კონსტიტუციაში წერია, "საქართველო" ჩვენი ქვეყნის სახელწოდებაა. კათალიკოს-პატრიარქი კი ეკლესიის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მწყემსთმთავარია და არა მთელი ქვეყნისა, სადაც, როგორც ვიცით, საკმაოდ ცხოვრობენ მუსლიმებიც, იუდეველებიც, პროტესტანტებიცა და, უბრალოდ, მოუნათლავებიც.

მაგრამ კვლავ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ.

შთამბეჭდავია ეკლესიის მიერ ჩაფიქრებული სოციალური პროგრამების მასშტაბი და გაქანება. ერთ-ერთ მათგანზე მოგვითხრობს ეთერ მამულაშვილის მიერ 8 იანვარს გამოქვეყნებული მასალა, რომელიც მეტად შთამბეჭდავად იწყება: "ალათასა მალათასა, კვერცხი ჩადეთ კალათასა, არიელი მარიელი, ნუ გაგვიშვებთ ცარიელი, — გაუჩერებლად მღეროდნენ გუშინ მორწმუნე ქართველები". უნდა ვივარაუდოთ, რომ სტატიაში განხილულია ჩვენს ქვეყანაში საგადასახადო სფეროში არსებული სავალალო მდგომარეობის გასაჯანსაღებლად წამოწყებული მასშტაბური აქცია, რომელიც ეკლესიამ 7 იანვარს განახორციელა. მარტო ერთი, წმ. ნიკოლოზის ტაძრის მრევლის მიერ ჩამოტარებულ კალათში აღმოჩნდა ექვსი ვაშლი, სამიოდე "კარალიოკი" და ერთი მუჭა კამფეტი. რაც არ უნდა თქვან ბოროტმა ენებმა, საეკლესიო ღონისძიების ეფექტურობა უსასრულოდ აღემატება იმ ძალისხმევის შედეგს, რომელსაც ასე თავგანწირულად მიმართეს "გაერთიანებულმა დემოკრატებმა": "მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმამდე გაზრდა კვლავ ქიმერად რჩება" — გვაუწყებს გიორგი ასანიშვილის 11 იანვარს დაბეჭდილი სტატია. ეჰ, ისევ ეს სამიოდე "კარალიოკი" ჯობია ქიმერას! ამ თემას მოგვიანებით დავუბრუნდებით, ახლა კი განვაგრძოთ ჩვენში მოქმედი ყველაზე შედეგიანი სეკულარული ძალის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწეობის მიმოხილვა.

საქართველოს საპატრიარქოს მონაწილეობა ჩვენს საერო ცხოვრებაში სახელმწიფო სიმბოლიკასაც გადასწვდა, რასაც ეთერ მამულაშვილის ხსენებული სტატია მიეძღვნა (*"ხუთჯვრიანი დროშა მართლმადიდებლობის უძველესი სიმბოლოა"* — 11 იანვარი). A8 გვერდზე გამოქვეყნებული ტექსტიდან ვერ ვიგებთ, თუ რა შეიქნა მისი დაწერის საბაბი. ფოტოს მინაწერიდან ვგებულობთ, რომ აღწერილი მოვლენები საპატრიარქოში მოხდა, გამოცდილება გვკარნახობს, რომ საქმე პრეს-კონფერენციასთან უნდა გვქონდეს. მაგრამ თვით ტექსტში არაა მითითებული მოვლენის რაობა და თარიღი.

უნდა ითქვას, რომ სტატიის ტექსტი კორექტორული პროფესიონალიზმის შედევრიცაა: ჩემს პრაქტიკაში პირველად შევხვდი ქვემდებარისა და შემასმენლის ერთმანეთისაგან მძიმეთი გამოყოფას: "კათალიკოს-პატრიარქმა, აღნიშნა". რაც შეეხება კათალიკოს-პატრიარქის გამოსვლას, მის გადმოცემაში არც ერთი წინადადება არ მოიპოვება, მართალი რომ იყოს: "მეოთხე საუკუნის დასაწყისში, როდესაც რომის იმპერიის ტახტზე ავიდა კონსტანტინე დიდი, იმპერია დაყოფილი იყო რამდენიმე ნაწილად, რომელთა შორის ომი მიმდინარეობდა, ერთ დღესაც რომის იმპერატორსა და ერს გამოეცხადა ჯვარი, რომლის ქვეშაც იყო წარწერა: ამით გაიმარჯვებ".

1. 312 წელს **კონსტანტინე პირველმა** მართლაც დაამარცხა რომის თანამმართველი იმპერატორი **მაქსენციუსი**, მაგრამ არ უნდა შევქმნათ შთაბეჭდილება, თითქოს რომის იმპერიის ტერიტორია ერთმანეთთან სამხედრო ძალით დაპირისპირებულ სახელმწიფო წარმონაქმნებად იყო დაყოფილი. სამოქალაქო ომები მიმდინარეობდა იმპერატორული ძალაუფლებით აღჭურვილ რამდენიმე პირს შორის და კონსტანტინემ იმპერია კი არ გაამთლიანა, არამედ ერთთმართველობა დაამყარა მასში.

2. რომაელი პოეტისა და ბიოგრაფის, **ლაქტანციუსის** უძველესი ცნობით, იმპერატორმა კონსტანტინემ გამოცხადება მიიღო ძილში (in quiete), თანაც საქმე ეხებოდა არა ჯვარს, არამედ ღვთის ზეციურ ნიშანს (coeleste signum Dei), რომელიც კონსტანტინეს მებრძოლთა ფარებზე უნდა გამოეხატა. მეორე, უფრო გვიანდელი ცნობა მომდინარეობს საეკლესიო ისტორიკოსის, **ევსები კესარიელისაგან** და მასში სიზმართან ერთად უკვე გვხვდება ჯვრის ჩვენება, რომელიც კონსტანტინემ ცაზე, მზის მახლობლად იხილა, და სიტყვები: ამით გაიმარჯვებ (hoc vince). ოღონდ იმპერატორის ბრძანებით გამოსახულ იქნა არა ჯვარი, არამედ ქრისტეს აღმნიშვნელი ასოების XP გრაფიკული კომბინაცია, ხოლო თვით გამოსახულების მატარებელი სიმბოლო (ლათინურად labarum) სრულიად არ ჰგავდა დროშას თანამედროვე გაგებით.

გაუგებარია, კონსტანტინესთან ერთად როგორ უნდა მიელო გამოცხადება "რომაელ ერს". უზარმაზარ ტერიტორიას რომ თავი დავანებოთ, ძველ რომში ტერმინით populus მოქალაქეთა ერთობლიობა აღინიშნებოდა, რასაც არანაირი კავშირი არა აქვს არც ეთნიკურ ერთიანობასთან და არც იმ შინაარსთან, რასაც ქრისტიანები მრევლის, სალვთო ერის ცნებაში დებენ.

3. ყველა ეს მოთხრობა კონსტანტინეს მოქცევის შესახებ საეჭვოდაა გამოცხადებული უკვე 1907 წელს გამოცემულ **ვ. ვ. ბოლოტოვის** ოთხტომიან ნაშრომში "უძველესი ეკლესიის ისტორია" (ტ. III). ეს სულაც არაა დისიდენტური წიგნი, ის უკვე თითქმის ასი წლის განმავლობაში რუსეთის სემინარიებში გამოიყენება ძირითად სახელმძღვანელოდ.

ცოტა ზემოთ წერია შემდეგი: "ხუთჯვრიანი დროშა ნამდვილად ქართულია, მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული ის მართლმადიდებლობის უძველესი სიმბოლოა და არ არის მართებული, როცა ამ დროშის კათოლიკურ ან მასონურ წარმომავლობას ამტკიცებენ".

1. კეთილი და პატიოსანი, მასონებს მეოთხე საუკუნეში მართლაც არაფერი ესაქმებათ, მაგრამ ასევე არაფერი ესაქმება ამ ეპოქაში მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის ჩვენთვის ჩვეულ დაპირისპირებას. თუ ხუთჯვრიანი დროშა მართლაც მეოთხე საუკუნიდან იღებს სათავეს, ის ასეთივე ძვირფასი სიმბოლო უნდა იყოს დღევანდელი კათოლიკეებისათვისაც. ჩვენ ხომ არ გვაშფოთებს, მაგალითად, ის, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში დიდმარხვის პერიოდში აღსრულებადი ე. წ. პირველშეწირული ძღვენის ლიტურგიის ავტორად მიჩნეული **გრიგოლ დიალოგოსი** რომის პაპი იყო.

2. თუ ეს ყველაფერი მართალია და ხუთჯვრიანი დროშა მეოთხე საუკუნის საერთოქრისტიანული სიმბოლოა (რაც ჯერ-ჯერობით არსაიდან არ გამომდინარეობს), რას ნიშნავს, რომ ის ამავე დროს "ნამდვილად ქართულია"?

ეკლესიის საჭეთმპყრობელთა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორთა სიტყვებს უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ და ჩვენმა გადმოცემამ ბავშვურ ტიტინად არ უნდა აქციოს ისინი.

მაგრამ ეს გრძელი გადახვევა უნდა დავასრულო, კვლავ პირველ თემას დავუბრუნდე და მკითხველის ყურადღება ერთ გარემოებაზე შევაჩერო.

ეკლესია, როგორც ჩვენი ქვეყნის სეკულარული ხელისუფლების ერთ-ერთი კომპონენტი აცხადებს: "დადგა დრო, როცა პრეზიდენტმაც და პარლამენტმაც სახელმწიფო სიმბოლიკასთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა მიიღოს". თავისი ტონით ეს წინადადება რეკომენდაციის ხასიათს ატარებს.

გარდა ამისა, ეკლესია აცხადებს, რომ "სახელმწიფო დროშაზე ჯვრის გამოსახულება აუცილებლად უნდა იყოს". ესეც ასე, — ხომ ვხედავთ, როგორ მსუბუქად გარდაიქმნება "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი" "საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად"? სახელმწიფო დროშის პროექტი, რომელსაც ეკლესია გვთავაზობს, და რომელიც სტატიაშიცაა აღწერილი, სამფეროვანია: თეთრი ფონი, წითელი ჯვარი და ლურჯი ზოლები. ეს ლურჯი ფერის ზოლები თურმე ერს წარმოადგენს. ყველა ყველა და ხომ შეიძლება რომელიმე ავყია პარლამენტარი ისევ გამოხტეს და იყვიროს: გაგვიცისფრეს მოსახლეობაო! ან მეორემ მისცეს ბანი: ეს სამი ფერი რაღა მაინცდამაინც რუსეთის დროშას დაამთხვიეთო?!

უკეთესს ამ პირობებში არაფერს ველი. რაც შეეხება populus-ს, იმედია, პოპულიზმად არ ჩამითვლით, თუ ვიტყვი, რომ მშიერ კუჭზე მას ამ ღრმა საკითხებზე მსჯელობა ნამდვილად გაუჭირდება.

თუ განვაგრძობთ იანვრის ნომრების თვალიერებას, აღმოვაჩენთ, რომ განსხვავებით სეკულარული ეკლესიისაგან, ჩვენი საერო ხელისუფლება არსებითად სინკრეტულ რელიგიურ სექტას წარმოადგენს. ეს სექტა თავის თავში რამდენიმე რელიგიის თუ სარწმუნოებრივი სისტემის ნიშნებს აერთიანებს.

მაგალითად, საკმაოდ ძლიერადაა წარმოდგენილი მისტიურ-წინასწარმეტყველური ტენდენცია, რომელსაც წინასწარმეტყველებათა ქრონიკული არგამართლებაც ვერ ამარცხებს. ყოველწლიური წინასწარმეტყველების რეალობაში მრევლის დასარწმუნებლად ხელისუფლების სათავეში მყოფი ქურუმები მას "ბიუჯეტს" უწოდებენ. აქვე შეიმჩნევა სამხრეთ-იტალიური რელიგიური მენტალობის ძლიერი გავლენა: საქართველოს მთავრობა და პარლამენტი ისევე მოუთმენლად ელოდება ბიუჯეტის შესრულებას, როგორც ნეაპოლელები — წმ. იანუარიუსის ყოველწლიურ სასწაულს. წელს ქურუმთა კრებულმა შესამჩნევი მისტიური ინოვაცია შეიტანა თავის პრაქტიკაში. როგორც სოფო კვინტრაძე გვაუწყებს (7 იანვარი): "საქართველოს 12-წლიან საბიუჯეტო სისტემაში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა — მთავრობამ ბიუჯეტის კანონპროექტი არ მოამზადა". ეს ყოველივე, როგორც გერშონ შოლემი გვასწავლის თავის უკვდავ შრომაში "იუდაური მისტიური მიმდინარეობები" ჩვენი სამთავრობო რელიგიის რაციონალიზაციას, ე. ი. მის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას მოასწავებს: თუ ბიუჯეტი ქრონიკულად არ სრულდება, სახელმწიფო კი მაინც არსებობს, რა საჭიროა თავი შევიწუხოთ მისი ყოველწლიური მომზადებით? ამ რაციონალური გადაწყვეტილების ქვეშ ღრმა მისტიური პერსპექტივა იმალება: სულ მალე საქართველოს ბიუჯეტი ეზოტერულ ტექსტად იქცევა, რომლის როგორც სიტყვიერი, ასევე ფულადი ვარიანტები მხოლოდ განდობილთათვის იქნება ხელმისაწვდომი.

კიდევ ერთი ცხადი ტენდენცია ჩვენს სამთავრობო რელიგიას ფანატიკოს სექტებთან აერთიანებს. ეს თავისი მიმდევრების (ისინი აღინიშნება გაურკვეველი ტერმინით "მოსახლეობა") სასიკვდილოდ გაწირვაში გამოიხატება. ვნახოთ ბადრი კოპლატაძის 6 იანვარს გამოქვეყნებული სტატია. მისი ქვესათაური გვამცნობს: "ენგურის ხიდზე საპროტესტო აქციები — მაქსიმუმი, რასაც საქართველო აფხაზეთის დასაბრუნებლად აკეთებს". ტექსტში კი წერია, რომ "ედუარდ შევარდნაძემ ათი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა კონფლიქტის მოგვარებისადმი მწყობრი და ეფექტური მიდგომის შემუშავება". ოღონდაც ამის შედეგი მარტო გუდაუთის ბაზის ინსპექტირების შეუძლებლობა არაა: ამის შედეგი იქით აფხაზების (ერთიანი საქართველოს მოქალაქეების!), აქეთ კი აფხაზეთიდან დევნილი ქართველების გაუსაძლისი მდგომარეობაა. რეალური ადამიანების რეალური უბედურება.

როცა 93-94 წლებში ზაფხულის არდადეგებზე რომიდან თბილისში ჩამოვდიოდი, მიკვირდა, რატომ არ მკლავენ ქუჩაში. ეს ხომ ასე ადვილი იყო! რამდენიმე დღის წინათ ერთმა მეგობარმა მითხრა, რომ დღესაც ამ მიმართულებით არაფერი არსებითი არ შეცვლილა. აი, ბადრი ზარანდია მოკლეს ზუგდიდში. იმწამსვე გაჩნდა რამდენიმე ვერსია, რომელიც ასე ამომწურავად მიმოიხილა სოფიკო ჩხაიძემ (9-10 იანვარი). პირადი მოტივი, პოლიტიკური მოტივი, ბიზნესი... რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას იმასთან შედარებით, რასაც ჩემი ზუგდიდელი ნაცნობები მიყვებიან: ამბობენ, იქ მცხოვრებლებმა ქუჩებში ღამის მორიგეობა დააწესეს, იარაღით ხელში ფხიზლობენ, რადგან ყაჩაღები (პრინციპულად ისინი თვით მორიგეებისაგან არ განსხვავდებიან) თითქმის ყოველღამე თავს ესხმიან რომელიმე ოჯახს. იმედია, რომ მალე "24 საათი" ჩვენს ეროვნულ ტრაგედიას არა მარტო პოლიტიკური, არამედ ადამიანური თვალსაწიერიდანაც განიხილავს. დღემდე ჩვენ მხოლოდ "მოსახლეობის" მსხვილ პლანებსა და ცუდ ქართულს ვაკვირდებით "კურიერის" ორწუთიან რეპორტაჟებში. "ობივატელს" გაუჭირდება ამ ადამიანების განსხვავება ფენოვანი ხაჭაპურის იმ მეგრულაქცენტიანი გამყიდველისგან, რომელმაც დილით ბაზრობის შესასვლელთან ცხიმით მოუთხვარა პალტო. პრობლემა ნამდვილად იმსახურებს უფრო ღრმა და დეტალურ ანალიზს. ოღონდ, ვიმეორებ, ადამიანური და არა პოლიტიკური თვალსაწიერიდან.

ჩვენ კი კვლავ სამთავრობო რელიგიის განხილვას დავუბრუნდეთ. არ არსებობს რელიგია ასკეტიზმის გარეშე. ხელისუფლებაც მედგრად იბრძვის ჩვენი კუთვნილი ქონების წინააღმდეგ. აი, თეა ხოფერიას სტატია, *მოიპარეს თქვენი ავტომობილი? — დაუკავშირდით "კანონიერ" ქურდს* (11 იანვარი). ავტომობილი ხომ ფუფუნებაა. რატომ უნდა დაიცვან ჩვენმა ძალოვანმა ასკეტებმა ფუფუნება და სიჭარბე? ჰოდა, ისინიც არ იცავენ! ვინც კი სიხარბისა და ვერცხლისმოყვარეობის ცოდვისაგან იძლია, კეთილ ინებოს და თვითონ მოუაროს თავის თავს. ამისთვის კი სამართლიანი ეპიტიმია დაეკისრება: "კანონიერი" ქურდისთვის გადასახადი გასამრჯელო.

გარდა ამისა, როგორც მრავალი მართლმადიდებელი ასკეტი (მაგალითად, სერაფიმე საროველი) ჩვენი ხელისუფლებაც გამოირჩევა დათვებთან მეგობრობით. 11 იანვარს ვლადიმირ ჟირინოვსკის ინტერვიუ გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში, სადაც რუსი პოლიტიკური შოუმენი ამბობს: "დათვი ყველაზე ჩლუნგი ცხოველია, ყველაზე ზარმაცი და სულელი. სძინავს მთელი ზამთარი. ჩლუნგი გამოგონებაა ასეთი პარტია". იშვიათად გვეძლევა საბაბი, დავეთანხმოთ ჟირინოვსკის. ეს სწორედ ასეთი იშვიათი შემთხვევაა. ოღონდ უნდა შევავსოთ დაკვირვება და შევახსენოთ ასკეტებს, რომ დათვი ხანდახან იმასაც ჭამს, ვინც პურს აწვდის.

და ბოლოს, ჩვენი სამთავრობო რელიგიის წიაღში უკვე საკმაო განვითარებას მიაღწია თეოლოგიურმა ჰერმენევტიკამ, ანუ წმიდა ტექსტების განმარტებამ. 9 იანვრის ნომერში თამარ ხორბალაძემ ჩვენს ყურამდე ენის პალატის ხელმძღვანელის, ლევან ღვინჯილიას სიტყვები მოიტანა: "პალატაში შემოსული კანონპროექტები ორიანზეა დაწერილი. ვერც ერთი აბიტურიენტის ცოდნის დონეს ვერ აკმაყოფილებს". ალბათ მოთხოვნებს გულისხმობდა, ბ-ნი ღვინჯილია, თორემ ცოდნის დონეზე რომ ვილაპარაკოთ, აბიტურიენტები აქ ისეთ სასწაულებს აჩვენებენ, ენის პალატის მესვეურზე უფრო გულმაგარ ვაჟკაცებსაც წაუხდებათ ნირი!

მაგრამ თეოლოგიასა და ჰერმენევტიკას რომ დავუბრუნდეთ, ხელისუფლების ქურუმებმა საკმაოდ კარგად აითვისეს რომის კათოლიკური ტრადიცია. წავიკითხოთ ეთერ მამულაშვილის სტატია *ვისია, ვისია დროშა ჯვრიანი?* (7 იანვარი). ერთნი ყალბ რელიკვიებს აწარმოებენ (არ შეიძლებოდა, მაინცდამაინც "გორგასლიანი" არ დაერქმიათ მერიის თავზე აფრიალებული დროშისათვის?! — რა მნიშვნელობა აქვს ამას, გორგასლიანი იქნება თუ, უბრალოდ, ათი წლის განმავლობაში მიტინგებზე დამკვიდრებული) და ამის დასამტკიცებლად "ღვთის ადვოკატებს" (advocatus Dei) მიმართავენ. მეორენი "ეშმაკის ადვოკატის" (advocatus diaboli) დანიშნულებას იღებენ თავზე და პირველებს ეკამათებიან. არის ერთი რია-რია და კანონების, ისტორიული გამოკვლევებისა და ჰერალდიკური სურათებიანი წიგნების ფურცვლა-შრიალი. არ ვიცი, რამდენად კათოლიკურია დროშა, მაგრამ მის ირგვლივ გამართული აჟიოტაჟი ნამდვილად მაგონებს ყრუ შუა საუკუნეებში რომელიმე პროვინციელი წმინდანის კანონიზაციის პროცესს. და თუ ეს თეთრ-წითელი დროშა რაიმე კავშირშია ჯვაროსნებთან, ალბათ ის უნდა მოვიგონოთ, როგორ ყიდდნენ წმიდა მიწის დამცველები მთელს ევროპაში "ღვთისმშობლის რძეს" — რომელიღაც კარსტულ მღვიმეში დაგროვილ კირიან წყალს.

ეჰ, ერთმანეთში აირია ყველაფერი — თანამდებობები, სოციალური როლები, პოლიტიკური ფუნქციები... გიხაროდენ ქართველებო, სწორედ ჩვენზე ახდა წმიდა ანტონი ეგვიპტელის წინასწარმეტყველება: აქ ვინმემ საზრიანად და მართლად რომ მოჰკიდოს რაიმე საქმეს ხელი, ნამდვილად შეშლილად წარმოდგება საერთო ფონზე.







რეგიონი

# ელიზბარ ერისთავი გორში დაბრუნდა


ელიზბარ ერისთავის ბიუსტი

ვასილ გულეური
გორიდან

საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ცნობილია, რომ ჟურნალ "ომეგას" და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით დიდი მუშაობა ჩატარდა 1832 წლის შეთქმულების მთავარსარდლის, საზოგადო მოღვაწის ელიზბარ ერისთავის სახელის რეაბილიტაციისა და წარმოჩენისათვის. გამოცხადდა ელიზბარ ერისთავის ძეგლის კონკურსი, რომელიც რამდენიმე ტურად ჩატარდა, და გამოვლინდა გამარჯვებული ნაწარმოებიც – მოქანდაკე გენო ზაქარაიას მიერ შესრულებული პორტრეტი.

11 იანვარს, გორში, სახელმწიფო უნივერსიტეტის სკვერში, საზეიმოდ გაიმართა ელიზბარ ერისთავის ძეგლის გახსნა. უნივერსიტეტის წინ ამ დღეს ხალხმრავლობა იყო, სადაც უმრავლესობას სტუდენტების ნაცვლად, ქართველი მწერლები, მხატვრები და პარლამენტარები შეადგენდნენ.

მისასალმებელი სიტყვა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გედეონ ხელაიამ წარმოთქვა, რომელმაც ელიზბარ ერისთავის პიროვნებაზე და მის ღვაწლზე ისაუბრა. გორის გამგებელმა პაატა ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ეს არ არის რიგითი ძეგლი გორში და იმედი გამოთქვა, რომ ელიზბარ ერისთავის სახე მნიშვნელოვანი გახდება თითოეული გორელისთვის.

პარლამენტარმა გურამ შარაძემ, როგორც თვითონ განაცხადა, ამ დღეს ორი აღმოჩენა გააკეთა – ერთი ის, რომ ელიზბარ ერისთავი დაუბრუნდა საქართველოს, და მეორე – ქართულმა ქანდაკებამ შეიძინა გენო ზაქარაია. **"უნდა გვეყოს გამბედაობა და შევძლოთ ორი დიდი ქართველის, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ორი დიდი გორელის დაფასება"** – აღნიშნა მან ელიზბარ ერისთავისა და სტალინის შესახებ, რომლის ძეგლიც, სწორედ უნივერსიტეტის მეორე სკვერში დგას. შეკრების მიზეზის მიუხედავად, შარაძემ გვერდი ვერ აუარა მისთვის "საყვარელ" თემას და თავისი გამოსვლა იმით დაასრულა, რომ უნდა ვებრძოლოთ იელოველებს, ჩვენს გზასაცდენილ თანამოძმეებს და ამ საქმეში შიდა ქართლის გუბერნატორის, დავით ქობლიანიძის თანადგომის იმედი გამოთქვა.

პოეტმა ლია სტურუამ აღნიშნა, რომ გორი ყოველთვის იყო და კვლავაც გახდება ქართული კულტურის, ქართული მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა და აკაკი წერეთლის ლექსი შეგვახსენა.

არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ, რომელიც ელიზბარ ერისთავის ძეგლის კონკურსის ჟიურის წევრი გახლდათ, განაცხადა, რომ **"ეს იყო მოთმინებითი ძიება, რათა დაბადებულიყო ძეგლი, რომელიც შეეფერება ამ ქალაქს და ამ პიროვნებას"** და აღნიშნა, რომ იგი ქართულ პორტრეტულ იერარქიაში უმაღლეს ადგილს დაიჭერს.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ხელმძღვანელმა, ჟურნალ "ომეგასა" და გაზეთ "ჩვენი მწერლობის" რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ ელიზბარ ერისთავის პიროვნების რამდენიმე შტრიხი აღნიშნა. **"ელიზბარ ერისთავს დაფიცებული ჰქონდა, რომ ისე არ წავიდოდა ამქვეყნიდან, სანამ არ გაწყდებოდა უკანასკნელი ძაფი რუსეთსა და საქართველოს შორის. ეს ძაფები ჯერ არ გამწყდარა, საქართველო დღეს ძნელ მოსახვევში მიდის, მაგრამ ამასაც გავივლით. საჭიროა ერთად ვიყოთ არა მარტო ცოცხლები, არამედ გარდაცვლილნიც."**

"ომეგა ჯგუფის" პრეზიდენტმა, პარლამენტარმა ზაზა ოქუაშვილმა, რომლის თანადგომითაც მოხერხდა ძეგლის კონკურსის ჩატარება და მისი დამზადება, მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში. შემდეგ კი გედეონ ხელაიასთან ერთად საბურველი ჩამოხსნა ძეგლს.

დიაბაზის პიედესტალზე დადგმული სპილენძის ბიუსტი შესანიშნავად ჩაეწერა გარემოში და შეიძლება ითქვას, რომ იგი გორში ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია. როგორც უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, მომავალში მის გვერდით განზრახულია ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის ძეგლების დადგმა.

# ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმს საფრთხე ემუქრება

*ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის უძველესი საგანძური საფრთხის წინაშე დგას. მისი ფონდები ქუთაისის საოლქო სასამართლოს შენობის მცირე ნაწილშია განთავსებული. იქ კი ამჟამად, მსოფლიო ბანკის დაკვეთით, რემონტი მიმდინარეობს. ამის გამო ექსპონატებს დაზიანებისა და დაკარგვის საფრთხე ემუქრება.*

ბექა სისაური
ქუთაისიდან

სასამართლოს შენობიდან ფონდსაცავი სასწრაფოდაა გადასატანი, მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობა ამას ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებს. არადა, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საცავებში დაცულია უძველესი საეკლესიო ქონება, მდიდარი ნუმიზმატური კოლექცია, მეთექვსმეტე და შემდგომი საუკუნეებით დათარიღებული საეკლესიო და ხალხურ-ეთნოგრაფიული ნაქარგობანი, ძველი სახვითი ხელოვნებისა და წიგნების ფონდები; ასევე, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი უამრავი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთები. ფონდსაცავში დაცული ნივთების ღირებულება რამდენიმე მილიონ დოლარს აღწევს, ზოგიერთი სიძველე კი ფასდაუდებელია. ამ სიმდიდრეს, გარდა იმისა, რომ მტვერი აფუჭებს, შენობაში სარემონტო სამუშაოები დიდ საფრთხეს უქმნის. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ქალაქის ცენტრში მდებარეობს. მუზეუმის მდიდარი ფონდები შენობამ ვერ დაიტია და, ჯერ კიდევ 1980 წელს, ფონდსაცავი კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის შენობის ნაწილში განათავსეს. 1989 წელს ინსტიტუტის შენობა მუზეუმს მთლიანად დაუმტკიცეს, თუმცა, შენობის დანარჩენი ნაწილი მიზეზთა გამო, ფონდს არასდროს აუთვისებია.

1995 წელს ინსტიტუტის შენობა ქუთაისის სასამართლოს გადაეცა. ამით, გარკვეულწილად, ისტორიული სამართლიანობაც აღდგა, რადგან, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს, აღნიშნული შენობა სპეციალურად სასამართლოსთვის აშენდა და რევოლუციამდე იქ საგუბერნიო სასამართლო ფუნქციონირებდა. თუმცა შენობის სასამართლოსთვის გადაცემით მუზეუმის ფონდები არ უნდა დაზარალებულიყო. გადაწყდა, მუზეუმის ფონდისთვის სხვა შენობა გამონახულიყო, მაგრამ იქედან მოყოლებული დღემდე, პრობლემა ღიად რჩება. ამჟამად შენობაში განთავსებულია ქუთაისის საოლქო სასამართლო, რომელსაც მსოფლიო ბანკმა რემონტისთვის 2 მილიონი დოლარი გამოუყო. სარემონტო სამუშაოები შენობაში 13 დეკემბრიდან დაიწყო.

**"სარემონტო სამუშაოების გამო ექსპონატებზე მტვრის სქელი ფენაა დადებული, რაც საუკუნეების წინ შექმნილი ნივთებისთვის დამღუპველია. გაგვითიშეს შუქი და წყალი. იქ ყოფნა არათუ ექსპონატებისთვის, თანამშრომლებისთვისაც შეუძლებელია. ექსპონატების შესაბამის დონეზე დაცვასაც ველარ ვახერხებთ,"** - აცხადებს ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდსაცავის ხელმძღვანელი გივი ტყეშელაშვილი.

ქალაქის ხელმძღვანელობა კი, მიუხედავად უამრავი დაპირებებისა, პრობლემის გადაწყვეტას ვერ ახერხებს. არადა, უახლოეს მომავალში, ქუთაისის 1000 წლისთავია აღსანიშნავი. ღონისძიება იუნესკოს ეგიდით წარიმართება. **"მუზეუმის ფონდსაცავი საგრენაჟო ქარხნის ტერიტორიაზე განთავსდება. ეს ამბავი 99 პროცენტით გადაწყვეტილია. გარდა ამისა, ქალაქის ცენტრში ვეძებთ რამდენიმე შენობას, იმისთვის, რომ, ვიდრე ფონდს საგრენაჟო ქარხანაში გადავიტანთ, ნივთები დროებით განვათავსოთ,"** - განმარტავს ქალაქის ვიცე-მერი კულტურისა და განათლების საკითხებში ომარ გვეტაძე.

ეს პასუხი მუზეუმის თანამშრომლებს არ აკმაყოფილებს.

# „ჩემი სამშობლო საქართველოა"

## ოდისეი დიმიტრიადი - მშვიდობის საპატიო მედროშე

ნანა ბასილაშვილი


კონსტანტინა მავროსკელიდუ, ოდისეი დიმიტრიადი და ზვიად ჭუმბურიძე
ლევან ხერხეულიძის ფოტო

თბილისში, ცნობილ 11 სართულიან სახლში, დიდი ხელოვანი ოდისეი დიმიტრიადი სახლობს. გუშინ, 94 წლის ღვაწლმოსილ დირიჟორს სტუმრად ორი ელჩი ეწვია. სტუმრობის მიზეზი კი ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ. საერთაშორისო საზოგადოება "მშვიდობის მედროშე" (პრეზიდენტი ევგენი ღვინიაშვილი), სამშვიდობო მისიაში აქტიური მონაწილეობისათვის, ოდისეი დიმიტრიადს "საპატიო მშვიდობის მედროშის" დიპლომით აჯილდოებდა. ამ სასიხარულო ცერემონიალს, საბერძნეთის ელჩი საქართველოში კონსტანტინა მავროსკელიდუ და ახლახან დანიშნული (იგი ოფიციალურ მუშაობას ხვალ შეუდგება), საქართველოს ელჩი საბერძნეთში ზვიად ჭუმბურიძე, საკუთარი ინიციატივით შეუერთდნენ. "მშვიდობის საპატიო მედროშის" დიპლომი, მათივე ავტოგრაფებით, დირიჟორს ორივე ელჩმა ერთად გადასცა. ადვილი წარმოსადგენია, რომ ამ ფაქტმა ბატონი ოდისეის სიხარული კიდევ უფრო გააორმაგა.

"ჩემო ძვირფასებო, ჩემო მეგობრებო, მე დავიბადე ქალაქ ბათუმში და ბედნიერი ვარ რომ ჩემი სამშობლო საქართველოა. ვამაყობ, რომ დავამთავრე თბილისის კონსერვატორია და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი პედაგოგი დიდი ზაქარია ფალიაშვილი იყო. 1937 წლიდან ვიყავი თბილისის საოპერო თეატრის დირიჟორი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 30 წლის განმავლობაში, ქართული ოპერის თეატრი საკმაოდ მაღალ დონეზე ავიყვანე, მე ეს შევძელი. ვეთაყვანები ქართულ მუსიკას. ბედნიერი ვარ, რომ აქ ვცხოვრობდი და ვმუშაობდი. ვიცი, რომ ჩემი ადგილი, დიდუბის პანთეონშია, ჩემი მეგობრების გვერდით. ბედნიერი ვარ, რომ დღეს, თქვენ, ჩემო ქართველო ძმებო, ასე თბილად და სასიამოვნოდ მიმიღეთ. ღმერთმა მოგცეთ მშვიდობა, ბედნიერება და წარმატებები. უზომოდ ნიჭიერი ერი ხართ, თქვენ ჭეშმარიტად მაღალი დონის ოპერა უნდა გქონდეთ. მართალია ბოლო დროს ეს სფერო ცოტა მოისუსტებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ თბილისის ოპერა მაინც დიდ სიმაღლეზე იქნება", - აღელვებული საუბრობდა ოდისეი დიმიტრიადი.

"ოდისეი დიმიტრიადი ორ ქვეყანას, საქართველოსა და საბერძნეთს შორის, კეთილი ნებისა და მშვიდობის ნამდვილი დესპანი გახლავთ. მან შექმნა ხიდი სიყვარულისა საქართველოსა და საბერძნეთს შორის, რომელიც არსებობდა და კვლავაც იარსებებს", - განაცხადა ღონისძიების ორგანიზატორმა ევგენი ღვინიაშვილმა. დირიჟორს დაჯილდოება ელჩებმაც მიულოცეს.

ზვიად ჭუმბურიძე – "ჩვენ ულრმეს პატივს ვცემთ ამ საოცარ პიროვნებას და მის შემოქმედებას, ბატონი ოდისეი ორ ქვეყანას შორის მართლაც ნამდვილი ელჩია. წლების მანძილზე მისით ისტორიული ურთიერთობებია შემონახული. აქ ყოფნა ჩემთვის უდიდესი პატივია. საბერძნეთსა და საქართველოს შორის ისტორიულად, კულტურული და არა მარტო კულტურული ურთიერთობები არსებობს. ამ ურთიერთობებს მოვლა-პატრონობა და გაფრთხილება სჭირდება. ვფიქრობ, რომ საელჩოსა და პირადად ჩემი ფუნქცია ის არის, რომ ორ ქვეყანას შორის მსგავსი კავშირები უფრო გავაღრმავოთ, უფრო დინამიური და აქტიური გავხადოთ. მინდა აღვნიშნო, რომ წლების მანძილზე ბატონი ოდისეი სწორედ ელჩის ფუნქციას ასრულებდა, როგორც საბერძნეთის, ისე საქართველოს მხრიდან. მის პიროვნებას საბერძნეთსა და საქართველოში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებიან."

საბერძნეთის ელჩმი საქართველოში კონსტანტინა მავროსკელიდუ, პირველ რიგში, საქართველოს ახალი ელჩის დანიშვნას მიესალმა და წარმატებული თანამშრომლობა უსურვა; - "ჩვენი ერთობლივი მოღვაწეობა, ძალიან პროდუქტიული და მნიშვნელოვანი იქნება. დიდი სიხარულით მოვედი დღეს ბატონ ოდისეისთან, ეს მოვლენა კიდევ ერთი დასტურია იმ კულტურული ურთიერთობებისა, რომელიც საქართველოსა და საბერძნეთს შორის ოდითგან არსებობდა. ელჩებს მართლაც უნიკალური საშუალება გვეძლევა ამ ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებისა, რომლის ერთ-ერთ ფუძემდებელთან, ბატონ ოდესეისთან შეხვედრა, ჩემთვის უდიდესი პატივი და სიხარულია".

ზაქარია ფალიაშვილის მოსწავლესა და ჯანსუღ კახიძის მასწავლებელს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, სახალხო არტისტსა და ღირსების ორდენის კავალერს ოდისეი დიმიტრიადს გუშინ, "საპატიო მშვიდობის მედროშის" წოდება მიანიჭეს.

# ყველანი ფოლკოთეკაზე

## "სუხიშვილების" ტრანს-კავკასიური ექსპერიმენტი "ნოა-ნოაში"

ვერა ნეფარიძე


რეპეტიცია

საკლუბო პერფორმანსი, კავკასიური რითმები თანამედროვე საკლუბო ვარიაციებში, პირველი ნამდვილი "ფოლკოთეკა" "სუხიშვილების წამყვანი მოცეკვავეებისა და მუსიკოსების მონაწილეობით, - ასეთია მოკლე ანოტაცია იმ ძველით საახალწლო ღამის, რომელსაც "სუხიშვილებისა" და ვანიკო თარხნიშვილის ტანდემი "ნოა-ნოაში" გეგმავს. ამ საღამოს პოპულარული დამოუკიდებელი პრომოუტერის დახმარებით, "სუხიშვილები" ახალი პროექტის, "ასსას" დაწყებას აღნიშნავენ.

ფოლკ-ტრანს-კავკას-ფაცხა, - ასე ეძახიან შინაურულად ამ პროექტს მისი ავტორები: ილიკო სუხიშვილი, ვანიკო თარხნიშვილი და ირაკლი ჩაჩხიანი. იდეა, რომელზეც ნაციონალური ბალეტის ახლანდელი ქორეოგრაფი თურმე, ბავშვობიდან ფიქრობდა, ახლა განხორციელდება. იდეა კი კავკასიური მუსიკის გაერთიანებასა და მის საკლუბო აჟღერებას გულისხმობს. "ადრე ამ იდეის განსახორციელებლად არც დრო იყო და არც საშუალება. მაშინ "სუხიშვილები" უფრო კლასიკურ პროგრამაზე მუშაობდნენ. ახლა, როგორც ჩანს, ამის დროც მოვიდა. ყველაფერი უცაბედად მოხდა", - პროექტის სპონტანურ განხორციელებაზე საუბრობს ირაკლი ჩაჩხიანი, რომელიც ილიკო სუხიშვილთან ერთად, "ასსა-party"-ის მუსიკალურ მხარეზე ზრუნავს. სწორედ მათი იდეით, პროექტში კავკასიური ფოლკლორისთვის გამოყენებულ ტრადიციულ ინსტრუმენტებს ორი უცხო ინსტრუმენტი – დიჯირიდუ და ვარგანი შეემატა.

"დიჯირიდუ ავსტრალიური ინსტრუმენტია და მას ადრე ლონდონში გავეცანი, ავსტრალიელი აბორიგენი უკრავდა", - ირაკლი ჩაჩხიანი თურმე მაშინ დაფიქრდა, რომ შეიძლებოდა ამ ინსტრუმენტისა და დუდუკის ჟღერადობას განსაკუთრებული ეფექტი ჰქონოდა. გაამართლა თუ არა მისმა ვარაუდმა, ამაში "ნოა-ნოას" სტუმრები პირველები დარწმუნდებიან. ირაკლის თქმით, დიჯირიდუს თითქოს კოსმოსური ბგერა აქვს. დაახლოებით ამგვარია მომთაბარე ტუველების ვარგანი. "ფაქტობრივად ტრანსული ინსტრუმენტია", - გვეუბნება ირაკლი და მიხსნის, რომ ეს ინსტრუმენტი ტუველების გარდა აქვთ ინდიელებს, უკრაინელებს და უნგრელებს, მაგრამ ყველა მათგანს სხვადასხვაგვარი. "უბრალოდ, ტუველების ვარგანი რკინისაა და ჩვენთვის სასურველ ხმას გამოსცემს. ის ბგერის აქცენტს აკეთებს". ამ საღამოს "ასსა-party"-ზე ამ ინსტრუმენტებით ორგანიზატორები რამდენიმე ექსპერიმენტს გეგმავენ.

მუსიკა "ასსა-party"-ზე რასაკვირველია, ცოცხლად შესრულდება. კლუბში ასევე ცოცხლად იმუშავებს ერთ-ერთი საუკეთესო დი-ჯეი საქრათველოში, გიორგი ჟორჟოლიანი. საერთო ჯამში, "ასსა-party" ესაა საკლუბო პროექტი, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს პერსპექტივები. თუმცა, ორგანიზატორები ამ ეტაპზე, სამომავლო გეგმებზე ნაკლებს საუბრობენ. ისე, დაგეგმილია პროექტის უცხოეთში გატანა. ვანიკო თარხნიშვილის თქმით, უკვე დაინტერესდნენ რუსი და აზერბაიჯანელი პარტნიორები. 18 იანვრისთვის უნდა დამზადდეს პროექტის ვიდეო-ვერსია, რათა ის უცხოელ პარტნიორებს გაეგზავნოს; აუდიო-ვერსია კი თებერვლისთვის იქნება მზად, რის შემდეგაც, ალბათ მის მიმართ გარკვეულ ინტერესს ქართული კლუბებიც გამოიჩენენ. ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ ქართველი ახალგაზრდები აუცილებლად დაინტერესდებიან "ფოლკოტეკით" და ის ისეთივე სასურველი ელემენტი იქნება მათთვის ღამის კლუბებში, როგორც ნებისმიერი დასავლური საცეკვაო მიქსი.

სამომავლოდ პროექტისთვის მოსამზადებელია კოსტიუმებიც, რაზეც უკვე მუშაობს ნინო სუხიშვილი. დღეს ღამე კი პროექტის თორმეტი მონაწილე ჩვეულებრივ ფორმაში იქნება გამოწყობილი, ვიზუალურ მხარეზე ამჯერად ნაკლებ აქცენტს გააკეთებენ.

# „სოფთების„ საახალწლო ზღაპარი

## მეორე ინგლისური ტურნეს დაწყებამდე

ვერა ნეფარიძე

*საახალწლო მინი-ალბომი "ღამე" და ორმოცწუთიანი მუსიკალური ფილმი "სოფთებზე", - ეს ის არის, რასაც Soft Eject ქართველ ფანებს თბილისში დაბრუნებამდე უტოვებს. თავად კი გაურკვეველი დროით (როგორც სჩვევიათ, ხოლმე) ცოცხალი კონცერტებით ინგლისის მსხვილ ქალაქებს მოივლიან.*



ახალი დისკის ყდა

ვიდეოფილმს ჯგუფის გამზგავრებისთანავე "რუსთავი 2" აჩვენებს, მინი-ალბომი, ე.წ. სინგლი "ღამე" კი მუსიკოსებმა უკვე გააგზავნეს აუდიომაღაზიებში. ალბომი საკმაოდ მცირე ტირაჟით გამოუშვეს, ასე რომ, "სოფთების" ფანებს ცოტა შანსი აქვთ...

"ღამე" ამ ქართული ჯგუფის პირველი დისკია მას შემდეგ, რაც Soft Eject ბრიტანეთიდან დაბრუნდა. ეს არის ალბომი ორი ახალი სიმღერით. უფრო სწორად, ძველი და ახალი სიმღერებით, რომლებიც ჯგუფმა სამშობლოში პირველად გამოსცა. სიმღერა "გილოცავ ახალ წელს" მუსიკოსებმა საკმაოდ ადრე - გერმანიაში მოღვაწეობისას ჩაწერეს და იქვე გამოცემულ მაგნიტო-ალბომში შეიტანეს. თუმცა, თბილისური ვერსია, როგორც მუსიკოსებმა გვითხრეს, ოდნავ განსხვავებულია. რაც შეეხება სინგლის მეორე ნამუშევარს, "ღამეს", ის "სოფთებმა" თბილისში ერთი-ორჯერ თუ შეასრულეს. ეს არის დაგეგმილი დიდი, დაახლოებით ორსაათიანი შოუს, ე.წ. ზღაპარი დიდებისათვის, პატარა ვერსია, სადაც გუნდთან ერთად საოპერო მომღერლებიც მონაწილეობენ (ასეთი შესრულება თბილისელ მსმენელს უნდა ახსოვდეს ორი წლის წინათ ფილარმონიაში გამართული Soft Eject-ის კონცერტიდან). სიმღერები "ქართული ჩანაწერებისა" და "სოფთების" საკუთარ სტუდიებშია გაკეთებული. აღნიშნული სტუდიის გარდა, მუსიკოსებს სინგლის ყდის გამოცემაში "ზაკურ სულაკაურის გამომცემლობაც" დაეხმარა.

ამ დისკთან ერთად "სოფთები" ქართველ მსმენელს ჯგუფის შესახებ გადაღებულ მუსიკალურ ფილმსაც უტოვებს, ფილმის რეჟისორი ნინო დალაქიშვილია. მასვე ეკუთვნის ჯგუფის ვიდეოკლიპი სიმღერაზე Wonderer. თავად ჯგუფი კი მეორე სტუდიური ალბომის სრული მასალით 20 იანვარს ინგლისში გაემგზავრება. მუსიკოსებს მეორე ალბომის გამოცემა ინგლისში აქვთ დაგეგმილი. ამას გარდა, 16 თებერვლამდე დაგეგმილია Soft Eject-ის კონცერტები მანჩესტერის, ლივერპულისა და ბაქსტონის კლუბებში. ჯგუფი მონაწილეობას მიიღებს ბაქსტონის ბლუზის ფესტივალზეც, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში გრძელდება. "მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ ლონდონშიც გავმართოთ ორი კონცერტი, ვნახოთ რა გამოვა", - როგორც ყოველთვის, ვახო ბაბუნაშვილს ახლაც არ უყვარს საუბარი ბოლომდე გადაუწყვიტავ საკითხებზე. კონცერტების გარდა, ჯგუფის წევრებმა, ვახომ, ნოდარმა და სანდრომ მანჩესტერის "როიალ ნორთენ კოლეჯში" მასტერ-კლასები უნდა გამართონ. მუსიკოსები ზოგადად, ქართულ ხალხურ სიმღერასა და მის საკუთარ შემოქმედებაში გამოყენებაზე ისაუბრებენ. თუ რამდენად წარმატებით იმოგზაურებს ჯგუფი დიდ ბრიტანეთში ამჯერად, ამის შესახებ ჩვენი გაზეთის მკითხველს აუცილებლად ვაცნობებთ. "სოფთები" "24 საათის" მკითხველს ბრიტანული შთაბეჭდილებების გაზიარებას ჰპირდებიან.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# ლოთარ მათეუსი - სასიყვარულო თავგადასავლების მსხვერპლი

დასრულდა ლოთარ მათეუსის სასიყვარულო თავგადასავალი არასრულწლოვან ავსტრიელ ჯულია კორჩიგასთან მავრიკეთის კუნძულზე, სადაც მათეუსმა შვებულება გაატარა. გერმანული გაზეთი "ბილდი" იუწყება, რომ მათეუსი გოგონას მაშინვე დაემშვიდობა, როგორც კი მისი ასაკი შეიტყო. "მან მითხრა, რომ 19 წლის არის და მე ეჭვის არავითარი საფუძველი არ მქონდა", - განაცხადა მათეუსმა.

თუმცა, ჯერ კიდევ შვებულების დაწყებამდე, გერმანიის ნაკრების ყოფილი ლიდერი გაკვირვებული იყო იმით, რომ გოგონას მართვის მოწმობა არ ჰქონდა. "მან მითხრა, რომ ავარიის შემდეგ პოლიციამ მართვის მოწმობა ჩამოართვა, - თქვა ბელგრადის "პარტიზანის" გაწბილებულმა მწვრთნელმა, - ტყუილით ძნელია ურთიერთობის აწყობა".

რაც შეეხება 17 წლის ჯულიას, რომელიც ამჟამად საშუალო განათლების ატესტატს იღებს, სინანულით აღნიშნა: "სიმართლის თქმის შემეშინდა, რადგან არ მინდოდა მისი დაკარგვა". მათეუსისა და ჯულიას ურთიერთობა ორი თვის წინათ დაიწყო. მათ ვენის გალერეაში გაიცნეს ერთმანეთი და ახალ წელსაც ერთად შეხვდნენ.

## მოკლედ

**მიუნხენის** "ბაიერნმა" ტომას ლინკეს კონტრაქტი გაუგრძელა. გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი ბუნდესლიგის ყველაზე სახელოვანი კლუბის შემადგენლობაში კიდევ წელიწადნახევარს გაატარებს. რაც შეეხება დანარჩენ ფეხბურთელებს, რომლებიც უკვე ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებენ, "ბაიერნი" არ ჩქარობს მათთან კონტრაქტების გაგრძელებას. კერძოდ, საუბარია იენს იერემისზე, ბიქსან ლიზარაზუზე, მიხაელ ტარნატსა და ტორსტენ ფინკზე. რაც შეეხება პარაგვაელ როკე სანტა კრუზს, მიუნხენელებს პარაგვაელის გარეშე ნახევარ წელიწადს მაინც მოუწევთ თამაში. თურქეთის "გალათასარაისთან" ამხანაგურ მატჩში, რომელიც ესპანეთის ქალაქ მარბელში გაიმართა, სანტა კრუზმა მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო.

■ ■ ■

**კიდევ** ერთმა გერმანულმა კლუბმა, ლევერკუზენის "ბაიერმა", რომელიც ამჟამად ფლორიდაში შეკრებაზე იმყოფება, ამხანაგურ მატჩში 3:0 დაამარცხა ჰონდურასის ნაკრები. გოლები გაიტანეს ბრაზილიელმა ფრანკამ, ბერნდ შნაიდერმა და დანიელ ბოროფკამ. თამაშს 31 000 მაყურებელი დაესწრო, ძირითადად, ჰონდურასელები, რომლებმაც ნირწამხდრებმა დატოვეს სტადიონი.

■ ■ ■

**ინგლისური** "სანდერლენდის" ნახევარმცველი შტეფან შვარცი მოზარდებზე თავდასხმის გამო დააპატიმრეს. ინციდენტი მოხდა მაშინ, რაც ბავშვებმა შვარცის ავტომანქანას თოვლის გუნდები დააყარეს. შვედეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, რომელიც ახლა "სანდერლენდის" საფეხბურთო სკოლაში მუშაობს, ორ "თავდამსხმელს" ერთი-ორი წაუთაქა. ჩხუბის დროს ერთ ბავშვს ფეხი მოსტყდა, რაც ერთიორად ამძიმებს შვარცის მდგომარეობას. შვედს სასამართლოში აქვს საქმე.

■ ■ ■

**არგენტინელი** მაურო კამორანეზი იტალიის ნაკრებში თამაშს აპირებს და "სკუადრა აძურას" შემადგენლობაში შეიძლება უკვე თებერვალში გამოჩნდეს, როცა "ლაჟვარდოვნები" პორტუგალიასთან ამხანაგურ მატჩს გამართავენ. კამორანეზის, რომელსაც ორმაგი მოქალაქეობა აქვს, შეუძლია თავისი ოცნების ასრულება, რადგან მას არგენტინის ნაკრებში არასოდეს უთამაშია. კამორანეზისადმი ინტერესს არგენტინის ნაკრებიც ამჟღავნებს, მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ "იუვენტუსის" ფეხბურთელი მარსელო ბიელსას გუნდს ჯოვანი ტრაპატონის "სკუადრა აძურას" ამჯობინებს.

■ ■ ■

**ინგლისის** "ჩელსის" ფორვარდმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა დაადასტურა, რომ მზად არის ესპანეთის "ბარსელონასთან" მასალაპარაკებლად. ჰოლანდიელის თქმით (ის, თავის დროზე, ესპანეთის პრიმერადივიზიონში, მადრიდის "ატლეტიკოში" თამაშობდა), განაცხადა, რომ, დიდი სიამოვნებით მოსინჯავს ძალებს ისეთ დიდ კლუბში, როგორიც "ბარსელონაა".

■ ■ ■

**უკრაინელი** სერგეი რებროვის თურქეთის "ფენერბახჩეში" გადასვლა გადაიდო. თურქული კლუბის მწვრთნელის ოგიუზ სეთინის თქმით, ინგლისის "ტოტენჰემის" ფორვარდის სატრანსფერო ფასი "ფენერბახჩესთვის" მიუწვდომელია. ამჟამად სტამბულელები განიხილავენ "გაზიანთეფსპორიდან" ქემალის, ხოლო "ბურსასპორიდან" ოკანის გადაბირების საკითხს.

■ ■ ■

**რომის** "ლაციომ" გაისტუმრა ფეხბურთელების მიმართ დავალიანების ნაწილი. კერძოდ, რომაელებმა ფეხბურთელებს სამი თვის ხელფასი დაურიგეს და ამით კლუბი საბოლოო დანგრევას გადაარჩინეს. სახსრების ძირითადი ნაწილი რომაელებს გადაურიცხა ტელეკომპანია Stream-მა, რომელიც "ლაციოს" თამაშების ტრანსლაციის უფლების ექსკლუზიური მფლობელია. ამჟამად გუნდის ხელმძღვანელობა მომავალს იმედით შესცქერის. მას იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში დავალიანებას მთლიანად დაფარავს და კლუბში ახალგაზრდა, ნიჭიერი თაობის აღზრდისთვის წარმატებულ სისტემას შექმნის.

■ ■ ■

**ესპანეთის** ნაკრების ყოფილი მეკარე ტონი ხიმენესი ბარსელონის "ესპანიოლში" ბრუნდება. 32 წლის გოლკიპერმა ორწელიწადნახევრიანი კონტრაქტი უნდა გააფორმოს გუნდთან, რომლის ღირსებას 1993-დან 1999 წლამდე იცავდა. წლევანდელი სეზონი ტონი ხიმენესმა დაიწყო "ელჩეში", რომელიც ახლა ესპანეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში თამაშობს. ტონის "ესპანიოლში" გადასვლის ინიციატორი გახდა ხავიერ კლემენტე, რომლის ხელმძღვანელობითაც ხიმენესმა ეროვნულ ნაკრებში 1999 წელს თავისი უკანასკნელი მატჩი ჩაატარა.

■ ■ ■

**ინგლისის** "ნიუკასლის" კაპიტანი ალან შირერი თვის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. დეკემბერში ჩატარებულ ექვს მატჩში შირერმა 5 გოლი გაიტანა და "ბოლტონის" წინააღმდეგ დუბლი შეასრულა, ხოლო "ევერტონის" კარში გატანილი გოლი (1 დეკემბერს) შირერმა თავისი სპორტული კარიერის ულამაზეს გოლად აღიარა. შირერი, 13 გოლით, ჯერჯერობით, პრემიერლიგის ბომბარდირთა შორისაა.

■ ■ ■

**ესპანეთის** "ბარსელონას" ჰოლანდიელი მცველი მიხაელ რაიციგერი, ჯერჯერობით, თანახმა არ არის, ინგლისის "მანჩესტერ სიტიში" გადავიდეს. რაიციგერი ამ კვირაში (ხუთშაბათს და პარასკევს) ორჯერ შეხვდა "სიტის" მწვრთნელს, კევინ კიგანს, და საბოოლოო გადაწყვეტილების უფლება დაიტოვა. კიგანის თქმით, ფეხბურთელი ჰოლანდიაში გაემგზავრა და მწვრთნელს შეჰპირდა, რომ გადაწყვეტილების მიღებას არ გააჭიანურებს. შეგახსენებთ, რომ "სიტის" სურს, მცველი იჯარით შეიძინოს.

## ისტორიული ფოტო

### ეს იყო 41 წლის წინათ...



1962 წლის ივნისი, ვინა დელ მორი (ჩილე). ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი აიმორე მორეირა და პელე ვარჯიშის დაწყებამდე.

# ევროპული ფეხბურთი კვლავ ფინანსურ კრიზისშია

### ძვირად ღირებულ ტრანსფერებს ყველა გაურბის - მოდაშია განათხოვრება

აკა ტონია

გასულ ზაფხულს ევროპული ფეხბურთის სატრანსფერო ბაზარზე უჩვეულო სიმშვიდე იყო. ფინანსური კრიზისი შეეხო "უძლეველ" გრანდებსაც, რის გამოც გამოირიცხა ძვირად ღირებული, ხმაურიანი ხელშეკრულებების დადება. შარშანდელი ზაფხულის სიმშვიდე გამოიწვია, ალბათ, მხოლოდ რონალდოს ტრანსფერმა, რომელზეც "ინტერი" და "რეალი" აგვისტოს ბოლოს, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე შეთანხმდნენ.

ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვა კლუბებისთვის წელიწადში მხოლოდ ორჯერ - ზაფხულსა და ზამთარშია შესაძლებელი. სწორედ ამ დროს იხსნება ეგრეთ წოდებული სატრანსფერო ბაზარი. ასეთი პერიოდი დგას ახლაც, როდესაც ჩემპიონთა ლიგასა და ევროპის რამდენიმე ეროვნულ ჩემპიონატში შესვენებაა, სატრანსფერო ციებ-ცხელება გრძელდება, თუმცა...

ძნელია, ამ ყველაფერს ციებ-ცხელება დაარქვა, რადგან, ისევე როგორც ზაფხულში, ახლაც სიმშვიდე სუფევს - ფინანსური კრიზისი კვლავინდებურად მძვინვარებს.

ჭორი და მითქმა-მოთქმა, როგორც ყოველთვის, ახლაც ბევრია, თუმცა, რეალურად, ძალიან ცოტა გარიგება განხორციელდა. სულ უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობს ფეხბურთელთა თხოვება-განათხოვრების პოლიტიკა - მილიონიანი ტრანსფერები ტკბილ მოგონებად იქცა. გასაკვირი არაფერია,



ოლივიე დაკური წლევანდელი სატრანსფერო ზამთრის უძვირესი შენაძენი

REUTERS

რადგან ევროპის თითქმის ყველა ლიგაში არის გუნდი, რომელსაც უმძიმესი ფინანსური პრობლემები აქვს. მაგალითად, იტალიური "ლაციო", ესპანური "ატლეტიკო", ინგლისური "ლიდსი", ანდა, სულაც, ფრანგული "მონაკო".

წლევანდელი სატრანსფერო ზამთრის ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენია ფრანგი ოლივიე დაკური, რომელშიც "რომამ" "ლიდსს" 6 მილიონი ევრო გადაუხადა. 3 მილიონი დაჯდა დმიტრი სიჩოვის მარსელის "ოლიმპიკში" გადასვლა. ეს არის და ეს. სხვა დანარჩენი გარიგებები, რომლებიც წლევანდელ ზამთარში განხორციელდა, განათხოვრება გახლდათ.

შექმნილი ვითარების კარგი მაგალითია მილანის "ინტერი". 31 იანვრამდე იტალიელებმა უნდა აირჩიონ, თავისთან უსასყიდლოდ გადაიყვანონ "რეალის" არგენტინელი ნახევრმცველი სანტიაგო სოლარი, თუ მადრიდელებს კიდევ 10 მილიონი ევრო გადაახდევინონ. სწორედ ასეთი ხელშეკრულება დაიდო აგვისტოში, რომელზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. "რეალმა" რონალდო 35 მილიონ ევროდ შეიძინა, ზამთარში კი სოლარი ან კიდევ 10 მილიონი უნდა დაუმატოს "ინტერს". მილანელთა არგენტინელ მწვრთნელს, ჰექტორ კუპერს, ძალიან უნდა, რომ სოლარის სახით გუნდში კიდევ ერთი თანამემამულე ჰყავდეს, მაგრამ პრეზიდენტი მორატი სხვა აზრისაა - ფინანსურად არც "ინტერს" ულხინს, ამიტომ პრეზიდენტს 10 მილიონი ურჩევნია.

რომის "ლაციოზე" უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა. კლუბის ფეხბურთელებს მოთმინების ფიალა აევსოთ და მათ სასამართლოში ჩივილი დაიწყეს - ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი მოთამაშეების დაკარგვის საშიშროების წინაშე დგას. "ლაციოს" ახალმა ხელმძღვანელობამ და მისმა ახალმა პრეზიდენტმა, უგო ლონგომ, გასულ სამშაბათს ფეხბურთელებს პირობა მისცეს, რომ 16 იანვრამდე ხელფასების გარკვეულ ნაწილს მაინც გადაუხდიან. ცხადია, "ლაციოში" ახალ შენაძენებზე საუბარიც ზედმეტია.

მძიმე ვითარებაა "იუვენტუსშიც": დელ პიერომ, დავიდსმა, ტრეზეგემ და კამორანეზიმ პროტესტი გამოთქვეს ხელფასების გამო. ფინანსური პრობლემების მიზეზით, დელ პიეროსა და დავიდსს ხელფასს 20 პროცენტით უმცირებენ, ტრეზეგესა და კამორანეზის კი თავიანთი ახლანდელი ანაზღაურება ხელს არ აძლევთ.

ძნელი სათქმელია, როგორ დასრულდება წლევანდელი სატრანსფერო ზამთარი. შესაძლოა, გასული ზაფხულის მსგავსად, კვლავ დაირღვეს სიმშვიდე და განხორციელდეს რაიმე ხმაურიანი გარიგება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამის შესაძლებლობა თითქმის არც ერთ ევროპულ კლუბს არა აქვს, მილიონიან ტრანსფერებს არ უნდა ველოდეთ. თუმცა, მადრიდის "რეალისგან" უკვე ყველაფერია მოსალოდნელი...

# ონილმა რედნაპს რქები დაადგა



ჯეიმი რედნაპი



ლუიზა რედნაპი



მარტინ ონილი

გლაზგოს "სელტიკის" მწვრთნელის, მარტინ ონილის საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისადმი ლტოლვის ამბავი, კარგა ხანია, გასცდა შოტლანდიის ფარგლებს. იმ დროს, როცა ინგლისელი ფეხბურთელი ჯეიმი რედნაპი მარჯვენა ფეხზე მოტეხილ თითს მკურნალობს, მისი ცოლი, "სელტიკის" თავკაცთან ერთად, კარიბის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე ერთობა.

იმის მიუხედავად, რომ ინგლისელ პაპარაცებს "გათხოვილი" მანდილოსანი მაკომპრომეტირებელ ვითარებაში ჯერ არ დაუფიქსირებიათ, ბრიტანული პრესა უკვე ბჭობს იმაზე, თუ რა შეიძლება აკავშირებდეს ონილს მშვენიერ ლუიზასთან. როგორც ჩანს, ქალების გულთა მპყრობელმა ონილმა ვერც ლუიზას შეხედა გულგრილად...

მწვრთნელმა და მისის რედნაპმა ერთმანეთი გაიცნეს გასულ კვირას, სტადიონის ტრიბუნაზე, როცა გლაზგოელებმა თავიანთი ამერიკული ტურნეს პირველი მატჩი ჩაატარეს.

მომხდარზე კომენტარისგან, ჯერჯერობით, ყველა თავს იკავებს. ბუნებრივიცაა, რადგან ჯერ გარკვეული არაფერია. "ჩემს ცოლს პირადი საქმეები აქვს ბარბადოსზე და იქ ამიტომ გაემგზავრა. რაც შეეხება იქ მარტინ ონილის ყოფნას, ყველას აქვს უფლება, სადაც სურს, იქ დაისვენოს. მარტინმაც ბარბადოსი აირჩია", - ესღა თქვა ჯეიმი რედნაპმა.

რაც შეეხება გლაზგოური კლუბის ხელმძღვანელობას, მისი თქმით, კომენტარის საჭიროებას ვერ ხედავენ. "მარტინი ისვენებს და მას სრული უფლება აქვს, სადაც უნდა და როგორც უნდა, ისე დაისვენოს. კლუბისთვის უმთავრესი ის არის, რომ ვინმეს მოქმედებით კლუბი არ დაზარალდეს და მისი ღირსება არ შეილახოს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება რაიმე კონკრეტულის თქმა", - აღნიშნულია გლაზგოელთა განცხადებაში.

# რითი ერთობიან ფეხბურთელები თავისუფალ დროს?

ბუნებრივია, ყველა ისე ატარებს თავისუფალ დროს, როგორც თავად მოესურვება. ზოგი თეატრში დადის, ზოგი შინ ზის, ზოგს კაფე-ბარები უყვარს, ზოგიც კაზინოში ერთობა.

ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის ლონდონის "ჩელსის" თავდამსხმელი ეიდურ გუდიონსენი. კაზინოებისადმი დიდმა სიყვარულმა ფეხბურთელს 400 000 გირვანქით შეუმსუბუქა ჯიბე. "ეს ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ტრავმა მქონდა. ერთი სიტყვით, უსაქმოდ ვიყავი, - უამბობს ისლანდიელი ჟურნალ "Peoples"-ს, - კაზინოებმა დამავიწყა ტრავმა და ისიც, თუ რას და როგორ აკეთებდნენ ჩემი თანაგუნდელები ჩემს გარეშე. საბოლოოდ კი ორი თვის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ვალებში ვიყავი ჩაფლული. გადავწყვიტე, ვალები ისევ კაზინოში მოგებული ფულით გადამეხადა, თუმცა, არც ამან გაამართლა. უფრო ზუსტად, ნაწილობრივ გაამართლა, რადგან საბოლოოდ ვალების დაფარვა ჩემს მიერ გამომუშავებული ფულიდან მომიხდა. ეს წარსულის ამბავია. ახლა კაზინოში ძალითაც ვერავინ შემიყვანს".

რამდენად გულწრფელია ფეხბურთელი, ძნელი სათქმელია, ყოველ შემთხვევაში, კლუბის მწვრთნელს, კლაუდიო რანიერის, მისი სიტყვებისა ბოლომდე არ სჯერა: "ძნელია, ერთბაშად უარი თქვა საქმეზე, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში მისდევ. რა თქმა უნდა, ასე უკეთესი იქნებოდა ყველასთვის, უპირველესად კი, თავად გუდიონსენისთვის. ერთადერთი, რაც მაღელვებს, ისაა, რომ გართობამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს მის პროფესიულ კარიერას, რაც კლუბზეც უარყოფითად იმოქმედებს".

მწვრთნელის აზრს ეთანხმება კლუბის პრეზიდენტიც, რომლის თქმითაც, თუ გუდიონსენი, ერთხელაც კი, კლუბს რითიმე აზარალებს, ის "ჩელსის" დატოვებს.

სხვათა შორის, გუდიონსენი ერთადერთი არ არის, ვინც თავისუფალ დროს ასე ატარებს. არცთუ დიდი ხნის წინათ ასეთივე სკანდალი აგორდა დავიდ ჟინოლასთან დაკავშირებით. ფრანგი ფეხბურთელი არაერთხელ შენიშნეს კაზინოებსა და ღამის ბარებში, რასაც მის მიმართ დიდი რაოდენობით ფულადი ჯარიმები მოყვა.

რაც შეეხება ტოტალიზატორებს, ამ მხრივ საქმე უფრო რთულადაა. ფეხბურთელებს ტოტალიზატორებთან ვერავინ შენიშნავს და, ერთი შეხედვით, ამ მხრივ საქმე მარტივადაა, თუმცა...

საქმე ის არის, რომ ინგლისში პროფესიონალ სპორტსმენებს ეკრძალებათ ტოტალიზატორებში თამაში. ისინიც, რაკი სახეზე თითქმის ყველას ცნობენ, სხვების დახმარებით შოულობენ ფულს. სტივ კლარიჯს ამ მხრივ არ გაუმართლა, უფრო სწორად, წინდაუხედაობამ დაღუპა. პირველი დივიზიონის ფეხბურთელმა დივიზიონის ლიდერთან თავისი კლუბის გამარჯვებაზე დადო დიდი თანხა, შემდეგ კი, მოედანზე გასულმა, ჰეთ-თრიკი შეასრულა, რითაც თავის გუნდს გამარჯვება, საკუთარ თავს კი 1,6 მილიონი გირვანქა მოუტანა. ინგლისურ კანონზე უკვე ვთქვით და, ფეხბურთელიც სასამართლოში აღმოჩნდა. ციხეში რომ არ ჩაესვათ, მოგებული თანხა მთლიანად დააბრუნებინეს და ზედ 50 000 გირვანქა ჯარიმაც დაამატეს.

# როგორც იქნა, ისრაელი დაბინავდა

დამთავრდა ებრაელთა გაუთავებელი მოგზაურობა ევროპის გარშემო - ისრაელის ფეხბურთელთა ნაკრებმა, როგორც იქნა, მიაგნო თავისთვის სასურველ სტადიონს. ამიერიდან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ორ საშინაო შეხვედრას ისრაელის ნაკრები ფლორენციის სტადიონზე გამართავს. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელეს ისრაელის საინფორმაციო სააგენტოებმა.

ისრაელის ფეხბურთის ფედერაცია დიდხანს ეძებდა სასურველ ვარიანტს - ხან რუმინეთში, ხანაც კვიპროსზე. ბოლოს ინგლისსაც მიადგა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ, მუსლიმების შიშით, ისრაელის ნაკრები არც ბრიტანეთში იქნებოდა სასურველი სტუმარი. ბოლოს ებრაელთა ნავსაყუდელად იტალიის ქალაქი ფლორენცია იქცა.

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია დათანხმდა პირობას, რომ ისრაელის ნაკრებმა საფრანგეთისა და კვიპროსის წინააღმდეგ მატჩები ფლორენციის "არტემიო ფრანკის" სახელობის სტადიონზე გამართოს. ეს მატჩები აპრილში გაიმართება. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ უკვე გაგზავნა UEFA-ში წერილი შესაბამისი თხოვნით და ახლა ებრაელებს, მატჩების ჩასატარებლად, მხოლოდ UEFA-ს ფორმალური დასტური სჭირდებათ. ისრაელის საფეხბურთო ჩინოვნიკები კი უკვე გაემგზავრნენ ფლორენციაში, რათა ადგილობრივ ხელისუფლებასა და პოლიციას მატჩების ორგანიზაციაზე მოელაპარაკონ.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინათ ტელ-ავივის "ჰაპოელმა" UEFA-ს თასის შეხვედრაში სწორედ ამ სტადიონზე უმასპინძლა ინგლისის "ლიდს იუნაიტედს". იმ მატჩში არავითარი ექსცესები და ანტისემიტური გამოხდომები არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ინგლისელმა ფეხბურთელებმა "ჰაპოელი" მიწასთან გაასწორეს.

# ხელები შორს "მონაკოსგან"!

### ახალ რუსს "მონაკოს" შეძენის უფლება არ მისცეს

ფრანგულ "მონაკოსაც" ფინანსური კრიზისი ეწვია: თუ კლუბის პრეზიდენტი იანვრის ბოლომდე საზოგადოებას სასურველ ინვესტორს ვერ წარუდგენს, გუნდის კრახი გარდუვალი იქნება. "მონაკოც" სასწრაფოდ დაფაცურდა - ახალ ინვესტორს ეძებს. "ბოლო წლებში ჩვენი შემოსავალი ყოველთვის მინუსს უჩვენებდა, - აცხადებს კლუბის პრეზიდენტი ჟან-ლუი კამპორა, - ჩემს ხელში "მონაკო" საფრანგეთის პირველ დივიზიონში აღზევდა და ქვეყნის ჩემპიონიც გახდა, მაგრამ ახლა 50 მილიონი ევროს ოდენობის ვალი გვაქვს".

კლუბს სურს, თავისი აქციების 51 პროცენტი 51 მილიონად გაყიდოს. ამ წინადადებით ძალიან მოიხიბლა ვინმე ალექსეი ფედორიცევი - რუსი ბიზნესმენი, რომელიც მონაკოში ფირმა Fedinvest-ის მფლობელია. ფედორიცევმა "მონაკოს" კლუბის აქციების შეძენის სურვილი გამოთქვა. თუმცა, სანამ ის კლუბის პრეზიდენტ ჟან-ლუი კამპორას ევაჭრებოდა, მონაკოს სამეფო კარმა რუს ბიზნესმენთან მოლაპარაკებას ვეტო დაადო და კამპორას ამ ფირმასთან ყოველგვარ შეთანხმებაზე ხელის მოწერა აუკრძალა. საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ საფრანგეთის სპეცსამსახურებმა აღმოაჩინეს, რომ ფირმა Fedinvest-ი ფულის გათეთრებით ასტრონომიულ თანხებს შოულობს.

ჟან-ლუი კამპორას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა - თუ იანვრის ბოლომდე ახალ ინვესტორს ვერ იპოვის, "მონაკო" იძულებული გახდება, მთელი გუნდი გაყიდოს და როგორმე სეზონის ბოლომდე მიაღწიოს.

რალი

# შავ კონტინენტზე TOYOTA შავად შეიმოსა

გიბა გურასაშვილი

*ჩრდილო აფრიკის უკიდეგანო სივრცეში მიმავალი საავტომობილო ქარავანი ტრაგედიის მოწმე გახდა: "ტელეფონიკა დაკარი-2003"-ის მეათე ეტაპი, რომელიც ლიბიაში ზილადან სარირამდე გადაჭიმულ 521-კილომეტრიან მონაკვეთს მოიცავდა, Toyota -ს საჯინიბოსთვის საბედისწერო გამოდგა.*

მეათე ეტაპი ეკიპაჟებს ერთგვარი სულის მოთქმის საშუალებას კი აძლევდა, მაგრამ ლიბიის უდაბნოში მიმავალ ქარავანს შეჯიბრების წესდება, ბევრ სიკეთესთან ერთად, GPS-ის თანამგზავრული სანავიგაციო სისტემის გამოყენებას უკრძალავდა. ასე რომ, წარმატება-წარუმატებლობა მთლიანად შტურმანებზე იყო დამოკიდებული. Toyota-ს გუნდიც იმედიანად იყო, მეტადრე, პილოტი ნებოტ დანიელი, თუმცა, საშინელმა ავარიამ იგი თანამძღოლის, შტურმან ბრუნო კაუვის გარეშე დატოვა.

"ავარია 270-ე კილომეტრზე მოხდა. მანქანამ ქვიშის დიუნებში კონტროლი დაკარგა. შემთხვევის ადგილას ვერტმფრენი გაფრინდა. ავარიიდან 27 წუთში, როდესაც მაშველთა ჯგუფი ადგილზე მივიდა, მანქანა ამოტრიალებული დახვდათ. ექიმებმა ველარაფერი იღონეს - მანქანა ნომერი 280-ის თანამძღოლი, 48 წლის ბრუნო კაუვი უკვე მკვდარი იყო", - გვამცნობს დაკარი-2003"-ის ოფიციალური განცხადება. შეჯიბრების ორგანიზატორის ჰუბერტ აურიოლის განცხადებით, Toyota-ს პილოტი ნებოტ დანიელი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. გადატრიალებული მანქანიდან ფრანგი პილოტი ტვინის შერყევითა და დაშავებული ზურგით გადმოიყვანეს.

საერთოდ, 1979 წლიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც "პარიზი-დაკარის" რალი იმართება, არაერთი უბედური შემთხვევა დატრიალებულა აფრიკის საავტორალო ტრასებზე. ბოლოს ასეთი შემთხვევა 1997 წელს, მალიში მოხდა. რაც შეეხება თავად Toyota -ს გუნდის წევრს, მათ ასეთი დანაკლისი შარშან განიცადეს.

"დაკარი-2003", უბედური შემთხვევების მხრივ, მართლაც, გამორჩეულია. ვიდრე Toyota-ს საჯინიბო ბრუნო კაუვის გამოეთხოვებოდა, სამიოდე დღით ადრე ლამის მისი ბედი გაიზიარა Nissan-ის იაპონელმა პილოტმა კენჯირო შინოზუკამაც. უმძიმეს ავარიაში მოყოლილი შინოზუკა, რომელიც საოპერაციო შეიქნა, უკვე მომჯობინდა. ერთადერთი, რასაც იგი უჩივის, ეს მარცხის განცდაა.

"ფიზიკურად თავს უკეთ ვგრძნობ. ბედნიერი ვარ, რომ გადავრჩი, თუმცა, გული დამძიმებული მაქვს", - აცხადებს შინოზუკა. ტრაგედიით დაჩრდილული ასპარეზობა კი ჩვეული რიტმით გრძელდება. პირველ იანვარს მარსელის პორტიდან დაწყებულ რალიში, კვლავინდებურად, Mitsubishi-ის მარკის მანქანები ლიდერობენ. მეათე ეტაპის ფინიშის ხაზის გადამკვეთი სამი ეკიპაჟი სწორედ ამ ფირმის მანქანებს მართავდა. შეიძლება ითქვას, რომ მეათე ეტაპი Mitsubishi-ის გუნდის კარნახით წარიმართა. ამასთან, წარმომადგენლობით ყველაზე დიდ გუნდს შექმნილი მდგომარეობაც უწყობდა ხელს. ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი ის იყო, რომ მეცხრე ეტაპის გამარჯვებულს, ფინელ არი ვატანენს (Nissan-ი) 132-ე კილომეტრზე საბურავი გაუსკდა და მის შეცვლას ექვსი წუთი მოანდომა. ბუნებრივია, ფინელის უიღბლობით მეტოქეებმა ისარგებლეს. ფაქტობრივად, Mitsubishi-ის ეკიპაჟებს ერთმანეთთან მოუხდათ ურთიერთობის გარკვევა. პირველობისთვის უშელავათო ბრძოლა გააჩაღეს იაპონელმა ჰიროში მასუოკამ და ფრანგმა სტეფან პეტერჰანსელმა. მათი ფეხდაფეხ მდევარი, ფრანგი ჟან-პიერ ფონტანი კი, დროთა განმავლობაში, ორივეს საგრძნობლად ჩამორჩა. დაწინაურებულთა შორის ფინიშის ხაზისკენ პირველი მიიწევდა მასუოკა და ასეც დაასრულა ასპარეზობა. ზილადან სარირამდე გზის გასაკვლევად იაპონელს 3 საათი, 46 წუთი და 36 წამი დასჭირდა. რამდენიმე ეტაპის წაგების მიუხედავად, საერთო ჩათვლაში კვლავაც ლიდერობს პეტერჰანსელი. ფინიშის ხაზი მესამემ გადაკვეთა ფონტანმა. სხვათა შორის, მეოთხე ადგილიც Mitsubishi-ის წარმომადგენელმა, იტალიელმა მიკი ბიაზონიმ დაიკავა. წინა ეტაპის ტრიუმფატორმა, ფინელმა არი ვატანენმა, რომელიც ასევე Mitsubishi-ის საჭეს უზის, მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა. საერთო ჩათვლაში მესამე პოზიცია უკავია გრეგუარ დე მევიუსისა და ალან გუჰენეკის BMW-ს ბელგიურ-ფრანგულ ეკიპაჟს.

მოტოციკლისტთა შორის წინა დღით საერთო ჩათვლაში დაკარგული პირველობის შემდეგ კარგად აიღო სტარტი KTM-ის იტალიელმა მესაჭემ ფაბრიციო მეონიმ, თუმცა, დაახლოებით, 300 კილომეტრის შემდეგ, აპენინელის მოტოციკლის ძრავამ რახარუხი დაიწყო. მეონის სიჩქარის დაგდებამ მოუწია. იტალიელის ტექნიკური პრობლემით ისარგებლა შვედმა პერ-გუნარ ლუნდმარკმა, რომელიც ასევე KTM-ით ასპარეზობს. სკანდინავიელი საკმაოდ მშვიდად მოექცა სათავეში ორთვლიანების ქარავანს და უახლოეს მდევრებსაც იოლად უსწორდებოდა. მეათე ეტაპის გასავლელად ლუნდმარკს 4 საათი, 22 წუთი და 22 წამი დასჭირდა. ტექნიკური პრობლემით ჩამორჩენილი მეონი კი ფინიშის ხაზთან 41 წუთის დაგვიანებით მირახრახდა. აბსოლუტურ ჩათვლაში იტალიელმა მეორიდან მესამე ადგილზე გადაინაცვლა. მეათე ეტაპის მეორე და მესამე ადგილების მფლობელები კი, შესაბამისად, ფრანგი KTM-ის მესაჭეები კირილ დესპრესი და რიშარდ საინტი არიან.

საგრძნობლად შეიცვალა სურათი სატვირთო მანქანების კლასში. წინა დღით დაწინაურებული ჰოლანდიური DAF-ი ერთბაშად ჩამოაქვეითეს, თუმცა, აბსოლუტურ ჩათვლაში ჟერარდუს დე რუუის ეკიპაჟი კვლავაც წინაა. მეათე ეტაპის ლიდერის პოზიციაზე ამჯერად Tatra-ს ეკიპაჟი გავიდა, ხოლო მეორე და მესამე ადგილები Toyota-ის რუსულმა ეკიპაჟებმა დაიკავეს.



გამარჯვებული TATRA


ბრუნო კაუვი

ოლიმპიზმი

# ზეგ ათენში ოლიმპიური ჩირაღდანი აინთება

15 იანვარს ათენში გაიმართება ოლიმპიური ჩირაღდნის ოფიციალური პრეზენტაცია. ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრესსამსახურის ინფორმაციით, საზეიმო ცერემონიალს დაესწრება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი, რომელიც ათენში საინსპექციო ვიზიტით გაემგზავრება.

სოკ-ის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში, პრეზიდენტის გარდა, საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარე დენის ოსვალდიც იქნება, დღეს ეწვევა საბერძნეთის დედაქალაქს. ხვალინდელი დღე დაეთმობა ოლიმპიური ობიექტების გაცნობას. შემდეგ სოკ-ის დელეგაცია უცხოეთის პრესის ასოციაციას ეწვევა. 15 იანვარს კი გაიმართება მთავარი ცერემონიალი. "ათენი-2004"-ის საორგანიზაციო კომიტეტის შტაბბინაში მისი პრეზიდენტი ჯანა ანგელოპულოს-დასკალაკი ოლიმპიური ჩირაღდნის ოფიციალურ პრეზენტაციას გახსნის. ოლიმპის წმინდა ცეცხლს ათენის ოლიმპიური თამაშების მთავარ არენაზე გადაიტანენ.

თამაშების ორგანიზატორები სოკ-ის დელეგაციის ვიზიტს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. საქმე ის არის, რომ გასული წლის ნოემბერში ვიზიტის დროს სოკ-ის საკოორდინაციო კომისიის მიერ ათენის ოლიმპიური თამაშების ორგკომიტეტის მიმართ გარკვეული შენიშვნები გამოითქვა. მართალია, მაშინ დენის ოსვალდი თითქმის კმაყოფილი იყო, მაგრამ ორგკომიტეტს მიანიშნეს, რომ არცთუ უმნიშვნელო ლაფსუსების აღმოსაფხვრელად ორგკომიტეტს დიდი დრო არ დარჩა.

# ჟაკ როგი პარიზს ემხრობა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ბელგიელი პრეზიდენტი ჟაკ როგი აცხადებს, რომ პარიზში 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარებისთვის აუცილებელი ყველა პირობა არსებობს. მართალია, პარიზის მუნიციპალიტეტს ოლიმპიურ კომიტეტში ჯერ არ წარუდგენია შესაბამისი განაცხადი, მაგრამ საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი უკვე შეხვდა ჟაკ როგს. შეხვედრის შემდეგ კი გავრცელდა ოფიციალური ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სოკ-ისა და საფრანგეთის პრეზიდენტებმა დეტალურად განიხილეს პროექტი.

"პარიზში დღესვე შეიძლება ოლიმპიური თამაშების ჩატარება. მართალია, ფრანგებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, სურთ თუ არა ოლიმპიადის მასპინძლობა, მაგრამ მათ დედაქალაქს რომ საამისო დიდი პოტენციალი აქვს, ეს ეჭვგარეშეა", - აღნიშნა როგმა.

საფრანგეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ, მზად არის, მხარი დაუჭიროს პარიზის კანდიდატურას, თუმცა, მასპინძლობაზე განაცხადის წარდგენის პროგატივა ეკუთვნის არა შირაკს, არამედ პარიზის მერს, ბერტრან დელანოს, რომელიც თავისი არატრადიციული ორიენტაციით არის ცნობილი. როგე პარიზის მერსაც შეხვდა. გაირკვა, რომ დელანო, ჯერჯერობით, ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პროექტის სავარაუდო დამფინანსებლებს და პარტნიორებს ეძებს.

პარიზს 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე წარდგენილი ჰქონდა განაცხადი, მაგრამ სოკ-მა ამ ოლიმპიადის მასპინძლობის პატივი ჩინეთის დედაქალაქს არგუნა. ისიც უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის დედაქალაქმა უკვე უმასპინძლა ზაფხულის ორ ოლიმპიურ თამაშებს, მაგრამ ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინ - 1900 და 1924 წლებში. გადაწყვეტილებას, თუ ვინ უმასპინძლებს 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს, სოკ-ი 2005 წლის ივლისში გამოაქვეყნებს. პარიზის გარდა, ამ ოლიმპიადის მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებენ მოსკოვი, ნიუ-იორკი, სტამბული, ბუდაპეშტი, რიო-დე-ჟანეირო და ტორონტო.

მოკლედ

**ჩოგბურთი.** კორეელი ლი იუნ ტაიკი, რომელიც "ადიდას ინტერნეიშენელის" ტურნირის ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოხვდა, საბოლოოდ ტურნირის გამარჯვებული გახდა. ფინალში მან სამ სეტში სძლია მსოფლიოს მესამე ჩოგანს, ესპანელ ხუან კარლოს ფერეროს - 4:6, 7:6, 7:6. ეს ტიტული ტაიკისთვის პირველია მის პროფესიულ კარიერაში, რომელიც 1995 წლიდან იწყება.

■ ■ ■

**ბიატლონი.** გერმანელმა უში დიელმა ქალაქ ობერჰოფში მას-სტარტის ბიატლონური რბოლა მოიგო. დიელმა მიზანში მაინცდამაინც ზუსტად ვერ ისროლა, მაგრამ სპრინტერულ რბოლაში ბადალი არ ჰყავდა და ღირსეულად გაიმარჯვა. ბულგარელმა კატერინა დაფოვსკამ, რომელიც ბოლომდე ლიდერის პოზიციას ინარჩუნებდა, გერმანელ სპრინტერს ფინიშის ხაზზე დაუთმო გამარჯვება. მესამე ადგილზე ფრანგი ბეკარი გავიდა.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** ავსტრიის ქალაქმა ზალცბურგმა დაადასტურა თავისი სურვილი, უმასპინძლოს 2010 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. ეს გადაწყვეტილება ავსტრიის მთავრობის ფინანსური გარანტიების მიღების შემდეგ გაკეთდა. 2002 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ოლიმპიადის მასპინძლობის იდეას მოქალაქეთა ორი მესამედი უჭერს მხარს. თუმცა, ამის მიუხედავად, ადგილობრივი ხელისუფლება, ქალაქის ბიუჯეტის გაკოტრების შიშით, ზალცბურგის კანდიდატურის მოხსნას აპირებდა. ახლა კი მთავრობამ საკუთარ თავზე აიღო ინიციატივა და, დეფიციტის შესავსებად, ქალაქს 900 მილიონი დოლარის გამოყოფას შეჰპირდა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** თოვლის გამო "ზაუბერ C22"-ის ბოლიდი "ფიორანოს" ტრასაზე არ გამოჩნდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ზაუბერი დარწმუნებულია თავისი ახალი "ცისფერი რაკეტის" პოტენციურ შესაძლებლობებში. გუნდის ბოსს, პეტერ ზაუბერს, გულწრფელად სჯერა, რომ ეს მანქანა საუკეთესოა ჰინვილის ფაბრიკაში აქამდე შექმნილ მანქანებს შორის. აეროდინამიკურ მილში მის შემოწმებაზე 1200 საათი დაიხარჯა, ანუ თითქმის 130 დღის განმავლობაში იქმნებოდა და უმჯობესდებოდა მანქანის აეროდინამიკა. C22-ზე დამონტაჟებულია შარშანდელი ფორმაციის "ფერარის" ძრავა. ფორმულა 1-ში გუნდები თავიანთ ბოლიდებს მფლობელის ინიციალებს არქმევენ. ზაუბერი კი, ტრადიციულად, ნომრების თავზე "C" ასოს წერს. როგორც გაირკვა, პეტერ ზაუბერი ამ ინიციალს მანქანაზე ცოლის - კრისტინას პატივსაცემად აწერს. "მსურს, მეუღლეს მადლობა გადავუხადო. რბოლის სამყაროს ყველა მოვლენა ჩვენ ერთად გადავიტანეთ", - ამბობს შვეიცარიული გუნდის ხელმძღვანელი.

ჩოგბურთი

# კუერტენი ფორმაშია, საფინი კი ისვენებს

დღეს სტარტს აიღებს ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ჩოგბურთელები ცდილობენ, "დიდი სლემის" პირველ ტურნირს სათანადოდ მომზადებულნი შეხვდნენ. გუშინ დასრულდა ყველა მინიტურნირი, რომელიც ავსტრალიის ღია ჩემპიონატს წინ უძღოდა. ერთ-ერთი ასეთი ტურნირი ახალი ზელანდიის ოკლენდში დასრულდა. 380 000 დოლარი საპრიზო ფონდის მქონე შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ერთ დროს პირველი ჩოგანი და ტურნირის მე-4 ნომერი, ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი და სლოვაკი დომინიკ ჰრბატი. კუერტენის უპირატესობა აშკარა იყო. მან იოლად, ორ სეტში დაამარცხა მეტოქე - 6:3, 7:5.

საფრანგეთის ღია ჩემპიონატის სამგზის გამარჯვებული კუერტენისთვის ეს წარმატება უაღრესად მნიშვნელოვანია. საგულისხმოა, რომ შარშან მან ერთადერთი ტურნირი მოიგო. წლეულს კი ყოფილი პირველი ჩოგანი ავსტრალიის ღია პირველობას კარგი განწყობითა და ჯიბეში 48 600 დოლარით ეგებება.

რაც შეეხება დანარჩენ ფავორიტებს: უაღრესად დიდ გულზეა ამერიკელი ვეტერანი ანდრე აგასი. ის ფიქრობს, რომ მისი დამმარცხებელი არავინაა. ამას წინათ აგასიმ მელბურნის ტურნირი მოიგო. ფინალში ამერიკელმა ფრანგი სებასტიან გროსჟანი დაამარცხა - 6:2, 6:3.

დევისის თასის გმირმა, რუსმა მარატ საფინმა კი ტურნირის დაწყების წინ დასვენება არჩია და "ადიდას ინტერნეიშენელის" ტურნირის მეოთხედფინალში შეჯიბრების გამარჯვებულ კორეელ ლი იუნ ტაიკთან შეხვედრაზე უარი განაცხადა. ამის გამო რუსი მიმომხილველები აცხადებდნენ - საფინს რომ ეთამაშა, ლი იუნ ტაიკი თავის კარიერაში პირველ გამარჯვებას ვერ მოესწრებოდა. ასეა თუ ისე, ავსტრალიის ღია ჩემპიონატი დღეს დაიწყება და რუს ჩოგბურთელს თავის გამოჩენის შესაძლებლობა ექნება.



გუსტავო კუერტენი

# უიმბლდონის ტურნირი ივლისში გაიმართება

უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირი, რომელიც ინგლისში, ტრადიციულად, ივნისის ბოლოსა და ივლისის დასაწყისში ტარდებოდა, ამიერიდან მხოლოდ ივლისში გაიმართება. უკანასკნელი ინფორმაციის თანახმად, 2005 წლიდან ტურნირი ივლისის პირველ ორ კვირაში გაიმართება, რაც ყველაზე დიდი ცვლილება იქნება ტურნირის არსებობის ისტორიაში.

უფრო სწორად, მე-19 საუკუნეში, კერძოდ, 1877-1897 წლებში ტურნირი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ ლონდონში იმართებოდა, სწორედ ივლისის პირველ კვირებში ტარდებოდა, ანუ უიმბლდონი ძველ ვადებს უბრუნდება.

ტურნირის ახალი ვადები, რომელსაც მომავალ კვირაში ავსტრალიაში დაამტკიცებენ, ჩოგბურთელებს საშუალებას მისცემს, საფრანგეთის ღია ჩემპიონატის შემდეგ ცოტათი ამოისუნთქონ და უიმბლდონამდე ბალახზე კიდევ ერთი ტურნირი ჩაატარონ. რაც შეეხება ავსტრალიის ღია ჩემპიონატს, ჩოგბურთის მამები ფიქრობენ, რომ ის მარტში გადაიტანონ. მსოფლიოს პროფესიონალ ჩოგბურთელთა კალენდარში ასეთი ცვლილებები ჩოგბურთელებს ღირსეული დასვენების საშუალებას მისცემს, კერძოდ, შვიდ კვირას, რაც შობა-ახალი წლის საზეიმო დღეებს დაემთხვევა.

კალენდარი

## 13 იანვარი


ვიტალი შჩერბო

1886 – დაიბადა არტურ როსი, კანადელი ჰოკეისტი, მწვრთნელი, მენეჯერი. მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ მსაჯობას მიჰყო ხელი. ჰოკეის ნაციონალური ლიგის ჩამოყალიბების შემდეგ კი "ბოსტონ ბრუინზის" მწვრთნელად და მენეჯერად. 1947 წლის შემდეგ ლიგის საუკეთესო ბომბარდირი მისი სახელობის პრიზით ჯილდოვდება.

1898 – დაიბადა იაკობ მელნიკოვი, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი ციგურებით რბენაში, პირველი საბჭოთა სპორტსმენი, რომელსაც მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება

1972 – დაიბადა ვიტალი შჩერბო (ფოტო), ბელორუსი ტანმოვარჯიშე, 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიადაზე მოიპოვა ოქროს 6 მედალი.




# აფიშა

## თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი
დას: 14:00; 19:00 სთ; ფასი 3-20 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
საშობაო გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
ნანა გიორგაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

## კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ჰარი პოტერი", რეჟ. კრის კოლუმბი
დას: 11:00; 14:00; 17:30; 20:00 სთ; ფასი 5,7,8 ლარი

**„რუსთაველი„**
ანიმაციური ფილმი "კარლსონი, რომელიც სახურავზე ცხოვრობს"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
ანიმაციური ფილმი "ლილო და სტიჩი"
დას: 18:00 სთ; ფასი 5 ლარი
"გზაჯვარედინი", მთავარ როლში კევინ კოსტნერი
19:30 სთ; ფასი 5 ლარი
"ლამარკას უკანასკნელი საქმე", მთავარ როლში რობერტ დე ნირო
დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

**„ელისო„**
ანიმაციური ფილმი "კარლსონი, რომელიც სახურავზე ცხოვრობს"
დას: 13:00; 18:00 სთ; ფასი 5 ლარი
ანიმაციური ფილმი "ლილო და სტიჩი"
დას: 15:00; 17:30 სთ; ფასი 5 ლარი
"ლამარკას უკანასკნელი საქმე"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"გზაჯვარედინი", მთავარ როლში კევინ კოსტნერი
21:00 სთ; ფასი 5 ლარი




**ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი**

**ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში**

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში.
მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ 15⁰⁰ საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.
განცხადებები მიიღება ყოველდღე 9³⁰ -დან 15⁰⁰ -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.

## ბინები

### იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის 118-ში, 38-30-62, 899 55-04-48.

### მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

## სწავლება

**შეგასწავლით!**
კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.
ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

კომპანიას ესაჭიროება ბოსტნეული კულტურების მცოდნე აგრონომი, ახალგაზრდა მამაკაცი. 70 02 37

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

ვარ 24 წლის. პროფესიით ჟურნალისტი. ვფლობ კომპიუტერის საოფისე პროგრამებს. გთხოვთ გამომეხმაუროთ. 76 26 43, 8(99) 15 69 02 ნანა

საშუამავლო ფირმა „კახი-98" გთავაზობთ ბინების ყიდვა-გაყიდვადაგირავება-გაქირავებას. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

საშუამავლო ფირმა „კახი-98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს ბინების მყარი გარანტიით. 23 70 91, 8(77) 71 05 90, 8(93) 30 32 82

**იყიდება** დოგის, აღმოსავლეთ ევროპული და გერმანული ნაგაზის ლეკვები აცრით და საბუთებით.
- ვწვრთნი ძაღლებს (სტაჟიანი კინოლოგი) და დავიტოვებ ძაღლებს შენახვით.
897 575116 ხვიჩა.

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

ვიწვევთ სამუშაოდ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. 8(99) 28 83 93

- შეგაწუხათ მარტოობამ, სევდამ, სტრესმა ზამთრის ღამეებში? გინდა იპოვო გამოსავალი
**დაგვირეკეთ ტ: 822-009-555**
24-საათიანი სატელეფონო ფსიქოლოგიური კონსულტაციები.
1 წთ - 50 თეთრი
ანონიმურობა დაცულია

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

# TV პროგრამა 13 იანვარი

## რუსთავი - 2

07.00 კლასიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.30 სერიალი „ალფი"
11.00 მულტფილმი „მონსტრების კორპორაცია" 1-ლი ნაწილი
12.00, 15.00 კურიერი
12.20 მულტფილმი „მონსტრების კორპორაცია" მე-2 ნაწილი
13.20 მხ. ფილმი „თვითმფრინავით, მატარებლით, ავტომობილით"
15.20 მხ. ფილმი „შემოდგომის მარათონი"
17.10 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00 კურიერი
18.20 მხ. ფილმი „12 სკამი"
22.00 მსოფლიო ხვდება ახალ წელს
22.50 ღამის კურიერი
23.30 გალა კონცერტი რესპუბლიკის მოედნიდან
01.35 მხ. ფილმი „ოგოგების შეტევა" მთ. როლში დევიდ არკეტი

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „თოვლის პაპა"
10.15 მხ. ფილმი „ბრიყვების ოჯახი"
11.45 ხალხური მუსიკის კონცერტი (ანსამბლი „საგარეჯო")
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.05 ზოოპარკი
13.20 „ფრაგმენტები სურათისათვის"
13.55 „ოქროს მართვე"
14.30 „საქართველო და გარესამყარო"
15.15 მხ. ფილმი „ოჰ, ეს პაპა"
16.45 მულტსერიალი „უკანასკნელი ნაკრძალი"
17.10 რამპა
17.15 50-50
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ყველანი ორბიტაზე"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „მრავალჟამიერ" (კალანდობა გურიაში)
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
20.50 „საახალწლო" (განმეორება)
00.50 მხ. ფილმი „დიდიე"

## პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „ალეზანტვილი"
18.00 მუსიკა
19.00 ინფორმატორი
19.30 ქართული მუსიკა
20.00 ვიდეორადიო
22.00 ინფორმატორი
22.30 პოლიტპაპარაცი
23.00 უცნობი
00.00 ფილმი ბრავო „სიკვდილი ჰოლივუდში"
01.45 ფილმი ღამურა „გარღვევაზე!"
03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

19.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 ორატორი
20.00 სამეჯლისო ცეკვები
20.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები
21.45 მხ. ფილმი „ოპერაცია წმინდა იანუარიუსი"

## იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „ღალატი"
10.20 მხ.ფ. „რა აუცილებელი იყო სერიოზული"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. „ვასაბი"
22.30 მხ.ფ. „მოგზაურობა ქვეყნის დასალიერზე"
00.30 ღამის ფილმი

## კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი „სიყვარულის მარწუხები"
15.00 მხ. ფილმი „პოლიციის აკადემია 7"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „ნილაბი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „ფლაბერი"
22.30 მხ. ფილმი „პაროლი ხმალთევზა"

## მეცხრე არხი

10.00 მულტფილმი „ალისა საოცრებათა სამყაროში"
10.50 მხ. ფილმი „ლანცელოტი დროის მცველი"
12.20, 14.30, 16.15, 17.30, 20.3 მუსიკა
12.30 „მსოფლიო ფეხბურთი"
13.00 მხ. ფილმი „შეუპოვარი მაძიებელნი"
14.45 მხ. ფილმი „უმზითვო"
16.30 დოკ. სერიალი „ველური ბუნება"
17.45 მხ. სერიალი „ზურგის ქარი"
18.30 მულტფილმი „მეფის ასული შეჰრაზადი"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება" 91-ე სერია
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი"
21.00 რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი" მე-11 სერია
21.30 „მსოფლიო კულტურის საგანძური". „ანგკორ თომი. კამპუჩიის დიდებული ქალაქი ტაძარი"
22.00 მხ.ფ. „მხიარული ახალგაზრდობა"
23.30 მხ. ფილმი „მატარებელი"
00.30 მხ.ფ. „ყვავილი თოვლზე"

## VII არხი

09.10 „აჩიკუდა"
09.35 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.15 მელოდია
10.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
11.15 „ობიექტივი"-სტუმარი (განმეორებით)
12.05 კომპიუტერული ტექნიკა
12.45 დისნეი და მისი მეგობრები
13.15 მობილურები
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.35 კომპიუტერული ტექნიკა
20.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.05 „ლა-ლა-ლა"
21.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.25 „კინოკლუბი „ - „დიუნა".
00.35 მობილურები
01.15 „ბიორითმი" -ალა პუგაჩოვა

## ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Детектив „Чужие здесь не ходят"
11.40 „Смехопанорама"
12.05 Большие родители. Е.Леонов
12.40 Следствие ведет Колобков
13.15 Комедия „Теща"
14.30 „Кумиры". Анна Шатилова
15.00 „Путешествия натуралиста"
15.30 Док. детектив. „Заказ на самоубийство".
16.15 „Властелин вкуса"
17.05 Док.сериал „Живая природа". „Братья по крови"
18.00 „Большая стирка". „Старый Новый год"
19.25 Комедия „Карнавальная ночь"
20.55 „Шутка за шуткой"
22.00 Время
22.40 Боевик „Столкновение с бездной"
00.50 Новогодняя ночь 2003 на Первом .

## РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Худ.фильм „Первый рыцарь"
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Король Треф"
13.10 Вера, надежда, любовь
14.05 В „Городке"
14.15 Экспертиза
14.30 Вести-Москва. Неделя в городе
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Комиссар Рекс"
17.15 Сериал „Простые истины"
17.45 Мультфильм „Русалка"
18.20 Дорожный патруль
18.35 Экспертиза
18.45, 20.45 Вести. Дежурная часть
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Трое против всех"
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 „Аншлаг". Старый Новый год
01.30 Встреча Нового года в ГЦКЗ „Россия"

## НТВ

07.00 Утро на НТВ
10.05 Сериал „Скорая помощь 6"
11.00 Сегодня утром
11.30 „Растительная жизнь". Юлия Бордовских
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Один за всех"
13.05 Сериал „Досье детектива Дубровского", 1 с.
15.10 „Женский взгляд". Дэвид Копперфильд
15.40 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Как бороться с целлюлитом?" Ток-шоу „Принцип „Домино"
18.05 Сериал „Гангстерские войны. Банда неудачников"
19.15 „Внимание! Розыск!" Украденные дети
20.40 Сериал „Право на защиту", 1 с.
21.45 Сериал „Улицы разбитых фонарей". „Сексот Цыплаков"
23.00 „Сегодня вечером"
23.35 „Ледовая коррида Валерия Харламова"
00.00 „Третий лишний. Старый Новый год. Последняя встреча"
01.35 Гордон















# ციებ-ცხელება შაბათ საღამოს

*"მორის გიბი ხმათა იმ უნიკალური, მშვენიერი ნაზავის მესამედს შეადგენდა, რომელიც მხოლოდ ძმებს შეეძლოთ, შეექმნათ", - მუსიკალური ჟურნალისტი პოლ გამბაჩინი...*

ძმები გიბების ჯგუფის, "ბი ჯიზის" ბასისტმა, ტყუპისცალმა, 53 წლის მორის გიბმა ნაწლავზე გაკეთებული ოპერაცია ვერ გადაიტანა და კვირას გამთენიისას, მაიამის კლინიკაში გარდაიცვალა.

მუცლის მწვავე ტკივილი მან ხუთშაბათს დილას იგრძნო. ის მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს. ოპერაციის დროს ერთ ხანს გულიც გაუჩერდა, შემდეგ კი გონს მხოლოდ მცირე ხნით მოვიდა. მისი ტყუპისცალი რობინი ძმის სასთუმალს ბოლო წუთამდე არ მოშორებია. მან ლონდონიდან მაიამიში ჩაფრენა ძმის გარდაცვალებამდე ერთი საათით ადრე მოასწრო. მთელი ამ დღეების განმავლობაში შენობის წინ არც "ბი ჯიზის" მუსიკის თაყვანისმცემლები დაშლილან. ფანები საყვარელ მომღერალს ყვავილებსა და გამამხნევებელ ბარათებს უგზავნიდნენ. გუშინ დილას კი ოჯახს მწუხარებით სავსე ბარათები პირველად მაიქლ ჯექსონმა და გიბის ყოფილმა ცოლმა, ლულუმ გაუგზავნეს...

გახსენებას აზრი არ აქვს – მორის გიბის ხმა გამორჩეულად ნამდვილად არ დაგამახსოვრდებოდათ. ის ხომ თავისი ხმით, ძირითადად, ძმებს უქმნიდა ფონს და ბას-გიტარასა და კლავიშიან საკრავებზე უკრავდა. თუმცა, ეს მორისის დამსახურებას ნამდვილად არ ამცირებს. უფროსი ბარისა და ტყუპების – რობინისა და მორისის სუპერ-წარმატებულ ჯგუფში სამივე ძმას თავისი უნიკალური ფუნქცია ჰქონდა, რაც, საბოლოო ჯამში, მათი ჰარმონიული სიმღერებისა და მშვენიერი მუსიკის შექმნის საფუძველი ხდებოდა. საუბარია ისეთ ჰიტებზე, რომელთაც ყველა იცნობს – 70-იანელიცა და 21-ე საუკუნის შვილიც: Stayin' Alive, More Than a Woman, How Deep Is Your Love, Night Fever...



*მორის გიბი*




*"ბი ჯიზის" პრესკონფერენცია*

ის ფაქტი, რომ წარმატების პიკს 70-იან წლებში მიაღწიეს, სულაც არ ამცირებს "ბი ჯიზის" როლს თანამედროვე მუსიკალური გემოვნების შექმნაში. ბოლო ალბომი ხომ მათ 2001 წელს გამოუშვეს (თუმცა, ბუნებრივია, ჯგუფის ფანებისთვის "ბი ჯიზის" ძველ ნამუშევრებს ვერაფერი შეცვლის). 2002 წელს კი მიიღეს ბოლო და ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ჯილდო – ბრიტანეთის იმპერიის ორდენი. მაშინ სამივე ძმა ერთხმად ამტკიცებდა: "გვეამაყება, რომ ბრიტანელები ვართ. ღმერთი ფარავდეს დედოფალს!"

ეს მხოლოდ ფორმალური მადლობა ნამდვილად არ ყოფილა. "ბი ჯიზის" პირველი სერიოზული ნამუშევარი Spicks and Specks სწორედ ბრიტანეთში, 1967 წელს გამოვიდა. ჩანაწერი მაშინვე ჰიტად იქცა. ანუ, სწორედ ბრიტანეთიდან დაიწყო "ბი ჯიზის" ხანგრძლივი და წარმატებული ეპოპეა მუსიკის სამყაროში, რომელიც დღემდე გრძელდებოდა.

თუმცა, თავის მხრივ, ჯგუფის ავსტრალიელი ფანები მაინც ყოველთვის იამაყებენ იმით, რომ "ბი ჯიზი" პირველად სწორედ ავსტრალიაში აღიარეს "წლის ჯგუფად": ოჯახთან ერთად ავსტრალიაში გადასახლებული გიბები დროს უქმად არ კარგავდნენ. ქმნიდნენ მუსიკას და აქტიურად მონაწილეობდნენ ავსტრალიის შოუბიზნესში. ხანგრძლივი ძიების შემდეგ (ერთხანს ძმები "ლურჯ კატებადაც" იწოდებოდნენ), მათ იქვე დაირქვეს სახელი "ბი ჯიზი" – ორი სიტყვის – ძმები გიბების აბრევიატურა.

ბრიტანეთში დაბრუნების შემდეგ კი, "ბი ჯიზს" წარმატებული კარიერის გაკეთებაში პროფესიონალი მენეჯერი, რობერტ სტიგვუდი დაეხმარა. მათი პირველი ევროპული სინგლი New York Mining Disaster 1941 ერთბაშად იქცა ჰიტად. სიმღერას მალევე მოჰყვა To Love Somebody, Massachusetts, Words და სხვა. ძმები უმალ შეიყვარეს ევროპაშიც და ამერიკაშიც. ისინი მთელი 16 თვის განმავლობაში 15-მდე ქვეყნის ჰიტ-ალლუმში ლიდერობდნენ. ამ მსოფლიო ტრიუმფის მიზეზი კი მათი ბრიტანული აქცენტი, საოცარი მელოდიურობა და სენტიმენტალობა გახდა.

თუმცა, ჯგუფმა იმიჯი აშკარად შეიცვალა, მას შემდეგ, რაც სტიგვუდის წინადადებას დათანხმდა და საუკუნის ერთ-ერთი ჰიტის, *Saturday Night Fever*-ის თანმხლებ მუსიკალურ ალბომში საკუთარი სიტყვა თქვა. ეს სიტყვა, ძირითადად, დისკო-მუსიკა გახლდათ. Stayin' Alive, Night Fever და How Deep Is Your Love ამ სიმღერების დამსახურებით გაიყიდა ალბომის 30 მილიონი ასლი. თავად სიმღერები კი საუკუნის განმსაზღვრელ ჰანგებად იქცა. მათ რემიქსებს ხომ მუსიკოსები დღემდე ქმნიან. ძმების დისკომუსიკით გატაცება ამით არ დასრულებულა. მალევე ბარიმ ჩაწერა მეორე არანაკლებ წარმატებული მიუზიკლის, *Grease*-ის წამყვანი სიმღერაც. ძმები სიმღერებს უწერდნენ დაიანა როსს, ბარბრა სტრეიზანდს, კენი როჯერსსა და დოლი პარტონსაც. 80-იანი წლები მათთვის ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. მარცხის მიზეზი უმცროსი ძმის გარდაცვალებაც იყო. თუმცა, 90-იანი წლებიდან "ბი ჯიზი" ყურადღების ცენტრში კვლავ მოექცა. ბრიტანეთის იმპერიის ორდენთან ერთად ძმებს ამერიკული მუსიკის ჯილდოც გადასცეს.

დღეს გაყიდულია "ბი ჯიზის" ჩანაწერების 110 მილიონი ასლი. ჯგუფი ფლობს "გრემის" შვიდ ჯილდოს. "ბითლზთან", ელვის პრესლისთან, მაიქლ ჯექსონთან და სერ პოლ მაკარტნისთან ერთად, ის ყველა დროის საუკეთესო მომღერალთა ხუთეულშიც შედის. და ბოლოს, ისევ პოლ გამბაჩინის კომენტარი: "მორის გიბი მუსიკისთვის დიდი დანაკლისია. ის სამნაწილიანი ჰარმონიის უმნიშვნელოვანესი ძალა იყო. ვშიშობ, "ბი ჯიზის" ულამაზეს ბგერას მორისის გარეშე ველარასდროს მოვისმენთ".

# რუდი!

"სალვადორი", "კაზინო", "ნიქსონი", "გენერლის ქალიშვილი", "ჩაპლინი", "ქალიშვილების თვითმკვლელობა", "ნებისმიერი კვირა დღე", "ძალიან საშიში კინო-2" – ეს იმ ფილმების მოკლე ჩამონათვალია, საიდანაც ჯეიმს ვუდსის სახასიათო გარეგნობა აუცილებლად დაგამახსოვრდებოდათ. ვუდსი ამერიკელების ტელე - ეკრანზე მონოპოლიას წელსაც გამოაცხადებს – მისი მონაწილეობით ამ ეტაპზე სამი კინო თუ ტელე-პროექტი მუშავდება. თუმცა, ვუდსისთვის წლის (და შესაძლოა, ზოგადად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი) როლი მაინც ნიუ-იორკის ყოფილი მერის, რუდი ჯულიანის გმირი იქნება. სატელევიზიო ფილმს "რუდი!: რუდოლფ ჯულიანის ისტორია" რეჟისორი რობერტ დორნჰელმი და USA Network-ი იღებს. პრემიერა წელსაა დაგეგმილი.

ვერ ვიტყვით, რომ, აქამდე განსახიერებული პერსონაჟებიდან გამომდინარე (ისინი, ძირითადად, უარყოფითი გმირები არიან), ვუდსი ამერიკელების ერთ-ერთი საყვარელი მსახიობია, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკის უსაყვარლესი გმირის, ჯულიანის როლი სწორედ მას ანდეს. სანამ მსახიობი ფილმზე მუშაობას დაიწყებდა, ის ოჯახის წევრებს გაუფრთხილებიათ: "გახსოვდეს, ჯულიანი ფრანკლინ რუზველტის შემდეგ ამერიკის უდიდესი გმირია. საქმეს ნუ გააფუჭებ".




*რუდი ჯულიანი*



*ჯეიმს ვუდსი*

ბუნებრივია, როლის განსაკუთრებულობას ვუდსიც გრძნობს. თუმცა, ფიქრობს, რომ ის პატივისცემა და აღფრთოვანება, რასაც ნიუ-იორკის ყოფილი მერის მიმართ გრძნობს, როლის გათავისებაში აუცილებლად დაეხმარება.

მაყურებელი ვარაუდობს, რომ 11 სექტემბრის თემის პოპულარობიდან გამომდინარე, ფილმის წამყვანი სიუჟეტი ნიუ-იორკის ტერაქტები იქნება. ჯულიანი რომ გამორჩეული მერი და ისტორიული ფიგურა იყო, ამერიკელებმა ხომ სწორედ იმ კრიზისულ პერიოდში გააცნობიერეს. თუმცა, რეჟისორის თქმით, 11 სექტემბერი ფილმის მხოლოდ ათ პროცენტს შეადგენს. "უფრო ზუსტად, ტერაქტების თემა მთელ ფილმში იგრძნობა. ის ყველა ეპიზოდში იქნება ჩაქსოვილი", - დასძენს მსახიობი პენელოპა ენ მილერი, რომელიც ფილმში მერის ყოფილი მეუღლის, დონა ჰანოვერის როლს ასრულებს.

არის კიდევ ერთი უდავოდ საინტერესო დეტალი: 11 სექტემბრამდე ერთი თვით ადრე ჯეიმს ვუდსი ბოსტონიდან ლოს-ანჯელესში მიფრინავდა. პირველი კლასის სალონში ის ოთხ, აღმოსავლური გარეგნობის მქონე მამაკაცთან ერთად აღმოჩნდა. მგზავრები საეჭვოდ იქცეოდნენ – არაფერს ჭამდნენ, არც ეძინათ, არც კითხულობდნენ და, თუ არ ჩავთვლით დაბალ ხმაზე გადალაპარაკებას, არც ერთმანეთს ეკონტაქტებოდნენ. ნიუიორკის ტერაქტების შემდეგ ვუდსმა თვითმფრინავის გამტაცებლებს შორის სწორედ ეს უცნაური მგზავრები შეიცნო. როგორც ჩანს, ვუდსის რეისის დროს ისინი, უბრალოდ, სიტუაციას ამოწმებდნენ და გადამწყვეტი დღისთვის ემზადებოდნენ...

ფილმის გადაღებები ვუდსისა და რუდი ჯულიანის შეხვედრასაც ითვალისწინებს. მსახიობსა და მერს ერთმანეთი გოლფის მინდორზე ჯერ კიდევ ზაფხულში უნდა გაეცნოთ, მაგრამ შეხვედრა გადაიდო. ახლა ვუდსს იმედი აქვს, რომ მერს მალე შეხვდება და ერთ პარტია გოლფს მასთან ერთად მაინც ითამაშებს.

# ვისია საუნჯე

პორტლენდურმა კომპანიამ, რომელიც წყალქვეშა სამუშაოებს აწარმოებს, ფლორიდის ხელისუფლებას თხოვნით მიმართა. კომპანიას ამ შტატის სანაპიროებთან 1755 წელს, ქარიშხალის დროს დაძირული გალეონის, "ნოტრ დამ დე დელივრანსის" ფსკერიდან ამოტანა აქვს განზრახული. ამ გალეონზე დიდი განძი ინახება, რომლის საერთო ღირებულებაც 3,2 მილიარდ ევროს შეადგენს. ეს ყველაზე დიდი საგანძურია, რომელიც ოდესმე ზღვის ფსკერზე აღმოუჩენიათ.

ამ ცნობამ ესპანეთში დიდი ინტერესი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ გალეონზე საფრანგეთის დროშა ფრიალებდა და ეკიპაჟიც ფრანგული იყო, ის მადრიდის ხელისუფლებმა დაიქირავეს ესპანური კოლონიებიდან – მექსიკიდან, პერუდან და კოლუმბიიდან – ძვირფასი ბარგის ესპანეთში გადმოსატანად. ამ ეპოქის საბუთების თანახმად, 50,5 მეტრის სიგრძის გალეონზე არნახული საუნჯე იყო ატანილი: მეფე კარლოს III-თვის განკუთვნილი 473 კილოგრამი ოქრო, 15,5 ათასი ოქროს დუბლონი, 1 მილიონზე მეტი მონეტა, 24 კილოგრამი სუფთა ვერცხლი და სხვა.

ფლორიდის ერთ-ერთი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ამერიკულ კომპანიას, რომელმაც დაძირულ გალეონს მიაგნო, მუშაობის



*ამ გემზე 3,2 მილიარდი ევროს ღირებულების განძი ინახება*

დაწყების ნება ეძლევა – მოტივაცია ის გახლდათ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ის შეიძლება წყალქვეშა საგანძურის უკანონო მაძიებლებს ჩაუვარდეთ ხელში. მაგრამ ესპანეთი და საფრანგეთი ამ გადაწყვეტილების სასტიკი წინააღმდეგი არიან. მათ ამერიკის შეერთებულ შტატებთან 1902 ხელმოწერილი ხელშეკრულება გაიხსენეს და განაცხადეს, რომ განძი მათი საკუთრებაა: ესპანეთს ეკუთვნოდა, ფრანგებს გადაჰქონდათ, და დაძირულ გემზე ამ ორი ქვეყნის შვილთა ნეშტები ასვენია.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა აღიარა, რომ საგანძური მართლაც ესპანეთს ეკუთვნის. ამერიკის საგარეო პოლიტიკის უწყებამ 2001 წლის პრეცენდენტზეც მიუთითა, როცა ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ წყალქვეშა განძის მაძიებელს, ბენ ბენსონს და მის მხარდამჭერ ვირჯინიის შტატს ესპანეთის ნებართვის გარეშე ჩაძირული ესპანური ფრეგატის, "ხუნოსთვის" ხელის ხლება აუკრძალა.

პორტლანდური კომპანია და ფლორიდის შტატი მიიჩნევენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გალეონის ბედის გადაწყვეტის უფლებამოსილება არ გააჩნია. ჯერ-ჯერობით ძნელი სათქმელია, რით დამთავრდება უდიდესი წყალქვეშა საგანძურის ამბავი.

## კალეიდოსკოპი

### "ნობელოსანი" ავტორი საავადმყოფოში

ნობელის ლაურეატი მწერალი, ეგვიპტელი ნაგიბ მაჰფუზი კაიროს საავადმყოფოში ფილტვების მწვავე ანთებით გადაიყვანეს. გაციებას თან მაღალი სიცხეებიც დაერთო, რის გამოც 91 წლის ლიტერატორმა ერთ ხანს მეხსიერებაც დაკარგა, - განუცხადა პრესას მაჰფუზის მეუღლემ. მწერალი ცუდად გრძნობდა თავს იმ ტრადიციულ თავყრილობებზეც, რომელსაც ის ყოველ ოთხშაბათს მეგობრებისთვის აწყობდა.

მაჰფუზის ოჯახის წევრები ამტკიცებენ, რომ მწერალს ასაკი ვერას დააკლებდა, რომ არა 1994 წელს მომხდარი ინციდენტი. მაშინ ისლამისტი ფუნდამენტალისტები მაჰფუზის ერთ-ერთ რომანში ღმერთის მისეული აღწერით ძალიან აღშფოთდნენ. ერთი მათგანი მას ქუჩაშიც დახვდა და კისრის არეში მწერალი დანით დაჭრა. ჭრილობამ მაჰფუზს ნერვი დაუზიანა, რის გამოც ის მარჯვენა ხელს საწერად ველარ იყენებს და მხედველობაც და სმენის უნარიც გაუარესებული აქვს.

მაჰფუზი არაბულ სამყაროში საუკეთესო ავტორად და დიდ ინტელექტუალად ითვლება. ის 50-ზე მეტი რომანის, მოთხრობათა კრებულის, პიესების, საგაზეთო სვეტების, მემუარებისა და ესეების ავტორი გახლავთ. ნობელის ლიტერატურული პრემია კი მან 1988 წელს მოიპოვა.

### აჰერნი მწერალი და პრემიერის ქალიშვილი

სესილია აჰერნი ირლანდიის პრემიერ-მინისტრის ბერტი აჰერნის ქალიშვილია, თუმცა, როგორც თავად აცხადებს, მილიონ დოლარიანი ლიტერატურული კონტრაქტის მოპოვებაზე ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია. არადა, 21 წლის დუბლინელმა გოგონამ შეძლო ის, რაზეც ბევრი დამწყები მწერალი ვერც ოცნებობს: ჯერ პირველ წიგნზე მუშაობა დასრულებული არც ჰქონია, როდესაც საგამომცემლო კომპანიებმა "ჰარპერ კოლინსმა" და "ჰიპერიონმა" სესილია აჰერნის ორი წიგნის დაბეჭდვა გადაწყვიტეს. რომანი "P.S. მიყვარხარ" მოგვითხრობს 29 წლის ჰოლის ისტორიას, ვისი შეყვარებულიც ტვინის კიბოთი იღუპება. "ეს სულის შემძვრელი ამბავია, მაგრამ შევეცადე, ის ცოტა ნათელი ფერებით დამეხატა", - აცხადებს ავტორი. რომანი დღის შუქს გაზაფხულზე იხილავს.

ბუნებრივია, სესილია უკვე მოექცა პრესის ყურადღების არეში. ის სხვა ახალბედა მწერლებისგან "ჰარპერ კოლინსის" კონტრაქტის გარდა პრემიერი მამის გამოც გამოარჩიეს. საუბრობენ იმაზეც, რომ აჰერნის ზემოთხსენებული რომანის მიხედვით ჰოლივუდში ფილმის გადაღებასაც აპირებენ.

### სელინი და "კრაისლერი"

სელინ დიონი კომპანია "კრაისლერის" მიმართ გულგრილი არასდროს ყოფილა. ის ერთ ხანს "კრაისლერ კანადას" წარმომადგენელიც გახლდათ. ახლა მომღერალმა პროფილი გაიფართოვა და უკვე მთელ "დაიმლერკრაისლერს" წარმოადგენს. ჩრდილოეთ ამერიკის საერთაშორისო ავტო-შოუს საქველმოქმედო საღამოზე ყურადღების ცენტრში სწორედ დიონი იდგა. მან ელიტარულ საზოგადოებას რამდენიმე სიმღერა შეუსრულა. მათ შორის ახალი სინგლი I Drove All Night. "სელინი დიდებული სანახავი იყო. მისი გამოჩენით ავტო-შოუ სულ სხვა დონის სანახაობად იქცა", - აღიარა მერსი ჰილმა – ადამიანმა, რომელმაც, დანარჩენ 17500 სტუმართან ერთად, საღამოზე დასასწრები 350 დოლარიანი ბილეთი შეიძინა. სელინ დიონმა "კრაისლერისთვის" წამოიწყო ახალი სარეკლამო კამპანიაც, რომლის პრეზენტაციაც 19 იანვარს, "ოქროს გლობუსის" ცერემონიალზე შედგება.

**დღეს**
**ორშაბათს, 13 იანვარს**




**1752 წელი:** ბრიტანეთში ამოქმედდა კანონი, რომლის მიხედვითაც ახალი წლის აღნიშვნა 25 მარტის ნაცვლად 1 იანვარს დაიწყეს.

**1906 წელი:** ეთერში გავიდა პირველი ამერიკული რადიო-რეკლამა.

**1921 წელი:** ავტომობილზე პირველად გამოჩნდა საქარე მინის მწმენდავი.

**1964 წელი:** სამ კვირაში "ბითლზის" პირველი ამერიკული ჩანაწერის, I Wanna Hold Your Hand-ის მილიონი ასლი გაიყიდა.

**1999 წელი:** ბრაზილიის ეროვნული ვალუტის დევალვაციას საფონდო ბირჟაზე მწვავე კრიზისი მოჰყვა.

**2001 წელი:** სალვადორში საშინელმა მიწისძვრამ ათასამდე ადამიანი შეიწირა.

© GRAPHIC NEWS

# მინუს ოცი წელი

40 წლის ასაკში დემი მურმა მსოფლიოს ყველაზე სასურველ ქალად გადაქცევა განიზრახა. ამ მიზნის მიღწევა მას ნახევარი მილიონი დოლარი და ერთწლიანი ტანჯვა დაუჯდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ახლა ოცი წლის გოგოს ჰგავს. დემის აღარცერთი გრამი ქონი და არცერთი ნაოჭი არა აქვს. კოსმეტოლოგებმა ტუჩებიც გაუზარდეს და კანიც გაუახალგაზრდავეს. ახალი, თოვლივით ქათქათა ფაიფურის კბილები (16 ათასი დოლარი) იმდენად უნაკლოა, რომ მათ ხელოვნურ წარმოშობაში ეჭვი არავის შეეპარება.

დემი მურის ახალი სახის შექმნაზე მაკიაჟის საუკეთესო სპეციალისტებმა იმუშავეს. მათ სტილისტიც შეუერთდა, რომელმაც ახალი იმიჯისათვის შესაფერისი ტანსაცმლის შერჩევაზე იზრუნა. ახალი გარდერობი 230 ათასი ამერიკული დოლარი დაჯდა, თმის მოწესრიგება – სულ რაღაც 5400.

საქმეში, რასაკვირველია, დიეტოლოგიც ჩაერთო და, რასაკვირველია, ისიც საუკეთესო იყო. ფიზიკური მომზადება, იოგას ინსტრუქტორი და კიკბოქსინგის მწვრთნელის მომსახურება 100 ათასიანი სიამოვნება ყოფილა, მაგრამ დემის, როგორც ჩანს, ულირდა – ის საუკეთესო სპორტულ ფორმაშია. მართალია, უწინდელისგან განსხვავებით, ახლა სპორტის უფრო "ქალურ" სახეობებს მისდევს: ციგურებით სრიალებს, იოგას ასანებს აკეთებს და ცურავს.



ამიტომ აღარც ის მამაკაცური კუნთები აუშნოვებს, რომლებიც წლების განმავლობაში დღეში სამჯერ ვარჯიშის გამო ჰქონდა გაჩენილი.

ოცი წელიწადისა და უამრავი ფულის დათმობა დემი მურმა ძალიან კონკრეტული მიზეზის გამო გადაწყვიტა: არ უნდა, შოუ-ბიზნესიდან გადაგდებული აღმოჩნდეს და ეკრანსა თუ ცხოვრებაში მეორეხარისხოვანი როლები ითამაშოს. ახლა ის სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია და ახალგაზრდა მსახიობებთან, მაგალითად, კამერონ დიასთან შერკინებისაც არ ეშინია.

სულ ორი წლის წინათ დემი მურმა ჰოლივუდიდან წასვლა გადაწყვიტა და აიდაჰოს შტატში, პატარა ქალაქ ჰეილიში დასახლდა. ბავშვების აღზრდამ და დიასახლისობამ, როგორც ჩანს, უკვალოდ არ ჩაიარა: "ერთხელ სარკეში ჩავიხედე და საკუთარი თავი ვერ ვიცანი. მოხუცი და დაღლილი ვიყავი. მაშინ ვიფიქრე, რომ სასწრაფოდ უნდა მივხედო თავს".

ვარსკვლავი ჰოლივუდს უბრუნდება. ბავშვებისთვის ძიძები და დაცვა უკვე იქირავა და ახალი საყვარელიც კი გაიჩინა, 30 წლის გაი ოზერი, რომელიც მადონას უკანასკნელი ალბომის ჩაწერის შემდეგ მდიდარი კაცი გახდა. ყოფილი ქმარი კი თვალისმომჭრელ დემის ჰოლივუდურ წვეულებებზე წრეებს ურტყამს და ნერწყვებს ყლაპავს - სხვა მაინც არაფერი დარჩენია.

## სკანდინავიური კროსვორდი




საგაზეთო ქაღალდი
ფასდაკლებით

შ.პ.ს ენ-ჯი-სი
გთავაზობთ
საგაზეთო ქაღალდს რუსეთიდან

საშობაო ფასდაკლება
15 იანვრამდე
ფასი -580$-მდე

ტელ: 38 86 79 53 76 30 899 50 92 99

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

DERTOUR-ის გთავაზობთ

DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიურო გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე, სასტუმროების დაჯავშნა ყველაზე იაფ ფასებში ადგილზე ვაუჩერის გაცემით, Club Med-ის კურორტები, Disnay Land, კრუიზები გემით - წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებზე, მანქანის დაქირავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, საზამთრო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ტურები ახალდაქორწინებულთათვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით, რუსეთის და ევრო ვიზები.

DERTOUR
მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.
"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.
"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.
წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

